სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 20 აპრილი 2000 №73 (1095) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროლიგა. ოთხთა ფინალი.

20 აპრილი
ფინალი
პანათინაიკოსი — მაკაბი

მატჩი მესამე ადგილისთვის
ბარსელონა — ეფესი

მერაბ რატიშვილი

სალონიკიდან

ფავორიტი არ არსებობს

დღეს ფინალია, დიდი ფინალი, რომელმაც ევროპის საკლუბო კალათბურთის ახალი მეფე უნდა აკურთხოს. ერთ მხარეს ათენის „პანათინაიკოსი“, ევროლიგის ერთხელ მომგები და წლევანდელი გათამაშების ფავორიტი. მეორე მხარეს თელ ავივის „მაკაბი“, ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო შეჯიბრების ორგზის გამარჯვებული, რომელ[illegible]აც სეზონი საშუალო გუნდად შერაცხულმა დაიწყო და, აგერ, ფინალში[illegible] გავიდა.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

ჩამოეცალეთ დიდგვაროვანთ!

„რეალი“ და „ბაიერნი“ დიახაც, დიდგვაროვანნი გახლავან და არა მხოლოდ იმიტომ, რომ პირველს სამეფო გუნდს უწოდებენ, ხოლო მეორის პრეზიდენტს კაიზერს, მათ ყველაზე ტიტულოვან მეტოქეებთან შედარებითაც „წმინდა სისხლისანი“ ეთქმით — წუხელ მანჩესტერშიც და მიუნხენშიც ჯილდოებით უფრო მდიდარმა გაიმარჯვა. მატჩები კი, იცოცხლეთ, ისეთი იყო...

მანჩესტერი — რეალი 2:3. ყველაზე მწარე ესპანელი მანჩესტერელთათვის: რაულმა „ოლდ ტრეფორდზე“ ორი გოლი გაიტანა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

მეოთხედფინალი I წრე

მანჩესტერი	**2**
რეალი	**3**
ბაიერნი	**2**
პორტუ	**1**

რევანში ერევანში?

ოთხშაბათს, 26 აპრილს საქართველოს ეროვნული გუნდი ერევანში, „რაზდანის“ სტადიონზე სომხეთის ნაკრებს ამხანაგურად ეთამაშება.

საამტჩოდ მზადებას ჩვენებურები 23 აპრილს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შეუდგებიან, 25-ში დილით კი ავტობუსით სომხეთს მიაშურებენ.

უკვე გადაწყვეტილია, რომ „რაზდანზე“ არ ითამაშებენ ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ზაზა ჯანაშია და გიორგი ქინქლაძე. ჯანაშიას მტკივანი ფეხი ჯერაც არ მოშუშებია, მწვრთნელებისთვის შემოუთვლია, ვერ დაგეხმარებითო. დანარჩენი სამნი კი „ფრაიბურგისა“ და „დერბის“ ხელმძღვანელთა თხოვნით გამოტოვებენ სომხებთან მატჩს. არც რევაზ ძოძუაშვილსა და დავით ყიფიანს დაუჩემებიათ, გინდა თუ არა, ჩამოვიდნენო. საქმე ის გახლავთ, რომ ეს ორივე გუნდი თავიანთ ჩემპიონატებში გავარდნის პირასაა და უქართველებოდ ძალიან გაუჭირდებათ. ბელგიის „ლიერსში“ მოთამაშე გელა შეყილაძე კი მწვრთნელებმა, უბრალოდ, არ გამოიძახეს. რევაზ ძოძუაშვილის თქმით, შეყილაძე კვიპროსის ტურნირზე ცუდად გამოიყურებოდა, ბოლო ხანს სტაბილურად არც თავისი გუნდის ძირითადში თამაშობს და ესეც რომ არა, დიდავა, ხიზანიშვილი, ჩიხრაძე მასზე უკეთეს ფორმაში არიან.

ძოძუაშვილმა და ყიფიანმა სომხებთან მატჩისთვის სულ 24 ფეხბურთელი გამოიძახეს, ერევანში მათგან 18 გაემგზავრება:

მეკარეები: დავით გვარამაძე („კრილია სოვეტოვი“, რუსეთი), ნიკოლოზ ტოგონიძე („ბათუმი“), სოსო გრიშიკაშვილი („დინამო“, თბილისი);

მცველები: ზურაბ ხიზანიშვილი („დინამო“, თბილისი), ლევან სილაგაძე („ალანია“, რუსეთი), კახა კალაძე („დინამო“, უკრაინა), ზურაბ მენთეშაშვილი („სკონტო“, ლატვია), გივი დიდავა („დინამო“, თბილისი), გიორგი ჩიხრაძე („ლოკომოტივი“, თბილისი), ვაჟა თარხნიშვილი („შერიფი“, მოლდოვა);

ნახევარმცველები: გიორგი ნემსაძე, თენგიზ სიჭინავა, რევაზ არველაძე (სამივე — „დინამო“, თბილისი), ალექსანდრე რეხვიაშვილი („სკონტო“, ლატვია), რატი ალექსიძე („ჩელსი“, ინგლისი), ლევან ქენდაძე („ირაკლისი“, საბერძნეთი), გოჩა ჯამარაული („ციურიხი“, შვეიცარია), თემურ ქეცბაია („ნიუკასლი“, ინგლისი);

თავდამსხმელები: შოთა [illegible]ეველაძე („აიაქსი“, ჰოლანდია), არჩილ არველაძე („ბრედა“, ჰოლანდია), ზურაბ იონანიძე („ტორპედო“, ქუთაისი), გიორგი დემეტრაძე („დინამო“, უკრაინა), დავით ჩალაძე („სკონტო“, ლატვია), მიხეილ ყველაშვილი („ციურიხი“, შვეიცარია).

რევაზ ძოძუაშვილმა გვითხრა, რომ 24 კაციანი სია ყოველი შემოხვევისთვის ჩამოუწერიათ მას და ყიფიანს. გამოძახებულთაგან რომელიმე ლეგიონერი თუ ვერ ჩამოვიდა, პრობლემა არ იქნება, ამ 24-დან 18-ს მაინც შევკრებთო. მისივე განცხადებით, მეზობლებთან გაჯიბრებას სხვა, უფრო ძლიერ და შუა ევროპის ქვეყნის გუნდთან თამაში აჯობებდა, მაგრამ არც სომხეთის გუნდია ხელწამოსაკრავიო.

სომხეთში კი თურმე მოუთმენლად ელიან ქართველთა სტუმრობას. „რაზდანზე“ ბილეთების გაყიდვა უკვე დაუწყიათ კიდეც და ანშლაგიცაა მოსალოდნელი. ჩვენი სომეხი კოლეგის თქმით, იქაური ტელევიზია ლამის ყოველდღიურად აჩვენებს საქართველო-სომხეთის თბილისური თამაშის ფრაგმენტებს, რომელიც იმხანად ყიფიანძოძუაშვილისთვის სადებიუტო გახლდათ და ჩვენებმა 7:0 მოიგეს. 26 აპრილი მწარე რევანშის დღე უნდა იყოსო, ამბობენ სომხეთში და დიდი ანგარიშით გამარჯვების სჯერათ. „რაზდანზე“ მატჩი 18 საათზე დაიწყება.

იმავე დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც გაეჯიბრება სომეხ თანატოლებს.

ახალგაზრდების მწვრთნელ მურთაზ ხურცილავას უკვე საბოლოოდ გადაუწყვეტია, სასომხეთოდ რომელი 18 ფეხბურთელი მოამზადოს:

მეკარეები: გიორგი ლომაია („ლოკომოტივი“, თბილისი), ზურაბ ბათიაშვილი („თბილისი“);

მცველები: ოთარ ხიზანეიშვილი, რევაზ ქემოკლიძე, თორნიკე რუხაძე, გიორგი შაშიაშვილი (ყველა „დინამო“, თბილისი), ვალერი აბრამიძე („ლოკომოტივი“, თბილისი), ედიკ საჯაია („ვიტ ჯორჯია“, თბილისი), მამუკა წერეთელი („ალანია“, რუსეთი)

ნახევარმცველები: გივი კვარაცხელია („ლოკომოტივი“, თბილისი), სოსო დვალიძე („შერანი“, თბილისი), დავით დიმელაშვილი („ვიტ ჯორჯია“, თბილისი), ლევან გვაზავა („ზიმბრუ“, მოლდოვა), ოლეგ გველესიანი („დინამო“, თბილისი)

თავდამსხმელები: გიორგი შენგელია, კობა წიტაიშვილი (ორივე „დინამო“, თბილისი), მიხეილ ბობოხიძე („ტორპედო“, ქუთაისი), ლაშა ჯაკობია („ვეზეტი“, ბელგია).

ახალგაზრდების მატჩი არტაშაკში გაიმართება და პირველ საათზე დაიწყება.

ბოგა ინასარიძე

1997 წელი. 30 მარტი. საქართველო — სომხეთი 7:0. მაშინ სტუმართა კარში სამი გოლის გამტანმა შოთა არველაძემ (№11) ტრავმა მოიშუშა და ნაკრებს დაუბრუნდა

ბადრი ჯითლაძის ფოტო

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი
II წრე. 19 აპრილი

CHAMPIONS LEAGUE

მანჩესტერი (ინგლისი) 2:3 რეალი (ესპანეთი) (0:0)

0:1 კინი (20ს.კ.), 0:2, 0:3 რაული (50, 53), 1:3 ბექემი (62), 2:3 სქოულზი (89ბ)
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, სტამი, ბერგი (შერინგემი 63), ირვინი (სილვესტრი 46), ბექემი, კინი, სქოულზი, გიგზი, იორკი, კოული (სოლსკიაერი 63)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
რეალი: კასილიასი, სალგადო, კამპო, კარანკა, რობერტო კარლოსი, მაკმანამანი (ხულიო სეზარი 90), რედონდო, ელგერა, სავიო (ჯიტაპი 66), რაული, მორიენტესი (ანელკა 73)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: სქოულზი, რედონდო
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
59 178 მაყურებელი

ბაიერნი (გერმანია) 2:1 პორტუ (პორტუგალია) (1:1)

1:0 პაულო სერჟიო (15), 1:1 ჟარდელი (89), 2:1 ლინკე (90)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, ანდერსონი, ტარნატი (კუფური 80), ლინკე, იერემისი, ფინკი, შოლი, პაულო სერჟიო, სანტა კრუზი (სალიჰამიჯიჩი 68), ელბერი (იანკერი 90)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
პორტუ: ილარიო, ნელსონი, ესკერდინია, დეკო სოუზა (კლაიტონი 60), ჟორჟე კოშტა, ალოიზიო ალვეში, პაულინიო სანტოსი, ჩაინიო (რუი ბაროში 43, დომინგუში 78), დრულოვიჩი, ნუნო კაპუჩო, ჟარდელი
მწვრთნელი: ფერნანდო სანტოსი
გაფრთხილება: ალოიზიო, დეკო, ილარიო, პაულინიო სანტოსი
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)
47 000 მაყურებელი

REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — პორტუ 2:1. მიუნხენელი ჯოვანი ელბერი (მარჯვნივ) და პორტუელი ფერნანდო ნელსონი

ინგლისი

ლესტერი 0:1 ტოტენჰემი
0:1 ჟინოლა (90)

შოტლანდია

მოზერუელი 1:3 დანდი იუნ.
1:0 მაკალოჩი (22), 1:1 მეტი (46), 1:2 ჰანა (81), 1:3 დე ფოსი (83)

ჰოლანდია

დენ ბოსხი 1:1 აიაქსი

ნორვეგია

მე-3 ტური. ბრანი — ოდ გრენლანდი 0:0; ბრანი — ბოდო გლიმტი 1:2; ჰაუგესუნდი — ვოლერენგა 4:2; ლილესტრომი — როსენბორგი 0:2; მოლდე — ვიკინგი 0:0; მოსი — ტრომსიო 4:0; სტაბეკი — სტარტი 1:0

ჰოლონეთი

თასის მეოთხედფინალი.
II მატჩები
ჰომერანია 0:1 ჰოლონია (0:1); რადომსკო 2:0 ვიძევი (1:3); ვისლა 2:0 ბელხატოვი (0:1)

საბერძნეთი

თასის ნახევარფინალი.
II მატჩები
პანიონიოსი 2:1 აეკ; იონიკოსი 4:2 კალამატა

გასხლეტილი სტამბოლი

UEFA CUP

უეფას თასი. ნახევარფინალი. II წრე

ლიდსი (0:2) გალათასარაი

1905

არც ერთი თურქი „ელანდ როუდზე“ — ასე დაადგინა უეფამ ორი კვირის წინ სტამბოლში მომხდარი სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ, რომელსაც ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს „გალათასარაის“ „ლიდს იუნაიტედთან“ გამკლავება თავის ერთგულ ქომაგთა მხარდაჭერის გარეშე მოუწევს.

— არავისიც არ გვეშინია — ამ და მსგავსი სათაურებით აჭრელდა ბოლო დღეებში თითქმის ყველა თურქული გაზეთის პირველი გვერდი.

— ჩვენ პროფესიონალები ვართ — აცხადებს „გალათასარაის“ შეტევათა მთავარი სულისჩამდგმელი რუმინელი გეორგე ჰაჯი — ინგლისელ ქომაგებს სულაც არ ვუფრთხით. სტამბოლში ხელსაყრელი უპირატესობა მოვიპოვეთ, რომელსაც დღეს არაფრით დავთმობთ. ბოლომდე ვიბრძოლებთ და მჯერა, ფინალში მოვხვდებით.

უეფამ ერთი იშვიათი გამონაკლისი დაუშვა — წარმოშობით თურქი, რომელიც „ლიდსი“ — „გალათასარაის“ შეხვედრას ლეგალურად დაესწრება, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახლავთ. ლიდსში ვოიაჟის დროს სტამბოლურ კლუბს თერთმეტკაციანი სპეციალურად გაწვრთნილი თურქული პოლიციის რაზმი დაიცავს. ისინი „გალათასარაის“ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ.

უშუალოდ გუნდების დანაკლისებსა და ტრავმებზე კი იმას ვიტყვით, რომ მასპინძლებს თამაშის დაწყება, ალბათ უკაპიტნოდ მოუწევთ: სამხრეთაფრიკელმა ლუკას რადებემ მუხლის მყესი დაიზიანა, „არსენალის“ წინააღმდეგ პრემიერლიგის ბოლო ტური გამოტოვა და სავარაუდოდ, გუნდს ვერც დღეს დაეხმარება.

თავად რადებეს მოედანზე გასვლა სწყურია, მაგრამ...

— ეს სეზონის უმნიშვნელოვანესი მატჩია — ამბობს ლუკასი — თამაში ისე მსურს, როგორც არასდროს. არ მიყვარს, როცა სკამზე ჯდომა მიწევს.

— ყველას თავისი აზრი აქვს, მაგრამ ჩვენ, მთელი გუნდი ერთი განწყობით გავალთ მინდორზე, უნდა მოვიგოთ. თუ მართლაც შევძელით გამარჯვება, გარდაცვლილთა ნათელ ხსოვნას ვცემთ პატივს. თავიდანვე ცხადია, იოლი თამაში არ იქნება.

მაგრამ თუ გაგვიმართლა და დებიუტშივე გავიტანეთ, ალბათ ველარაფერი შეგვაჩერებს. თუმცა ისიც მნიშვნელოვანია, დაცვა არ დავივიწყოთ და კარი მშრალად შევინახოთ — თქვა „ლიდსის“ გარემარბმა ჯეისონ უილკოქსმა.

ინგლისელთა თავკაც დევიდ ოლირის ჯერჯერობით ზუსტად არ გადაუწყვეტია, ვინ აირჩიოს შეტევის დუეტში — ჰარი კიუელი, ალან სმიტი თუ მაიკლ ბრიჯისი. ყველაფერი, ალბათ მატჩის დღეს გაირკვევა.

ერთი რვაწლისწინანდელი ამბავიც გავიხსენოთ. ორბურთიანზე მეტი ბარიერის დაძლევა „ლიდს იუნაიტედს“ ბოლოს 1992-93 წლების სეზონში მოუხდა. ჩემპიონთა თასის მეთექვსმეტედფინალში ლიდსელები „შტუტგარტს“ დაუპირისპირდნენ. გერმანიაში პირველი წრის შეხვედრა 0:3 წააგეს, საპასუხო მატჩში კი 4:1 მოიგეს, თუმცა ამ შედეგით მომდევნო ეტაპზე „შტუტგარტი“ გადიოდა. ლიდსელთა ბედად, გერმანელებმა გუნდის განაცხადში შეცდომა დაუშვეს და უკანონოდ შეიყვანეს ფეხბურთელი. უეფამ მათ 0:3 წაგება ჩაუთვალა, ორი მატჩის ჯამში კი ანგარიში გათანაბრდა — 3:3. გადათამაშებაში „ლიდსმა“ 2:1 მოიგო და მომდევნო ეტაპზე მოხვდა.

დღეს „ლიდსმა“ ორბურთიანი დეფიციტი უნდა აღმოფხრას, თუ სურს, 17 მაისს კოპენჰაგენში ფინალი ითამაშოს.

REUTERS სტამბოლიდან

ერთგული გულშემატკივარი ჰყავს „გალათასარაის“. ამაზე თუ იტყვი, ხალხი გუნდს ბოლომდე გაჰყვაო — „ათათურქის აეროპორტს“ იქით ლიდსს მიმავალი სტამბოლელების გაყოლა ხალხს უეფამ აუკრძალა. სამაგიეროდ, თერთმეტ გაწვრთნილ თურქ პოლიციელს აქვს ფეხბურთელთა თანხლების ნება

REUTERS სტამბოლიდან

სავარაუდო შემადგენლობები
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ვუდგეიტი, ჰაალანდი, ჰარტი, ბოიერი, მაკფაილი, ბაკე, ჯოუნსი, კიუელი, ბრიჯისი
გალათასარაი: ტაფარელი, ბიულენთი, პოპესკუ, ემრე, არიფი, ოკანი, სუათი, ჰაქან შუქური, ჰაჯი, კაპონე, ერგუნი
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

ლანსი (0:1) არსენალი

ფეხბურთის ქომაგები რა ხანია ელიან „ლანსის“ შეჯიბრიდან გავარდნას, ფრანგები კი ჯიუტად მიიწევენ წინ. აგერ ნახევარფინალშიც გააღწიეს და „არსენალთან“ საპასუხო მატჩის წინ მათი მწვრთნელი ფრანზუა ბრისონი ამბობს:„ თამაშის მსვლელობისას თავს გავიგიჟებთ და მოვიგებთ, ხოლო შემდეგ ინგლისელთა გაგიჟებას ვიხილავთ“.

კაცი ასეთ თამამ განცხადებას რომ გააკეთებს, ზურგს ძლიერი არგუმენტები უნდა უმაგრებდეს. კვლავ ბრისონს მოვუსმინოთ: „წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ „არსენალი“ წააგებს. ქომაგები ამას არ აპატიებენ. შესაბამისად, ლონდონელი ფეხბურთელები მთელი 90 წუთის განმავლობაში დაძაბულები იქნებიან — შეცდომის დაშვების შიში ექნებათ, ჩვენ კი დასაკარგი არაფერი გვაქვს. აქამდე თუ მივაღწევდით, არავის ეგონა. საფრანგეთის ჩემპიონატშიც ყველაფერი გარკვეულია — საპრიზო ადგილისთვის ვერ ვიბრძვით, რაც მთელი ყურადღების ამ ერთ კონკრეტულ თამაშზე გადატანის საშუალებას გვაძლევს. ჩვენი მთავარი იარაღიც ეს გახლავთ“.

გარდა ზემოთქმულისა, კიდევ რისი იმედი უნდა ჰქონდეს „ლანსს“? ალბათ იმის, რომ ჟოზე პიერ-ფანფანს და ვალერიან ისმაილს დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდათ და დღეს მინდორზე დაბრუნებას აპირებენ. ასევე სავარაუდოა ოლივერ დაკურის თამაშიც, რომელმაც პირველი შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა. ფრანგთაგან დანიელ მორეირამაც მოიშუშა მტკივანი ფეხი, თუმცა ფრანსუა ბრისონი მის გამოყვანას ალბათ თავს აარიდებს.

არსენალელთა პრობლემებზეც ვთქვათ, ტონი ადამსი, ემანუილ პეტი და რეი პარლოუ სავარაუდო შემადგენლობაში კი მოიხსენიებიან, მაგრამ მცირედი ტრავმები აწუხებთ და რომელიმე მათგანი ეგებ სათადარიგოთა სკამზეც ვიხილოთ.

როდესაც ფრანსუა ბრისონი ამბობს, ლონდონელები დაძაბულები იქნებიანო, ერთი რამეც იგულისხმება. კერძოდ, ლი დიქსონს, მარტინ კიოუნს, ტონი ადამსს, ფრედერიკ ლიუნგბერგს, რეი პარლოუს, ემანუილ პეტის, დავორ შუკერს და დენის ბერხკამპს ყვითელი ბარათები უკვე მიღებული აქვთ. ერთი გაფრთხილებაც და... თუ მათ (თითქმის მთელ გუნდს) ფინალში თამაში სურთ (ცხადია, თუ გავიდნენ), მართლაც დიდი სიფრთხილე მართებთ.

რა განწყობით გავლენ დღეს ფეხბურთელები ფელიქს ბოლერის სახელობის სტადიონზე.

რეი პარლოუ: „მატჩის მსვლელობა ჩვენთვის სასურველ კალაპოტში უნდა მოვაქციოთ. გამოცდილი ფეხბურთელები ბლომად გვყავს და ამას შევძლებთ კიდეც“.

დანებებას არც მასპინძლები აპირებენ. თერთმეტნი ხომ მინდორზე ვიქნებით, 40 ათასი კაციც ტრიბუნებიდან დაგვეხმარება და თავდაუზოგავად ვიბრძოლებთო — ამბობენ ისინი. ჩვენც ასეთი ფეხბურთის ხილვა არ გვსურს?

სავარაუდო შემადგენლობები
ლანსი: ვარმუზი, სიკორა, ისმაილი, პიერ-ფანფანი, კუედრუ, ნიარკო, კორიდონი, დაკური, ბრუნელი (ან მორიერა), ნუმა, სკაო
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, სილვინიო, ვიეირა, პეტი, პარლოუ, ბერხკამპი, ოვერმარსი, ანრი
მსაჯი: ხოსე გარსია არანდა (ესპანეთი)

გიორგი ქინქლაძე

დაბადება: 1973 წლის 6 ივლისს სიმაღლე: 173 სმ წონა: 64 კგ
კარიერა: 1989/90 მრეტები (III) 34 თამაში 8 გოლი. 1990/91 მრეტები (II) 16-1. 1991/92 მრეტები (I) 30-9. 1992/93 დინამო (I) 30-14. 1993/94 დინამო (I) 14-13. ზაარბრიუკენი გერმანია (II) 11-0. 1994/95 დინამო (I) 21-14. 1995/96 მანჩესტერ სიტი ინგლისი (I) 37-4. 1996/97 მანჩესტერ სიტი (II) 39-12. 1997/98 მანჩესტერ სიტი (II) 28-3. 1998/99 აიაქსი ჰოლანდია (I) 12-0. 1999/00 დერბი ინგლისი (I) 13-1.
ტიტულები: საქართველოს და ჰოლანდიის ჩემპიონი და თასის მფლობელი.
საქართველოს ნაკრებში: 34 მატჩი, 7 გოლი.

დაბრუნება ედემში

დერბიმ ქინქლაძე 3 000 000 გირვანქად სამი წლით დაისაკუთრა

გუშინ დილით ამსტერდამის „აიაქსმა“ საქართველოს ეროვნული ნაკრების გამთამაშებელ გიორგი ქინქლაძეზე ყველა უფლება ინგლისურ „დერბი ქაუნთის“ გადასცა. ქინქის გამოსყიდვა დერბელებს არაოფიციალური მონაცემებით კიდევ 1 500 000 გირვანქა დაუჯდათ, რამაც საბოლოო ჯამში 3 000 000 გირვანქა შეადგინა. შეთანხმებას ხელი ამსტერდამში „დერბი ქაუნთის“ თავმჯდომარემ, კიტ ლორინგმა და „აიაქსის“ პრეზიდენტმა, მიხაელ ვან პრაადმა მოაწერეს. „აიაქსი“ თანახმა ყოფილა, ტრანსფერის ყველა დეტალი ფართო საზოგადოებისთვის ეცნობებინა, თუმც „დერბი“ კატეგორიულად წინააღმდეგი წასულა.

შეთანხმების თაობაზე მას შემდეგ გამოცხადდა, რაც „აიაქსმა“ ჰოლანდიის დროით დილის 11 საათზე გარიგების დეტალების შესახებ საქმის კურსში ჩააყენა ჰოლანდიის საერთო ეროვნული გაცვლებისა და განვითარების ბირჟა. „აიაქსმა“ გიორგი 1998 წელს 5,5 მილიონ გირვანქად შეიძინა. გუშინდელი შეთანხმებით კი ამსტერდამული კლუბი 2 500 000 გირვანქიან ზარალზე წავიდა.

ქინქლაძე, რომელსაც „აიაქსთან“ 5-წლიანი კონტრაქტი აკავშირებდა, ყველაფერი წესრიგში რომ ყოფილიყო, ამსტერდამში 2003 წლამდე უნდა დარჩენილიყო, ახლა 2003 წლამდე ქართველი დერბიში იქნება. კონტრაქტი „ქაუნთისთან“ სწორედ 3-წლიანია. ისევ არაოფიციალური ინფორმაციით, ქინქლაძის ანაზღაურება კვირაში 10 000 გირვანქას შეადგენს.

გუშინვე დიდი ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტმა ქინქლაძეს ინგლისში სამწლიანი მუშაობის უფლება მისცა. 1999 წლის ნოემბერში „აიაქსიდან“ იყარით აყვანილ ქინქლაძეს ინგლისში მუშაობის უფლების ვადა 1 ივლისს უმთავრდებოდა. ტრანსფერის დაჩქარება ამანაც გამოიწვია.

„ჩვენ შევიძინეთ სუპერვარსკვლავი, რომელსაც დასამტკიცებელი აქვს, რომ პრემიერლიგაში 38 მატჩის სტაბილურად ჩატარება შეუძლია — წერდა გუშინ დერბელი ჟურნალისტი ჯერალდ მორტიმერი — იგი ევროპაში ალბათ ყველაზე მომხიბვლელი ფეხბურთელია. მასთან თამაში ძალიან ძნელია. არ იცი, როდის გადააწოდებს პასს ან როდის დაარტყამს“.

„დერბი ქაუნთის“ თავჯდომარე კიტ ლორინგმა შეთანხმების შემდეგ განაცხადა: „ქინქლაძის გადმოყვანა ჩვენმა ფანებმა უნდა მიიღონ იმის ნიშნად, რომ დერბის მომავალ სეზონში სერიოზული ამბიციები ექნება. ჩვენ გვსურს, სიამოვნება მოგანიჭოთ და ამიტომ აუცილებლად მივაღწევთ წარმატებას“. ლორინგს იმედი აქვს, რომ „პრაიდ პარკზე“ ამის შემდეგ ბილეთები არ დარჩება.

კმაყოფილი იყო „დერბის“ მენეჯერი ჯიმ სმიტიც. „გიორგი დიდი ტალანტია. მისი თამაშის ნახვა მაყურებელს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ძალიან გახარებული ვარ, რომ ჩვენთან დარჩენა გადაწყვიტა. ღრმად მწამს, რომ არ გავვარდებით. მომავალი სეზონის წინ ქინქლაძე ჩვენთან ერთად მოემზადება და თქვენ სულ სხვანაირ დერბის იხილავთ“.

სმიტი კმაყოფილი იყო იმითაც, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ქინქლაძის საკითხში გვერდში დაუდგა. „მე ხშირად მაკრიტიკებდნენ, რომ ქართველი ავიყვანე, თუმც შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ არ შევმცდარვარ. მწამს, ქინქლაძე ბევრს მიაღწევს“.

ამაში დარწმუნებულია თავად გიორგიც: „ჯიმ სმიტმა ინგლისურ ფეხბურთში დაბრუნების შანსი მომცა. მე მისი მევალე ვარ. აუცილებლად გავუმართლებ. ეს სამი წელი დერბიში, იმედი მაქვს, მთელს ჩემს კარიერაში საუკეთესო იქნება. პრემიერლიგაში დასარჩენად დიდი ბრძოლები გველის. მოხარული ვარ, რომ მასში მონაწილეობას მეც მივიღებ“.

მცირე კომენტარით დაკმაყოფილდა „აიაქსის“ პრეზიდენტი მიხაელ ვან პრაადი: „ქინქლაძის დიდი იმედი გვქონდა. ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. რა მოხდა, დღემდე ვერ გამიგია. იგი ვერ შეეწყო ვერც გუნდს და ვერც იან ვოუტერსის ტაქტიკას“.

სიმონ მენაბდე

ჯერ მხოლოდ ლაპარაკია, საქმე კი მერე იქნება

სწორედ ამ სიტყვებით შეაფასა გუშინდელი აღმასკომის სხდომის მუშაობა /საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ.

რიგით მეშვიდე აღმასკომის სხდომამ თითქმის სამ საათს გასტანა, მისი დასრულების შემდეგ კი სპორტის დეპარტამენტის საქტო დარბაზთან მომლოდინე ჟურნალისტებისთვის საგანგებო პრესკონფერენცია ჩატარდა.

–მერაბ ჟორდანია (სფფ-ს პრეზიდენტი): — ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელების ინფორმაციით დავრწმუნდით, რომ ორივე გუნდში საქმიანი სიტუაციაა, ყველა მობილიზებულია, მწვრთნელებით დაწყებული, ფეხბურთელებით დამთავრებული. განწყობა ჩინებულია, რაც სამომავლოდ წარმატების საფუძველსაც გვაძლევს. რაც შეეხება ეროვნულის და ახალგაზრდულის სამომავლო გეგმებს... მოგეხსენებათ, წლევანდელი წელი გარკვეულწილად შევსებული გვაქვს, იმას ვგულისხმობ, რომ ამხანაგური მატჩების პრობლემა არ არის... დღევანდელ აღმასკომის სხდომას „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძეც დაესწრო, ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული და დიდი საქმის მკეთებელი კაცი. ჩვენ ვკითხეთ, როდის დასრულდება ვაკის პარკში მშენებარე სტადიონი. მისი ინფორმაციით, „მიხეილ მესხი“ 2001 წლის მარტამდე მზად იქნება. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ შესაძლოა ეროვნულმა ნაკრებმა ახალ სტადიონზე გადაინაცვლოს. მოგეხსენებათ, ჩვენი ქალაქების ვერც ერთი სარბიელი ვერ აკმაყოფილებს დღეისათვის ფიფა-უეფას მოთხოვნებს. ქუთაისს მშვენიერი მოედანი აქვს თავის განათებით, მაგრამ მისი პრობლემა სასტუმროა. ბათუმში — განათების სისტემა, ეროვნული სტადიონის იმედი კი არავის გვაქვს.

— თუ კეთდება ფედერაციის მხრიდან რაიმე ეროვნული სტადიონის მოსაწესრიგებლად?

— მოგეხსენებათ, ეროვნულ სტადიონიდან ფედერაციის წილი 5 პროცენტია, ამის გათვალისწინებით, ჩვენ მიერ იქ ჩატარებული სამუშაოები სხვაზე გაცილებით მეტია. მინდა, განვაცხადო, რომ ამ ეტაპზე ჩვენს გეგმებში ეროვნული სტადიონის წესრიგში მოყვანისთვის ფინანსური მონაწილეობა გამორიცხულია, რადგან საამისოდ საშუალება არ გაგვაჩნია.

–ვია ფირცხალავა (სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტის უფროსი): — საქართველოს მომავალი ჩემპიონატი განსხვავებული რეგლამენტით ჩატარდება. ქვეყანაში იქნება სამი საფეხურთო ლიგა: უმაღლესი ლიგა, პირველი ლიგა და რეგიონალური ლიგა. უმაღლეს და პირველ ლიგებში თორმეტ-თორმეტი კლუბი იასპარეზებს. რეგიონალურში კი ორ ზონად (აღმოსავლეთი, დასავლეთი) დაყოფილი 40 კლუბი გაერთიანდება. უმაღლეს ლიგაში ჩემპიონატის პირველი ეტაპი ჩატარდება ორ წრედ. ექვსი საუკეთესო განაგრძობს საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას, მეორე ექვსეული კი ლიგაში დარჩენისთვის იფიქრებს. სავარაუდოდ, მომავალი ჩემპიონატიდან უმაღლეს ლიგას ორი გუნდი დატოვებს. ქულების დარიცხვის სისტემა ივივე დარჩება, მეორე ეტაპზე გუნდები განახევრებული ქულებით გადავლენ.

...მერაბ ჟორდანია: — ბაქოში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფედერაციების პრეზიდენტები შევიკრიბეთ და საერთო პრობლემებზე ვისაუბრეთ. იქ გადაწყდა, თუ თითოეული ფედერაცია როგორ გამოიყენებს უეფადან შემოსულ თანხებს. საამისოდ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც უახლოეს ათ დღეში გაარკვევს, სად აშენდება სფფ-ს შტაბბინა, აგრეთვე ეროვნული ნაკრების ბაზა. თანხებს ძირითადად ამ მხრივ დავხარჯავთ. ამას წინათ უეფამ გადაწყვეტილება მიიღო თავისი სტრუქტურის რეორგანიზაციის შესახებ. ამის გათვალისწინებით ზოგ რამეს ჩვენც შევცვლით. უპირველესად ალბათ კომიტეტებს შევამცირებთ და მეტად დავტვირთავთ რეგიონული ფედერაციების ხელმძღვანელებს.

როგორც შემდგომ გამოჩნდა, დღის წესრიგის ბოლო საკითხი აღმასკომის გუშინდელი სხდომის მთავარ თემად იქცა. საუბარია ბავშვთა ფეხბურთში ტრანსფერების მოწესრიგების საქმეზე.

— ეს საკითხი თუ არ მოგვარდა, იმაზე უარესი დაგვემართება, რაც დასავლეთ ევროპას ბოსმანის წესის შემოღებამ უყო. აღმასკომმა მხარი დაუჭირა სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელიც მაქსიმუმ ათ დღეში გადაწყვეტს, თუ რა ბერკეტებით შეგვიძლია შევაჩეროთ ეს მტკივნეული პროცესი. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ საკითხის საბოლოო გარკვევამდე ტრანსფერები დავბუროთ.

ლევან ყიფიანი (სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე): — თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა ცოტა ხანში ქართულ ფეხბურთს მომავალი თაობა აღარ ჰყავდეს. აღმასკომზე ასაკობრივი ცენზის შემოღების საკითხიც დავსვით, მაგრამ ასე უცბად ეს არ გადაწყდება. საჭიროა კონსულტაციები ფიფა-უეფასთან, ამჯერად კონკრეტულ გეგმას დავისახავთ და ფეხბურთს მომავალს შევუნარჩუნებთ.

— იქნებ ჯობს ნიჭიერ ფეხბურთელთა მიგრაციას ელემენტალური პირობების მოწესრიგებით შევუშალოთ ხელი?

მერაბ ჟორდანია: — ამაზე დისკუსია დიდ დროს წაგვართმევს. თქვენ ამბობთ, რომ რა ქნას ბავშვმა ან მისმა მშობელმა, თუ უჭირს და პირობები არ აქვს. მე კი ვამბობ — რა ქნას ქართულმა ფეხბურთმა, თუ ნიჭიერ ფეხბურთელთა დაკარგვით კატასტროფის პირას მიგა? ჩვენი მიზანი ფეხბურთის გადარჩენაა და საამისოდ მსხვერპლიც უნდა გავიღოთ.

ნიკოლოზ დოლიძე: (აღმასკომის წევრი) — პირობების გაუმჯობესებას ვერ დაველოდებით, დრო არ ითმენს. თქვენ გაცნობიერებული არ გაქვთ, თუ რა დონის კატასტროფის წინაშე გდგავართ. ბავშვები მიჰყავთ ევროპაში, ფედერაცია კი ვერ აკონტროლებს კონტრაქტის პირობებს, სადაც ჩადებული არ არის ის პუნქტი, რომ მოთამაშე ნაკრებში უნდა წავიდეს. ყველა ნიჭიერ ბავშვს თუ კლუბები დაისაკუთრებენ, მაშინ ვინ უნდა ითამაშოს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებებში?...

მოკლედ, აღმასკომის სხდომის არ იყოს, ლაპარაკით პრესკონფერენციაზეც ბევრი ითქვა, საქმეც იქნებაო და... ვნახოთ.

პაატა კვანტალიანი

გუშინ სფფ-ის აღმასკომი მეშვიდედ შეიკრიბა

ნუგზარ კეთილაძის ფოტო

ქეცბაიაზე ლესტერი და ვესტ ჰემი ნადირობენ

ინგლისური გაზეთების ცნობით, ერთბაშად სამი კლუბი დაინტერესდა „ნიუკასლის“ ქართველ ნახევარმცველ თემურ ქეცბაიათი. ესენი არიან „ევერტონი“, „ვესტ ჰემი“ და „ლესტერი“. „მირორს“ თუ ვერწმუნებით, ბობი რობსონი სამივე კლუბის წარმომადგენელს უკვე ესაუბრა.

წინასწარი ინფორმაციით, „ნიუკასლმა“ ქართველ ვეტერანში 1 500 000 გირვანქა მოითხოვა. ამან დააფრთხო ლივერპულის „ევერტონი“. მათმა მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა განაცხადა, რომ ამ თანხის დასახელების შემდეგ კლუბს ქართველისადმი ინტერესი გაუნელდა. „ჩვენ არ გვეგონა, თუ ქეცბაიაში ამდენს მოგვთხოვდნენ“ — თქვა სმიტმა.

მოვლენების განვითარებას კვლავ ელის „ლესტერი“, რომელიც „ლივერპულში“ ემილ ჰესკის წასვლის შემდეგ შემტევი ნახევარმცველის გადაბირებაზე ფიქრობს, ისევე როგორც ლონდონის „ვესტ ჰემი“. ამ უკანასკნელს ურჩევნია „ნიუკასლთან“ მოლაპარაკებები სეზონის დამთავრების შემდეგ აწარმოოს.

ამასობაში ქეცბაიას კიდევ უფრო გაურთულდა ურთიერთობა რობსონთან, რომლის თქმითაც, ბოლო ტურში „ლესტერთან“ თემურმა ტრავმა მოიმიზეზა და სათამაშოდ არ გამოდა. ნიუკასლელი მიმომხილველები თვლიან, რომ ასეთი გზით სინამდვილეში ჯანმრთელი ქეცბაია გუნდის მიტოვებას ლამობს.

შეგახსენებთ, რომ ქეცბაიამ „ნიუკასლიდან“ წასვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ძირითადში დანკან ფერგიუსონმა ადგილი დაუკარგვინა. ამ სეზონში იგი მხოლოდ 16 მატჩში გამოჩნდა, ძირითადად შეცვლებზე. ქეცბაია „ნიუკასლში“ ათენის აეროდან, როგორც თავისუფალი აგენტი, მივიდა. იმავე „მირორის“ ცნობით, ორი წლის წინ ქართველი 3,5 მილიონი გირვანქა ღირდა.

სიმონ მენაბდე

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი
7 ტური

მეშვიდე და კიდევ შვიდი

ბორგავენ „ტორპედო“, „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“, ლაღობს „კოლხეთი“, „ბათუმი“ კი ჩუმადაა და სწორედ ეს სიჩუმე უკარგავს ბევრს მოსვენებას.

ამასობაში ეროვნული ჩემპიონატი თავისი გზით მიედინება. შვიდი ტურიღა დარჩა, მხოლოდ შვიდი და საქართველოს მეთერთმეტე ჩემპიონატიც ისტორიის სანაგვეზე მიიღებს კუთვნილ ადგილს.

გვეგონა, აქამდე გაირკვეოდა ყველაფერი, თითოეულ ნადავლს პატრონი გამოუჩნდებოდა, მაგრამ ბევრი რამ მოხდა გაუთვალისწინებელი და ამან არია საქმეები.

პირველი მეამბოხე ბოლნისური „სიონი“ იყო. აქამდე მუდამ აუტსაიდერმა, რომელსაც სერიოზულ ძალად არავინ მიიჩნევდა, აჯობა ბევრ მეტოქეს, აჯობა საკუთარ თავს და საუკეთესოებში აღმოჩნდა. გათამაშების ორგანიზატორებს ეს ვერაფრით ექნებოდათ გათვალისწინებული.

დარჩა „ლოკომოტივი“ საუკეთესოებს მიღმა. ფინანსურად უზრუნველყოფილი გუნდის ასეთ სუსტ თამაშს ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. სანამ დაბნეულ-დამფრთხალი რკინიგზელები გონს მოეგებოდნენ, მანამ გასარკვევიც გაირკვა.

ჩემპიონატის მეორე მოულოდნელობა თბილისური „ვიტ ჯორჯია“ იყო. ბევრისთვის გასაკვირად, ეროვნული ჩემპიონატის რიგითი გუნდი სამ თვეში საპრიზო ადგილისთვის მებრძოლ კლუბად გადაიქცა და...

ახლა იმაზე ვთქვათ, თუ ვინ რატომ ბორგავს, ვინ ლაღობს და ჩუმადაც ვინაა. „ტორპედოს“, „დინამოსაც“ და „ვიტ ჯორჯიასაც“ მშვიდად ყოფნის უფლება 30 მაისამდე არც ექნებათ. თითქოს მიზანი ასე ახლოა, გამოძერწილია შედეგი. ანაც რაღა ბედენაა შვიდად-შვიდი თამაში, მაგრამ სწორედ ის მატჩებია თავში საცემი. ერთი ფეხის შეშლა არც ერთს ეპატიება. მეტოქეები ერთმანეთის შეცდომას უცდიან, ერთმანეთს მისხალსაც არ შეარჩენენ.

ფოთის „კოლხეთმა“ სწორედ ახლა დაიბრუნა ძველი იერ-სახე. ახლა იპოვა თავისი თამაში. „ბათუმის“ წაქცევა არავისთვისაა სახუმარო საქმე, არა აქვს მნიშვნელობა შინ ეთამაშები თუ სტუმრად. ამიტომაც მხიარულობენ კოლხები, თუმც იციან, რომ ევროპამდე ჯერ ისევ შორი გზაა გასავლელი, ძალიან შორი.

„ბათუმმა“ ზედიზედ ორი მატჩი წააგო და ოდნავ ჩამორჩა წინ წასულებს. მათი სიწყნარე ქარიშხლისწინა სიჩუმეს გვაგონებს.

ჯანი კარნევალის გუნდის წაფორხილებას აუცილებლად ექნება თავისი მიზეზები. ისინი შინაურ სამზარეულოში ჩახედულ ხალხს უკეთ მოეხსენება. მე კი „ბათუმის“ ჩავარდნის ჩემეულ ვარიანტს მოგახსენებთ, რომელიც ზედაპირული დაკვირვებისა და ვარაუდის შედეგია, სხვაც მეტი არაფერი.

მოგეხსენებათ, სინიორ ჯანი პირადი საქმეების მოსაგვარებლად რამდენიმე დღით იტალიაში ბრძანდებოდა. ისიც კარგად ვიცით, რომ კარნევალი თავზე ევლებოდა ბიჭებს. მათთვის საგანგებო რეჟიმი ჰქონდა შერჩეული. ის კი არა, ფეხბურთელებს განსაკუთრებული კვების რაციონი დაუნიშნა. იმ მენიუდან, რომელიც აქამდე უცხო იყო ბათუმელთათვის, ბევრი ნუგბარი იყო ამოღებული.

წავიდა ჯანი იტალიაში. ალბათ, ბიჭებმა ოდნავ შვება იგრძნეს. იცულლუტეს, რეჟიმი დაარღვიეს, აკრძალული „ხილი“ მიირთვეს და შედეგიც სახეზეა.

გუნდის უკუსვლის სხვა მიზეზი პირადად მე ვერ მიპოვია. ასე იყო თუ სხვაგვარად, ფაქტია, ექვსი საჩემპიონო ქულა დაკარგულია.

ორიოდ დღეში მეორე წრე იწყება და რას უნდა ველოდეთ „სიონ“-„იბერია“-„დილასგან“? არც არაფერს. მათ თავი ქუდში აქვთ, იქნებიან იშტაზე, მაშინ ვიღაცას გაამწარებენ, არადა...

ისე, დროა, პირველი წრის ბოლო ტურზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ცენტრალური ორი მატჩი იყო — მცხეთასა და ფოთში.

„ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედო“. გუნდებმა ქულა გაინაწილეს. ასე გამოდის, ფრე არც ერთს აძლევდა ხელს, თუმც სინამდვილეს ვერსაც გაექცევიან.

ორივე მხარეს შეუძლია, დაიჩივლოს — არა, გამარჯვება ჩემზე უფრო უპრიანი იქნებოდაო, მაგრამ ფრე კანონზომიერი შედეგი იყო.

„ვიტ ჯორჯია“ ცოტა გაბრაზებული შეხედავდა მსაჯს. უსაყვედურებდა, „ტორპედომ“ რომ გოლი გამიტანა, მანამდე ჯარიმის დანიშვნაც შეიძლებოდაო.

ქუთაისელები ღმერთს შეჰლაღადებენ, კოტორაშვილს კარში დამიზნებულად არ დაურტყამს, გოლი რად გავიდაო.

სათქმელი სხვაც ბევრია, განსაკუთრებით ის, რომ ორივე გუნდის ფეხბურთელები მსაჯს ხშირად აგინებდნენ, მესხმაც ხუთი მათგანი გააფრთხილა, გაძევებით არავინ გაუძევებია.

ორივე ტაიმი ხისტი ბრძოლით აღინიშნა. თამაშს დაძაბულობა არ აკლდა, თუმც, როგორც ასეთ მატჩებს ახასიათებს, საინტერესო და გადასარევიც ბევრი არაფერი ყოფილა.

ჯერჯერობით „ტორპედო“ ისევ საჩემპიონო პირველ ადგილზეა, „ვიტ ჯორჯია“ კი — მესამეზე. აწი რა იქნება, მხოლოდ ღმერთმა უწყის.

ზღვისპირული დერბი, მუდამ დაძაბულობითა და ბრძოლით გამორჩეული... გუშინწინათ ასე იყო. „ფაზისზე“ მისულმა ქომაგმა ერთობ ისიამოვნა.

ფოთში ერთადერთი გოლი იხილა გულშემატკივარმა და ისიც ძალიან მაღალ დონეზე შესრულებული. ეს, ალბათ, დავით ხუჭუას საუკეთესო გოლი იქნება მის კარიერაში. ვეტერანი კიკლიაშვილის გამოზომილ პასს და ხუჭუას სწრაფ ქმედებებს ვერც მინდაძე-სიდამონიძე აღუდგა წინ და ვერც ტოგონიძე.

გარდა ამისა, არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს ფოთელებმა, მაგრამ ხან სიზუსტე ღალატობდათ, ხანაც ტოგონიძე იდგა მოწოდების სიმაღლეზე.

გოლი თითქოს „ბათუმსაც“ უნდა გაეტანა, მაგრამ ტოგონიძის მოწინააღმდეგე კოლეგა ქვაჩახიამ ამირან მუჯირის და „ბათუმის“ ყველა იმედი ქარს გაატანა.

გუშინწინდელს აქეთ ფოთელებს იმედი გაუნდათ, იქნებ წლეულსაც ვიხილოთ ევროპაო. ვნახოთ, ეცადონ, ცდა ბედის მონახევრეა.

„ბათუმი“ კი არც ისე ჩამორჩება ლიდერებს. მალხაზ მახარაძეს და კამპანიას ჯერ კიდევ ძალუძთ ბრძოლა.

„დინამო“ რის ათგზის ჩემპიონი იქნებოდა, ბოლო დროს მომრავლებული კონკურენტების წაფორხილებით არ ესარგებლა. მოიგო გორში და „ტორპედოს“ მტრის სუნთქვა უკვე ზურგსუკან ესმის.

„დილამ“ ყველა მატჩი წააგო პირველ წრეში. მსგავსი შედეგი მართლაც უჩვეულოა ქართლელთათვის.

გული დასწყდა ეროვნული ჩემპიონატის რეკორდსმენ ჯიმშერ მარეხაშვილსაც. რეკორდს მარილი მოაკლდა. ვერც „დილამ“ ივარგა და ვერც მარეხამ გაიტანა. არადა, შეეძლო „დინამოს“ კარის დალაშქვრა ბევრისმომსწრე ვეტერანს.

ჩემპიონთა ხერხემალი კი შინაურ სარბიელზე დაბრუნებული, ეროვნული გუნდის კაპიტანი გიორგი ნემსაძე იყო. მისმა ნაყოფიერმა გარჯამ ჩაუყარა საფუძველი „დინამოს“ გამარჯვებას.

ბოლნისში „სიონს“ რომ ეგონა, „იბერიას“ გავაბითურებო, სულ ტყუილი აღმოჩნდა. თავიდან მასპინძლებმა ორბურთიანი უპირატესობა კი მოიპოვეს, მაგრამ სოსო ფრუიძის გუნდი კერკეტი კაკალი გამოდგა, შემართება და ბრძოლისუნარიანობა არ აკლდა. შედეგიც კანონზომიერი იყო.

ისე, ბოლნისელებს თავსატეხად ექცნენ იმერული კლუბები. ჯერ „ტორპედომ“ გაამწარა, ახლა „იბერიამ“ წაართვა ქულები.

„ბ“ ზონაში რაღაც გამოიკვეთა. კერძოდ, „მერანი“ ისე გაჭენდა, რომ მისი შეჩერება თითქმის შეუძლებელია. ნაირ-ნაირი მომენტები აცუდეს ავჭალელებმა ავლაბრელთა კარებთან და მხოლოდ დებიუტში მიღწეულ მინიმალურ უპირატესობას დასჯერდნენ.

„არსენალი“ კი თითქმის „ხობის“ ამხანაგია. არა, იმედი ჯერ კიდევ შერჩენიათ, მაგრამ უპატრონოდ მიგდებული გუნდი სიდუხჭირეს, ალბათ, თავს ვერ დააღწევს.

როგორც იქნა, წააგო „ლოკომოტივმა“. რკინიგზელებს რუსთავში ვერაფერმა უშველათ. „ვორდამ“ კი ლიგაში დარჩენის შანსი გაიორმაგა.

სადაც სამართალია, უნდა ითქვას კიდეც, „ლოკომოტივს“ ჩემპიონატი ფეხებზე ჰკიდია, მთელი ყურადღება სათასო ბატალიებზე გადაუტანია და დღემუდამ იმის ფიქრშია, როგორმე თასის ფინალში გაძვრეს. რას მოიმოქმედებს რევაზ ძოძუაშვილი, არავინ იცის. ამიტომ ველოდოთ და ვნახოთ.

სტუდენტებმა სენაკში „ხობი“ დაიჭირეს და მტრისას, დღე აყარეს. ადამიამ აიკლო მასპინძელთა დაცვა. ხობელთა რბევას არც მისმა თანაგუნდელებმა მოაკლეს მონდომება.

თსუ-მ პოზიციები გაიმყარა, ალბათ კაციას შეგირდები პირველ ჯგუფში დარჩებიან, აი, „ხობი“ კი ჩათვალეთ, მეორეჯგუფელია. ამას ბევრი ფიციმტკიცი არ უნდა. ხობში უკვე შეეგუვნენ ჩაქვეითებას.

„სამგურალი“ და „თბილისიც“ ისევ იბრძვიან. ან დარჩებიან, არ არა, მაგრამ მთავარია ფარ-ხმალს არ ყრიან.

მათ გუშინწინ ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს, ვნახოთ, სხვებთან როგორ ივარგებენ.

ესეც პირველი წრის ბოლო ტური მიმოვიხილეთ. ბევრი რამ გავარკვიეთ, ბევრიც დარჩა პასუხგაუცემელი. სამი მატჩი მასპინძლებმა მოიგეს, სამიც ფრედ დამთავრდა, ორში კი სტუმრებმა ივარგეს. 8 მატჩში 18 გოლი არც ისე ცოტაა, ამას 18 გაფრთხილება მივუმატოთ და ვნახავთ, რომ მეტად ხვავრიელი ტური გამოგვივიდა.

წინ კი მეორე წრეა, დაძაბული და საინტერესო.

მამუკა ძვანტალიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერინარებმა ტორპედოელი მალხაზ ასათიანის შეტევა ჩაშალეს

მაგუკა დარჩის ფოტო

„ბათუმმა“ კოლხთა ეს შეტევა კი მოიგერია, მაგრამ საბოლოოდ მაინც უქულოდ დარჩა

გომბარდირები

19 - იონანიძე	ტორპედო
12 - აუვეთია	დინამო
ალექსიძე	დინამო
11 - ვ. კილასონია	გორდა
10 - ზ. ქორიძე	ვიტ ჯორჯია
მეგრელაძე	ტორპედო
9 - ქებაძე	ლოკომოტივი
ხორგუაშვილი	დილა
8 - დ. ჯანაშია	ტორპედო
წიტაიშვილი	დინამო
7 - ლ. მელქაძე	ვიტ ჯორჯია
რუსია	ლოკომოტივი
ა. მუჯირი	ბათუმი

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი — 7 ტური

„ა“ ზონის სტატისტიკა

ტური	7
მატჩი	28
გოლი	68
გოლი საშუალოდ მატჩში	2,42
მასპინძელთა მოგება	16 (57%)
ფრეები	7 (25%)
სტუმართა მოგება	5 (18%)
საერთო დასწრება	88 400
საშუალო დასწრება მატჩზე	3 157
საუკეთესო დასწრება ტურზე	IV,V: 15 000
მწირი დასწრება ტურზე	II: 100

დავჯარიმდა		სემ
მასპინძელი	47	11,75
სტუმარი	60	15,00
სულ	107	26,75
კუთხური		**სემ**
მასპინძელი	24	6,00
სტუმარი	13	3,25
სულ	37	9,25
კარისკენ დარტყმა		**სემ**
მასპინძელი	29	7,25
სტუმარი	11	2,75
სულ	40	10,00
კარში დარტყმა		**სემ**
მასპინძელი	22	5,50
სტუმარი	22	5,50
სულ	44	11,00
თამაშგარე		**სემ**
მასპინძელი	8	2,00
სტუმარი	14	3,50
სულ	22	5,50

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

დავჯარიმდა		სემ
მასპინძელი	66	16,50
სტუმარი	59	14,75
სულ	125	31,25
კუთხური		**სემ**
მასპინძელი	21	5,25
სტუმარი	15	3,75
სულ	36	9,00
კარისკენ დარტყმა		**სემ**
მასპინძელი	20	5,00
სტუმარი	22	5,50
სულ	42	10,50
კარში დარტყმა		**სემ**
მასპინძელი	21	5,25
სტუმარი	20	5,00
სულ	41	10,25
თამაშგარე		**სემ**
მასპინძელი	7	1,75
სტუმარი	17	4,25
სულ	24	6,00

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

„ბ“ ზონის სტატისტიკა

ტური	7
მატჩი	28
გოლი	56
გოლი საშუალოდ მატჩში	2,0
მასპინძელთა მოგება	16 (57%)
ფრეები	4 (14%)
სტუმართა მოგება	8 (29%)
საერთო დასწრება	19 300
საშუალო დასწრება მატჩზე	689
საუკეთესო დასწრება ტურზე	III,VII: 2 000
მწირი დასწრება ტურზე	I,VII: 100

ვიტ ჯორჯია 1:1 ტორპედო

11	დავჯარიმდა	11
3	კუთხური	1
0	კარისკენ დარტყმა	2
3	კარში დარტყმა	3
1	თამაშგარე	3

კოლხეთი 1:0 ბათუმი

13	დავჯარიმდა	14
6	კუთხური	2
12	კარისკენ დარტყმა	3
4	კარში დარტყმა	5
1	თამაშგარე	0

დილა 0:3 დინამო

12	დავჯარიმდა	16
2	კუთხური	7
7	კარისკენ დარტყმა	1
3	კარში დარტყმა	9
3	თამაშგარე	6

სიონი 2:2 იბერია

11	დავჯარიმდა	19
13	კუთხური	3
10	კარისკენ დარტყმა	5
12	კარში დარტყმა	5
3	თამაშგარე	5

გორდა 1:0 ლოკომოტივი

17	დავჯარიმდა	12
3	კუთხური	3
5	კარისკენ დარტყმა	9
7	კარში დარტყმა	3
0	თამაშგარე	6

მერანი 1:0 არსენალი

22	დავჯარიმდა	19
11	კუთხური	2
10	კარისკენ დარტყმა	2
8	კარში დარტყმა	1
2	თამაშგარე	2

თბილისი 0:0 სამგურალი

19	დავჯარიმდ	18
5	კუთხური	4
2	კარისკენ დარტყმა	0
2	კარში დარტყმა	8
3	თამაშგარე	3

ხობი 2:4 თსუ

8	დავჯარიმდა	10
2	კუთხური	6
3	კარისკენ დარტყმა	11
4	კარში დარტყმა	8
2	თამაშგარე	8

სიმბოლური ნაკრები

- გიორგი ადამია — თსუ
- ზურაბ იონანიძე — ტორპედო
- გოჩა ტრაპაიძე — კოლხეთი
- თამაზ კიკლიაშვილი — კოლხეთი
- ქახა ჩხეტიანი — ტორპედო
- დავით ხუჭუა — კოლხეთი
- გიორგი სუხიაშვილი — სამგურალი
- ალექსანდრე ბურნაძე — გორდა
- გიორგი ნემსაძე — დინამო
- ედიკ საჯაია — ვიტ ჯორჯია
- ზურაბ ძვაჩახია — კოლხეთი

გუნდი: კოლხეთი — მწვრთნელი: გია ტყემაშუჩავა *კოლხეთი*

«ა» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო	7	4	2	1	18:7	11	32	4	3	1	0	12:2	10	10	3	1	1	1	6:5	1	4
2 დინამო	7	3	4	0	8:0	8	30	4	2	2	0	5:0	5	8	3	1	2	0	3:0	3	5
3 ვიტ ჯორჯია	7	4	3	0	6:2	4	27	4	2	2	0	4:2	2	8	3	2	1	0	2:0	2	7
4 ბათუმი	7	4	1	2	12:3	9	26	4	3	0	1	11:2	9	9	3	1	1	1	1:1	0	4
5 კოლხეთი	7	2	2	3	5:6	-1	21	3	2	1	0	4:1	3	7	4	0	1	3	1:5	-4	1
6 სიონი	7	2	1	4	9:14	-5	18	4	2	1	1	9:7	2	7	3	0	0	3	0:7	-7	0
7 იბერია	7	2	1	4	5:17	-12	16	3	2	0	1	3:2	1	6	4	0	1	3	2:15	-13	1
8 დილა	7	0	0	7	5:19	-14	10	2	0	0	2	0:4	-4	0	5	0	0	5	5:15	-10	0

«ბ» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
9 მერანი	7	5	2	0	6:1	5	25	3	2	1	0	2:0	2	7	4	3	1	0	4:1	3	10
10 თსუ	7	5	0	2	10:4	6	23	4	3	0	[illegible]	4:1	3	9	3	2	0	1	6:3	3	6
11 ლოკომოტივი	7	4	2	1	7:2	5	23	4	2	2	0	5:1	4	8	3	2	0	1	2:1	1	6
12 გორდა	7	4	1	2	9:3	6	21	3	3	0	0	5:0	5	9	4	1	1	2	4:3	1	4
13 სამგურალი	7	2	2	3	5:5	0	14	3	2	0	1	4:2	2	6	4	0	2	2	1:3	-2	2
14 არსენალი	7	2	0	5	7:13	-6	11	4	2	0	2	6:9	-3	6	3	0	0	3	1:4	-3	0
15 თბილისი	7	1	1	5	5:10	-5	11	4	1	1	2	3:2	1	4	3	0	0	3	2:8	-6	0
16 ხობი	7	1	0	6	7:18	-11	8	3	1	0	2	5:7	0	3	4	0	0	4	2:11	-9	0

«ა» ზონა

ერეკლეს ბიბლიოთეკა

ვაკეთია
18 აპრილი
16 საათი
არმაზი
1 500 (ტევადობა 3 000)

ვიტ ჯორჯია 1:1 ტორპედო

0:1 იონანიძე (70), 1:1 კოტორაშვილი (90)
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, თოდუა, ჭანკოტაძე, საჯაია, თ. კობიაშვილი (ზ. გვაზავა 76), დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ყიფიანი, ი. ხაჭაპურიძე, ვ. გოჩაშვილი (კოტორაშვილი 74), დ. დოლიძე (მორჩილაძე 80)
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ჯ. მუჯირი, რ. გოცირიძე
ტორპედო: ზოიძე, ახვლედიანი (ამისულაშვილი 79), შეყრილაძე, მახვილაძე, ჩხეტიანი, ხვადაგიანი, კ. კვეტენაძე, ასათიანი (მაღლაკელიძე 90), იონანიძე, დ. ჯანაშია (მ. ბობოხიძე 78), მეგრელაძე
სათადარიგონი: ჭანტურია; თავბერიძე, თურმანიძე, მედოევი
გაფრთხილება: დოლიძე (33), კვეტენაძე (35), ჯანაშია (55), ზოიძე (85), ყიფიანი (92)
მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

ფოთი
18 აპრილი
16 საათი
ფაზისი
2 000 (ტევადობა 6 300)

კოლხეთი 1:0 ბათუმი

1:0 ხუჭუა (30)
კოლხეთი: ქვაჩახია, კედელაშვილი, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, ღალინიძე, კიკლიაშვილი (მ. ქობულაძე 72), შალამბერიძე, ხუჭუა (გ. ჩიტაია 68), ტრაპაიძე, ე. გვასალია (შავგულიძე 87)
სათადარიგონი: მ. გვასალია; პაპავა, ქუნთელია, დ. კვირკველია
ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, სიდამონიძე, მინდაძე (ლონტი 46), ხუჯაძე, გელა ქორიძე (აფხაზავა 46), კობიძე (მაჭუტაძე 71), ა. მუჯური, ტულუში, ხომერიკი
სათადარიგონი: ჩლაიძე; რომანაძე, სიხარულიძე, თედორაძე
გაფრთხილება: ტრაპაიძე (17), ი. მახარაძე (81)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

გორი
18 აპრილი
16 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

დილა 0:3 დინამო

0:1 შენგელია (27), 0:2 ნემსაძე (32), 0:3 შენგელია (89)
დილა: სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, ელყანიშვილი, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, მარეხაშვილი (ციცქიშვილი 60), ფეზუაშვილი, ოლგესაშვილი (ებანოიძე 55), ხორგუაშვილი (საყვარელიძე 16), სულთანიშვილი
სათადარიგონი: მდივანი; კოჭლაშვილი, გაგნიძე, კარელიძე
დინამო: გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე, ნემსაძე, რუხაძე (შაშიაშვილი 73), სიჭინავა, არველაძე (ხუციშვილი 61), გ. შენგელია, გუჩუა, ზირაქიშვილი (ანჩაბაძე 46)
სათადარიგონი: ჩხეიძე; ქემოკლიძე, შელია, მ.ონასელიძე
მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

გოლნისი
18 აპრილი
16 საათი
თეიმურ სტეფანია
300 (ტევადობა 3 000)

სიონი 2:2 იბერია

1:0 ისიანი (12 პ), 2:0 კ. გოგოლაძე (35), 2:1 კ. ჯანაშია (42), 2:2 ივეჩიანი (52)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ვ. მაისურაძე, სვანიძე, დიმიტრიშვილი (მ. სამხარაძე 28), მ. გოგოლაძე (ა. ბოკერია 68), ნ. მინდიაშვილი, მოსეშვილი, ისიანი, კ. გოგოლაძე, ბ. შენგელია
სათადარიგონი: დალაქიშვილი; დ. ჯაფარიძე, ჩაგელიშვილი, ფ. არჩვაძე
იბერია: ვარდანიძე, ბინაძე, კ. ბობოხიძე (ხმალაძე 80), გეგეშიძე, მიქელთაძე, კ. ჯანაშია, მ. ჯინჭარაძე (სანიკიძე 83), ს. გიგიაძე, ხურციძე, ივეჩიანი (გედენიძე 89), მუშლაძე
სათადარიგონი: ა. ჩომახიძე; ოდიკაძე
გაფრთხილება: გეგეშიძე (77), ხურციძე (79)
მსაჯები: მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა; ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

«ბ» ზონა

რუსთავი
18 აპრილი
16 საათი
ფოლადი
2 000 (ტევადობა 10 700)

გორდა 1:0 ლოკომოტივი

1:0 მიშველიძე (30)
გორდა: ბედიაშვილი, ბერიძე (სილაგაძე 73), ბურნაძე, ბექაური, გაბელაია, მიშველიძე, მელაძე, გ. კილასონია, კიტეიშვილი (ბაჩილავა 46), კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე (მ. სახვაძე 82)
სათადარიგონი: გონგაძე; ა. ბუკია, მჭედლიძე, პატარიძე
ლოკომოტივი: ლომაია, ხიზანიშვილი, ლ. მიქაძე, ჭიჭვიშვილი (გილაური 74), გ. ჩიხრაძე, გ. ჩხაიძე, გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია (გამცემლიძე 79), ჯუღელი, ხუროძე (დ. გოდერძიშვილი 46), რუსია
სათადარიგონი: ნიკურაძე; კაციაშვილი, აბრამიძე, სალუქვაძე
გაფრთხილება: ბურნაძე (67), ბაჩილავა (85), კილასონია (87), ჯუღელი (90)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. ანიაშვილი (გორი), მ. ურუშაძე (თბილისი); ა. ორდენიძე (ონი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

თბილისი
18 აპრილი
16 საათი
სინათლე
1 000 (ტევადობა 3 000)

მერანი 1:0 არსენალი

1:0 როსტიაშვილი (3)
მერანი: ნაჭყეპია, ჭინჭარაული, ლურსმანაშვილი, კარიაული, დევიძე, გ. ილურიძე, დავითაშვილი (კოშკაძე 72), ა. ხორხელი (ლ. თოლორდავა 78), კაკაბაძე (ჯიშკარიანი 83), როსტიაშვილი, გუჯაბიძე
სათადარიგონი: კოროშინაძე; კობესაშვილი, ივანიშვილი, ბოლქვაძე
არსენალი: კუპატაძე, ე. ალადაშვილი; ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ხარებავა, სულაძე (ქოიავა 76), შუკაკიძე, კაპანაძე (ხმალაძე 76), კაკაშვილი, წივწივაძე, გ. ტულუში
სათადარიგონი: ქაცარავა; ჩალაძე, წონკოლაური, კვირკველია
გაფრთხილება: გ. ილურიძე (60), კაკაშვილი (60)
მსაჯები: ი. კახიანი; ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი); თ. ლაცაბიძე (სურამი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

თბილისი
18 აპრილი
16 საათი
ისანი
100 (ტევადობა 3 000)

თბილისი 0:0 სამგურალი

თბილისი: ბათიაშვილი, ზამთარაძე, მაჭავარიანი, ჩიკვაძე, ზვ. ლაბაძე, ი. შენგელია (კოხრეიძე 71), ბარნოვი, ნორაკიძე (ტყებუჩავა 69), ამაშუკელი, გ. ღუდუშაური (თ. მაისურაძე 82), გადელია.
სათადარიგონი: მამალაძე, ყუფარაძე, ვ. ძაგ[illegible] კ. მელქაძე
სამგურალი: სტურუა, ფრანგიშვილი, ჭელიძე, ვოსკანოვი, ბერაძე, სუხიაშვილი, გ. ძაგნიძე (დარსაძე 58), ჭყონია (ვადაჭკორია 14), ღონღაძე, ხუნდაძე, კვირნაძე (ქუთათელაძე 46)
სათადარიგონი: ბოდოკია, ნებიერიძე, გ. გოგოლაძე, ფუტკარაძე
გაფრთხილება: ჭელიძე (50), ნორაკიძე (52)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

სენაკი
18 აპრილი
16 საათი
ეგრისი
300 (ტევადობა 3 000)

ხობი 2:4 თსუ

0:1 დეკანოსიძე (35), 0:2 ერაძე (70 პ), 0:3 წუწუნავა (72), 0:4 ადამია (76), 1:4 ჩიტაია (87), 2:4 ზურაბ აიანადი (89)
ხობი: ნიქაბერიძე, ჯამბურია, ჯიქია (აბაკელია 60), ოდიშარია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა (ტყებუჩავა 62), ვართაგავა, ვ. ჩიტაია, ბუკია, ჭიჭინაძე, ზაზა აიანადი
სათადარიგონი: ალანია; ბულუხია, გიორგაძე, რ. თოლორდავა
თსუ: მერლანი, ინწკირველი, ებრალიძე, სვანაძე, ადამია (ნოზაძე 77), ხართიშვილი, წუწუნავა (ქადაგიძე 75), დეკანოსიძე, მესხი, მაზნაშვილი, ერაძე (არჩვაძე 46)
სათადარიგონი: გუგუნავა; ბარქაია, ლობჟანიძე
გაფრთხილება: ვართაგავა (16)
მსაჯები: ბ. დოგრაშვილი; ვ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსაშვილი; კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. ბაჩუკაშვილი

კაცი, რომელსაც მუშაობა მოენატრა

რისთვის უშვებენ მწვრთნელს გუნდიდან? ძნელი მისახვედრი არაა. ცხადია, არადამკმაყოფილებელი შედეგისთვის.

ჰოდა, შვეიცარიული „ციურიხის“ პრეზიდენტმა სვენ ჰოტცმა, ბევრი იფიქრა, თუ ცოტა, გადაწყვეტილება 24 საათში მიიღო.

რაიმონდო პონტე, „ციურიხის“ აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი, თანამდებობიდან გათავისუფლებულია. მის ნაცვლად კი ჩვენებურების — გორა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის გუნდს ცნობილი შვეიცარიელი სპეციალისტი ჟილბერ გრესი უთავკაცებს.

ჰოტცი გრესს კვირას, შუადღისას შეეხმიანა და თავისი სურვილიც გაანდო.

— რამდენიმე კანდიდატი გვყავდა, თუმცა გრესი მათ შორის ფავორიტი იყო. უკვე კარგა ხანია, ვაკვირდები, როგორ მუშაობს, მისი შესაძლებლობებიც მშვენივრად ვიცი. გუნდი მძიმე მდგომარეობაშია, მას მკაცრი კაცის ხელი სჭირდება, ისეთისა, როგორიც ჟილბერი გახლავთ — განაცხადა „ციურიხის“ პრეზიდენტმა.

ორშაბათს ციურიხის სასტუმრო „დოლდერში“ ჰოტცი და გრესი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს, სამშაბათს, დილის 11 საათზე კი კონტრაქტიც გაფორმდა. სამშაბათსვე, შუადღისას, ჟილბერ გრესმა „ციურიხი“ პირველად ავარჯიშა.

— ჰოტცმა კვირას დამირეკა და მითხრა, პონტეს ვუშვებ და იქნებ გუნდი ჩაიბაროო. მეც დიდხანს არ მიფიქრია, კარგი კლუბია-მეთქი და დავთანხმდი.

ახლა მხოლოდ ერთ მიზანს ვისახავ, არ უნდა გავვარდეთ. ახალი ფეხბურთელების მოყვანისგანაც თავს შევიკავებ, მიმაჩნია, რომ დღეს გუნდში არსებულ კონტინგენტს ხელეწიფება უმაღლეს დივიზიონში ადგილის შენარჩუნება. მოხარული ვარ, ხუთთვიანი უმუშევრობის შემდეგ საყვარელ საქმიანობას რომ დავუბრუნდი, მუშაობა ძალიან მომენატრა — განაცხადა ახალდანიშნულმა მწვრთნელმა.

მოგეხსენებათ, ქართველების „ციურიხი“ შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ 8 საუკეთესო კლუბს მიღმა დარჩა და ახლა, ახალი სეზონისთვის ელიტაში დარჩენისთვის უწევს ბრძოლა. ბოლო ტურში გუნდმა შინ სამარცხვინოდ წააგო „ბადენთან“ — 1:2. პრეზიდენტმა ჰოტცმაც არ დაახანა და რაიმონდო პონტეს კარისკენ მიუთითა.

ვინ არის ჟილბერ გრესი? 58 წლის კაცმა ბოლოს შვეიცარიის ეროვნულ ნაკრებს უთავკაცა. მის ხელში გუნდმა 18 მატჩი გამართა, აქედან 6 მოიგო, ამდენივე ფრედ ითამაშა და ამდენჯერვე დამარცხდა.

22 წელია, რაც სამწვრთნელო საქმიანობას ეწევა, ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ნოშატელის „ქსამაქსს“ (ორჯერ), ფრანგულ „სტრასბურს“ (ასევე ორჯერ), ბელგიურ „ბრიუგეს“ და ჟენევის „სერვეტს“ უხელმძღვანელა.

1987 და 88 წლებში გრესმა „ქსამაქსი“ ორჯერ გახადა შვეიცარიის ჩემპიონი, 79-ში „სტრასბური“ საფრანგეთში აჩემპიონა, ორჯერაც უეფას თასის მეოთხედფინალში გააღწევინა.

ერთი სიტყვით, „ციურიხი“ გამოცდილმა კაცმა ჩაიბარა.

გიორგი ვაშაკიძე

ინლანდიელი გუნარ ეინერსონის გადაბირებას სეზონის ბოლოს ინგლისური „ბრედფორდი“ შეეცდება. სატრანსფერო თანხა უცნობია, თუმცა მოსალოდნელია, რომ 23 წლის მცველმა ჰოლანდიური „როდა“ დატოვოს. ფეხბურთელს სხვა ინგლისური გუნდებიც იწვევენ, სეზონის ბოლოს, „როდას“ ალბათ, კიდევ ერთი მცველი — რეჯილიო ვერდე დატოვებს, „აიაქსის“ მომავალმა თავკაცმა კო ადრიანსემ უკვე გამოთქვა ფეხბურთელის შეძენის სურვილი. ვერდეს ბუნდესლიგაშიც ეპატიჟებიან.

გერმანიის ბუნდესლიგის აუტსაიდერ „დუისბურგს“ მომავალი სეზონიდან ვოლფგანგ ფრანკი უთავკაცებს. კლუბის ხელმძღვანელობამ ეს გადაწყვეტილება ორშაბათს მიიღო. „დუისბურგი“ პირველი დივიზიონიდან, ფაქტობრივად, უკვე გაგარდნილია და ფრანკი შეეცდება, გაისად კვლავ დააბრუნოს გუნდი მეორედან პირველ ბუნდესლიგაში. სპეციალისტი ბოლო ხანს „მაინცში“ მოღვაწეობდა, სადაც ერთ-ერთი დირექტორი გახლდათ. „დუისბურგთან“ მან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ესპანური მადრიდის „ატლეტიკოს“ ყოფილი მწვრთნელ კლაუდიო რანიერის რამდენიმე წამყვანი იტალიური და ესპანური კლუბი იწვევს. თავად სპეციალისტი კი აცხადებს, რომ მას ბილბაოს „ატლეტიკში“ სურს მუშაობა. „არჩევანზე თუ მიდგა საქმე, ბასკეთს ავირჩევდი და „ატლეტიკს“ ვუხელმძღვანელებდი“ — ამბობს რანიერი. ბასკურ კლუბს ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერი უთქვამს, ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სეზონის ბოლოს „ატლეტიკს“ მთავარი მწვრთნელი ლუის ფერნანდესი დატოვებს.

ჰოლანდიის ჩემპიონ „ფეიენოორდის“ წევრებმა დევიდ კონოლიმ და ბრაიან პინამ გერმანული მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ყურადღება მიიქციეს. ახალგაზრდა ფეხბურთელები ამჟამად განათხოვრებით ჰოლანდიის მეორე დივიზიონის „ექსელსიორში“ თამაშობენ. 21 წლის ირლანდიელი კონოლი დივიზიონის ერთ-ერთი ბომბარდირია, პინას კი სხვა ჰოლანდიურ გუნდებშიც ეპატიჟებიან. როტერდამულ კლუბს ახალ შეთავაზებაზე არაფერი უთქვამს.

ირლანდიელი მცველი დენის ირვინი „მანჩესტერ იუნაიტედში“ კიდევ ერთი სეზონით დარჩება. 34 წლის ფეხბურთელმა ინგლისის ჩემპიონთან ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. „დენისთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე შევთანხმდით — განაცხადა „მანჩესტერის“ თავმჯდომარე მარტინ ედუარდსმა — ის ჩვენთან სულ ცოტა ერთი სეზონი დარჩება. ერთობ სასიხარულო ცნობაა, ირვინი ყოველთვის თავდადებით თამაშობდა, მის შრომას ჩვენ ყოველთვის ვაფასებდით“. ირვინი „მანჩესტერ იუნაიტედში“ 1990 წელს „ოლდემიდან“ გადავიდა. იგი ირლანდიის ნაკრებშიც ირიცხება და გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა.

რუსეთის ცსკა-ს ხელმძღვანელობამ უარყო მოსაზრება, თითქოს მთავარი მწვრთნელის ოლეგ დოლმატოვის გათავისუფლებას აპირებდეს. გუნდმა სეზონი ერთობ წარუმატებლად დაიწყო და ამჟამად გათამაშების ცხრილის ფსკერზე იმყოფება. „ოფიციალურად ვაცხადებ, რომ დოლმატოვის გადადგომაზე საუბარი არ ყოფილა, ჩვენ მას არ ვადანაშაულებთ — განაცხადა ცსკა-ს ვიცე-პრეზიდენტმა ავალუ შამხანოვმა და დასძინა — ხელმძღვანელობას სჯერა მწვრთნელისა და ფეხბურთელების, ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს მომავალში თამაშსაც გამოასწორებენ“. შეგახსენებთ, რომ თებერვალში დოლმატოვს ოჯახური პრობლემები ჰქონდა, მისი მეუღლე გაუჯავებელ ვითარებაში დაიკარგა, რასაც, ცხადია, უკვალოდ არ ჩაუვლია.

იუგოსლავიელმა თავდამსხმელმა პრედრაგ მიატოვიჩმა კუნთი დაჭიმა და „ფიორენტინას“ სერია A-ს დარჩენილ ტურებში ვეღარ დაეხმარება. ფორვარდი „ლაციოს“ წინააღმდეგ მატჩში დაშავდა. ექიმების ცნობით, მიატოვიჩი ევრო 2000-ის ფინალური ტურნირისთვის გამოჯანმრთელდება. „პრედრაგი ოთხი კვირით ჩამოშორდა ფეხბურთს — განაცხადა „ფიორენტინას“ ექიმმა მარჩელო განცუოლიმ — სეზონის დარჩენილი ნაწილს იგი გამოტოვებს, დიდი იმედი გვაქვს, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის უკვე მომჯობინდება“. შეგახსენებთ, რომ იუგოსლავიელი ფეხბურთელი ფლორენციაში მადრიდის „რეალიდან“ სეზონის დასაწყისში გადაბარგდა, თუმცა ტრავმის გამო დიდი დრო გაუცდა — „ფიორენტინაში“ მან სულ 13 მატჩი ჩაატარა.

განელი მცველი სამუელ კუფური „ფრაიბურგთან“ შეხვედრაში მიღებული წითელი ბარათის გამო სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისჯება. მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელი ბუნდესლიგის ერთ-ერთ წინა ტურში ლევან კობიაშვილთან ორთაბრძოლისას დაჯარიმდა და მოედანი ნაადრევად დატოვა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ კუფურის საქმე სამშაბათს განიხილა და მას სამი მატჩით აუკრძალა მინდორზე გასვლა. ერთი შეხვედრა განელს უკვე გაუცდა, მიუნხენურ დერბიში ვერ ითამაშა, მომდევნო ორ შეხვედრას იგი დორტმუნდის „ბორუსიასა“ და როსტოკის „ჰანზას“ წინააღმდეგ გამოტოვებს.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ლონდონის „ჩელსი“, შესაძლოა, გარკვეული თანხით დააჯარიმოს. პრემიერლიგის ბოლო ტურში „შეფილდ უენსდის“ წინააღმდეგ მატჩში ლონდონელი ფეხბურთელები უკადრისად მოიქცნენ, მთავარ არბიტრ ჰოლ დარკინს შეეკამათნენ. „დარკინმა შეხვედრის ოქმში ყველაფერი აღნუსხა. მატჩის ვიდეოჩანაწერს უახლოეს დღეებში განვიხილავთ და განაჩენს გამოვიტანთ“ — იუწყება ასოციაციის პრესატაშე ადრიან ბევინგტონი. მსაჯს იმასაც გამოჰკითხავენ, თუ რატომ არ უჩვენა მან „ჩელსის“ მეკარე ედ დე გუის წითელი ბარათი, როცა ამ უკანასკნელმა საჯარიმოში შეფილდელი ჟილ დე ბილდე წააქცია. ლონდონელებს ზედიზედ მეორე სადისციპლინო სანქცია ელით. შეგახსენებთ, რომ კლუბი რამდენიმე დღის წინ 50 ათასი ვირვანქით დააჯარიმეს, მიზეზი მაშინაც ფეხბურთელების უხამსი საქციელი გახლდათ.

ესპანეთის ნაკრების წევრი და სანტანდერის „რასინგის“ კაპიტანი ხოსე ემილიო ამავისკა დაშავდა და სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს. კლუბის ექიმების ცნობით, ფეხბურთელმა პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში, „ვალიადოლიდის“ წინააღმდეგ მატჩში მუხლი დაიზიანა და უახლოეს დღეებში, ალბათ, ოპერაციასაც კი გაიკეთებს. ჯერჯერობით არ დაუზუსტებიათ, რამდენ ხანს გასტანს მკურნალობა, თუმც ექიმები იუწყებიან, რომ ფეხბურთელი სამ თვეზე ადრე ვერ გამოჯანმრთელდება.

ალბანეთი. 22-ე ტური: შკიპონია — ელბასანი 0:0; დინამო — პოლონია 0:1; ტირანა — ლუშნია 2:1; ფლამურტარი — შკუმბინი 2:1; ვლაჟნია — პარტიზანი 1:0; შკენდერბეუ — ტომორი 2:2; ტეუტა — ბილიში 2:0. ჩემპიონატს 45 ქულით „ტირანა“ ლიდერობს, მეორე-მესამე ადგილებს 42-42 ქულით „ტეუტა“ და „ტომორი“ იყოფენ.

იუგოსლავია. 34-ე ტური: მოგრენი — ობილიჩი 4:0; ოფკ (ბელგრადი) — სპარტაკი 3:0; რადი — რადნიჩკი (ნიში) 2:1; ზემუნი — პარტიზანი 0:3; ჟელეზნიკი — ჩუკარიჩკი 1:2; ცრვენა ზვეზდა — ჰაიდუკი (ბელგრადი) 3:0; ბორაცი — პროლეტერი 0:1; ბილიციონარი — ვოივოდინა 0:0; სარტიდი — ჰაიდუკი (კულა) 4:0; ბუდუჩნოსტი — სუტიესკა 0:0. ჩემპიონატს 84 ქულით „ცრვენა ზვეზდა“ ლიდერობს. მეორეა „პარტიზანი“ — 82 ქულა, მესამეა „ობილიჩი“ — 77 ქულა.

დაკრძალვა ლიდსში

ორშაბათს ათასობით ადამიანი დაესწრო სტამბოლის ქუჩაზე მოკლული ლიდსელი ქომაგის კრის ლოფტუსის დაკრძალვას. ოცდათხუთმეტი წლის ლოფტუსი დანით მიყენებული ჭრილობებით გარდაიცვალა.

ნაიჯელ მარტინი და დევიდ ოლირი დაკრძალვაზე

ეკლესიაში იდგნენ დედოფლის კუზენი ლორდი ჰეირვუდი, „ლიდს იუნაიტედის“ თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილი, მენეჯერი დევიდ ოლირი, მეკარე ნაიჯელ მარტინი და ფეხბურთელი გარი კელი.

წინა დღით, ლიდსის ახლომდებარე ვერსლიში დაკრძალეს ასევე სტამბოლში მოკლულის, ორმოცი წლის კევინ სპეიტის ცხედარი. სპეიტი ორი შვილის მამა იყო.

სწირავდა რიჩმონდჰილის ვიკარი მამა პოლ ჰანტი, რომელმაც თქვა: „კრის ლოფტუსს არასოდეს უთქვამს, რომ ფეხბურთი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიცოცხლე ან სიკვდილი. ამას ბილ შენკლი ამბობდა ხოლმე და ისიც თავისებური მწვავე ხუმრობით. დღევანდელობა უსაშინლესი ფორმით ადასტურებს ძველ ოხუნჯობას, რომ ფეხბურთი სიცოცხლეზე წინ დგას“.

ეკლესიის გარეთ „ლიდსის“ სამოსით მოსილი ხალხი იდგა. კრისის მშობლები, ორი და და შეყვარებული კატერინა ტიროდნენ. საგალობლებთან ერთად შესრულდა ენი ლენოქსის „რატომ“, სელინ დიონის „იფრინე“ და ერ კელის „დაბრუნება რომ შემეძლოს“.

ვიკარმა მამა პოლ ჰანტმა თქვა, რომ „ელანდ როუდზე“ უამრავი თაიგული და წერილი მოვიდა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან: შეფილდიდან, ბარნსლიდან, ჰადერსფილდიდან, სანდერლენდიდან, ვულვერჰემპტონიდან, ლონდონიდან, სუინდონიდან, ყველაზე მეტი კი ლივერპულიდან.

„მისი შეყვარებული ახლა აქ არის“, თქვა მამა პოლმა, „კრისს უყვარდა, კრისი უყვარდათ. სიყვარული იბრძვის. ის რომ ყოველთვის იმარჯვებდეს, პოლი და კრისი არ დაიხოცებოდნენ“.

სტამბოლში კი, პროკურორი ოსმან იკიზოღლუ ოცდაათწლიან პატიმრობას ითხოვს ოთხი ეჭვმიტანილისათვის.

არგენტინა

მე-10 ტური. რივერ პლეიტი — ხიმნასია ხუხუი 2:0; კოლონი — ფერო კარილი 2:0; ინსტიტუტო — ბოკა ხუნიორსი 2:2; სან ლორენსო — როსარიო სენტრალი 1:0; ჩაკარიტა — ესტუდიანტესი 3:1; ნიუელს ოლდ ბოიზი — ველეს სარსფილდი 1:1; ხიმნასია ლა პლატა — ლანუსი 2:1; უნიონი — არგენტინოს ხუნიორსი 2:1; რასინგი — ბელგრანო 0:0; ტალერესი — ინდეპენდიენტე 0:4

კლასურას მორიგ ტურში „რივერ პლეიტი“ აუტსაიდერ „ხიმნასია ხუხუის“ მასპინძლობდა. მატჩის წინ პროგნოზები ერთმნიშვნელოვანი იყო — „რივერი“ აქამდე დაუმარცხებლად მივიდა, ხოლო „ხუხუის“ ჯერ ერთი გამარჯვებაც ვერ ეზეიმა, ამიტომ ბუენოსაირესელებს იოლ მოგებას უწინასწარმეტყველებდნენ.

თამაში დაიწყო და კინაღამ ყველაფერი თავდაყირა დადგა. პირველ ტაიმშივე მსაჯმა უხეში თამაშისთვის ექვსწუთიან მონაკვეთში ორი რივერელი გააძევა — დამიან ალვარესი და არგენტინელი ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი ხავიერ სავიოლა. მოთამაშეებს მწვრთნელი, მსოფლიოს ოდინდელი ჩემპიონი ამერიგო გალიეგოც მიაყოლეს. მსაჯთან კამათისთვის, აქაოდა, სავიოლა უსამართლოდ გააგდეო, გალიეგოსაც ტრიბუნიდან მოუხდა მატჩის ცქერა.

როგორც ვთქვით, ეს ყველაფერი პირველ ტაიმში მოხდა. ანგარიში 0:0 იყო და სტუმრებს იმედი გაუჩნდათ — თუნდაც „რივერ პლეიტი“ იყოს, ცხრა კაცით თამაში ძნელია. მაგრამ არა, „რივერმა“ დაამტკიცა, რომ ორკაციანი რიცხოვბრივი უმცირესობითაც ძალუძს ბარე ორის დამარცხება. შესვენების შემდეგ „ხუხუის“ კარი ედუარდო კოუდემ და ლეონელ განსედომ დალაშქრეს, რითაც დედაქალაქელები გათამაშების ცხრილს სათავეში მოექცნენ. აღსანიშნავია, რომ „რივერს“ ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

კლაუსურას ჩემპიონატის ნახევარი მიილია (გუნდები ერთ წრედ თამაშობენ). როგორც ჩანს, პირველობისთვის კვლავ „რივერი“ და „ბოკა ხუნიორსი“ იბრძოლებენ. შეგახსენებთ, რომ „რივერს“ აპერტურა მოგებული აქვს. თუ ამჯერად „ბოკამ“ იმარჯვა, ეს გუნდები ფინალის შეხვედრაში გაარკვევენ არგენტინის ჩემპიონის ვინაობას.

რივერ პლეიტი	9	6	3	0	18:8	21
კოლონი	10	6	2	2	23:15	20
სან ლორენსო	10	6	2	2	11:4	20
ბოკა ხუნიორსი	9	5	4	0	17:5	19
ოლდ ბოიზი	10	5	3	2	21:12	18
ლა პლატა	10	5	2	3	19:19	17
ინდეპენდიენტე	10	5	1	4	23:14	16
ბელგრანო	10	4	3	3	14:11	15
ტალერესი	10	4	2	4	11:13	14
უნიონი	10	4	2	4	14:19	14
ველესი	9	3	4	2	15:11	13
როსარიო	9	3	4	2	14:11	13
ლანუსი	9	3	3	3	17:14	12
ინსტიტუტო	10	3	3	4	11:15	12
რასინგი	10	1	5	4	10:14	8
ჩაკარიტა	9	2	2	5	8:12	8
ესტუდიანტესი	10	1	4	5	15:20	7
ფერო კარილი	10	2	1	7	8:23	7
არგ. ხუნიორსი	9	1	2	6	8:22	5
ხუხუი	9	0	2	7	6:21	2

რუმინეთი

29-ე ტური: ჩეპლაული — სტიაუა 0:2; ასტრა — ოცელული 0:1; რაპიდი — დინამო 4:0; ბაკეუ — არჯეში 1:0; უნივერსიტატეა — გლორია 3:1; ფარული — პეტროლული 2:1; რეშიცა — ეკსტენსივი 0:0; ონეშტი — როკარი 1:5; ნაციონალი — ბრაშოვი 2:0

დინამო	29	23	3	3	76:30	72
რაპიდი	29	18	5	6	53:33	59
ჩეპლაული	29	15	5	9	45:38	50
სტიაუა	29	15	3	11	50:47	48
არჯეში	29	14	5	10	38:29	47
გლორია	29	14	2	13	42:40	44
ნაციონალი	29	13	4	12	51:37	43
ასტრა	29	12	7	10	39:34	43
ოცელული	29	13	4	12	45:40	43
ბაკეუ	29	12	6	11	31:31	42
პეტროლული	29	11	5	13	41:45	38
ბრაშოვი	29	11	3	15	42:41	36
ფარული	29	11	6	12	35:41	39
როკარი	29	12	1	16	43:47	37
უნივერსიტატეა	29	10	6	13	33:33	36
ონეშტი	29	8	3	18	31:71	27
რეშიცა	29	5	8	16	32:58	23
ეკსტენსივი	29	4	4	21	22:54	16

ავსტრია

თასის მეოთხედფინალი

ზალცგურგი 5:0 **ადმირა მიოდლ**

პაშინგი 2:0 **ტიროლი**

გრაცერი 2:1 დ.დ. (1:1) **ბრაუნაუ**

აუსტრია 0:0 (პენ.5:3) **ლეოგენი**

სადაც ვიწროა...

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. II წრე

ბარსელონა — **ჩელსი**

5:1 დდ. (3:1, 1:3)

1:0 რივალდო (24), 2:0 ფიგუ (45), 2:1 ფლო (60), 3:1 დანი (83), 4:1 რივალდო (99პ), 5:1 კლუივერტი (105)
რივალდომ ვერ გაიტანა პენალტი (85)
ბარსელონა: ჰესპი, პიუოლი (აბელარდო 86), რაიციგერი (სერხი 106), ფ. დე ბური, გვარდიოლა, გაბრი, კოკუ, რივალდო, ფიგუ, ზენდენი (დანი 73), კლუივერტი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
ჩელსი: დე გუი, ფერერი (ლამბური 48), დესაი, ლებეფი, ბაბაიარო, უაიზი, დეშამპი (პეტრესკუ 102), დი მატეო, მორისი, ძოლა (პოიეტი 106), ფლო
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
გაძევება: ბაბაიარო (98)
გაფრთხილება: ფიგუ, ფერერი, უაიზი
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
98 000 მაყურებელი

21	კარისკენ დარტყმა	8
9	ასცდა	2
14	ჯარიმა	32
8	კუთხური	3
7	თამაშგარე	3
46	ბურთის ფლობა (დროში)	21
68	ბურთის ფლობა (%)	32

„საპასუხო მატჩში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ დაცვაში რომ არ ჩავსხდებით, ნაღდია. „ბარსა“ გოლების მანქანაა და თუ მას შენც არ შეუტიე, დაღუპული ხარ“. *ჯანლუკა ვიალი, 3 აპრილი. ლონდონი.*

„როცა პირველ მატჩს 3:1 მოიგებ და საპასუხოში დაცვაზე უფრო ფიქრობ, ვიდრე შეტევაზე, ჩვეულებრივი და გასაგები ამბავია“. *ჯანლუკა ვიალი, 18 აპრილი. ბარსელონა.*

რა ხდება? რომელი ვიალია მართალი? ცალ-ცალკე, ალბათ, ორივე. მაგრამ „ღიმილის ბიჭების“ ბეთჰოვენასი არ იყოს, გაჩნია, რა შემთხვევაში! ჩვენ ჯანდაბას — ისეთ დროში ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ, კაცი რომ ერთს ფიქრობს, მეორეს ამბობს და მესამეს აკეთებს, ცხოვრების წესი გვგონია, მაგრამ ვიალი ხომ... მოკლედ, ჯანლუკა შეცდა, მწარედ შეცდა: როცა პირველ მატჩს 3:1 მოიგებ და საპასუხოში დაცვაზე უფრო ფიქრობ, მართლაც გასაგებია. ოღონდ მაშინ, როცა, სიტყვაზე, „ლესტერს“ ან „ოსასუნას“ ხვდები. მაგრამ როცა „კამპ ნოუზე“ საკუთარ კარს მიეჯაჭვები და ფიგუს, კლუივერტსა და რივალდოს შესძახებ, აბა, შემომიტიეთო, არათუ გაუგებარი, საკუთარი ფეხბურთელების მიმართ არაადამიანურიც კია. ის, რაც ამართლებს „სტემფორდ ბრიჯზე“, გამოუსადეგარია „კამპ ნოუზე“, რომლის სიგანეც ლამის სხვების სიგრძის ტოლია. „ბარსელონას“ შესწევს უნარი, შინ ნებისმიერი გუნდის დაცვა გაწელოს. გაწელოს ზამბარასავით, მოედნის მთელ სიგანეზე, ამ დროს კი რაც ხდება, ქართველებზე უკეთ ვინ იცის — დიახ, სადაც ვიწროა, იქ წყდება.

REUTERS ბარსელონიდან

ვავა, ვიალი! „ბარსელონა“ ნახევარფინალში გავიდა

„ჩელსი“ ხუთჯერ გაწყდა. 105 წუთში (მეხუთე გოლის მერე თამაში, ფაქტობრივად, დამთავრდა). ამ 105 წუთში „ჩელსიმ“ მხოლოდ რვა წუთი ითამაშა ისე, როგორც საჭირო იყო. ამ რვა წუთში ჰესპის კართან ორი სახიფათო მომენტი შეიქმნა. ეს რვა წუთი ფლოს ერთადერთი საპასუხო და, ლამის იყო, ნახევარფინალში გამყვანი გოლით დამთავრდა. ეს წუთები იყო, „ბარსა“ მეტოქის საჯარიმოს რომ არ მიახლოვებია.

...პირველი გოლი რიკოშეტით გავიდა — რივალდოს მიერ საჯარიმოდან დარტყმული ბურთი კედელში მდგომი ლებეფის თავზე ასრიალდა და უკვე გადამხტარი დე გუის გვერდით ჩაეშვა. შემთხვევითიო, ჰქვია ასეთ გოლს, მაგრამ როცა მეტოქეს საკუთარი კარისკენ 21-ჯერ დაარტყმევინებ, ბურთი ხან თავში მოხვდება ვინმეს, ხანაც, უკაცრავად და, საჯდომში. მოკლედ, „ბარსელონამ“ პირველივე ტაიმში მიაღწია სასურველ შედეგს. „ძნელი სათქმელია, პირველ ტაიმში ასე ცუდად რატომ ვითამაშეთ, მაგრამ შესვენებაზე მივხვდით, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და მოედანზე გოლის გასატანად გავედით“ — ვიალის 45 წუთი დასჭირვებია იმის მისახვედრად, რომ ასე თამაში არ შეიძლება.

ვივა, ვიალი — ასე ამთავრებს „ჩელსის“ მფლობელი კენ ბეიტსი თავის ყოველ მიმართვას სამწყსოსადმი. ასე გაგრძელდებოდა, გუშინწინ ლონდონელებს შვიდი წუთიც რომ გაეძლოთ. ახლა რა იქნება, ძნელი სათქმელია.

ვან გაალმა, როგორც ხშირად ხდება, გარისკა. რისკი, საერთოდ, ამ კაცის თამაშის სტილია, მითუმეტეს, როცა მეტოქე თამაშს რვა წუთში ამთავრებს და კვლავ შეტევისკენ მოგიწოდებს. რივალდოსა და კლუივერტს დანი შეემატა.

თუმცა მანამდე იყო მომენტი, როცა მატჩის შვიდი არბიტრი პირველად შეცდა და თანამსაჯის აღმართულ ალამს დაუჯერა — ფლო თამაშგარეში არ იყო და ჰესპთან პირისპირაც ალალად გადიოდა. მეორე გოლი „ჩელსის“ ნახევარფინალში გაიყვანდა, მისი იტალიელი მწვრთნელის არასწორი ტაქტიკა კი აღარავის გაახსენდებოდა. **ასეთია ფეხბურთი.**

მეორედ ანდერს ფრისკს 85-ე წუთზე შეეშალა. ამ დროისთვის დანის უკვე გატანილი ჰქონდა ორი მატჩის ჯამის გამთანაბრებელი გოლი და დამატებითი დროც კარს იყო მომდგარი, მაგრამ... ლებეფმა დე გუისთან პირისპირ გასული კლუივერტი უკნიდან მოცელა. მსაჯმა მყის ჩასტვინა და პენალტის თეთრი ნიშნულისკენ გაიქცა ამ დროს წაქცეულმა და [illegible] ცელმა კლუივერტმა ბურთი სამი მცველის ფეხებს შუა მაინც გააძვრინა და შეაგდო. ცხადია, გოლი სამართლიანად არ ჩაითვალა. ფრისკი სწორად მოიქცა. შეცდა იმაში, ლებეფი რომ მოედნიდან არ დაითხოვა, თორემ კლუივერტი რომ ასეთ პოზაში გოლის გატანას მოახერხებდა, შვედი მსაჯი კი არა, მამაზეციერი ვერ წარმოიდგენდა.

პენალტი რივალდომ დაარტყა და ააცილა. ეს ქართველები ახერხებენ პატარა საარჩევნო ბიულეტენის ასევე პატარა საარჩევნო ყუთში ზუსტად ჩაგდებას, თან შინიდან გაუსვლელად, თორემ ფეხბურთში ყველას ყველაფრის აცილება შეუძლია. იმავე დანიმ თავით ორი მეტრიდან ვერ გაიტანა, მაგრამ მერე გაცილებით შორიდან და გაცილებით ძნელი მდგომარეობიდან შეაგდო. რივალდომაც, ორმოცი მეტრიდან რომ ზუსტად ურტყამს, თერმეტიდან ააცილა. **ასეთია ფეხბურთი.**

დამატებითი დროის მეცხრე წუთზე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა დაამტკიცა, რომ ნერვების მოთოკვაშიც უბადლოა და „ჩელსის“ კარში დანიშნული მეორე პენალტიც თავად შეასრულა. ამჯერად უნაკლოდ. ექვს წუთში დანის ჩაწოდებულს კლუივერტმაც შედეგიანად უთავა და თამაშიც დამთავრდა. ვიალმა რატომღაც შემონახული პოიეტი გაიყვანა მოედანზე, სადაც, ცხადი იყო, აღარაფერი შეიცვლებოდა.

„ჩვეულებრივ, როცა თამაშებს ვიგებთ, ვან გაალი არაფერს გვეუბნება, ამჯერად კი მოგვილოცა“ — ფიგუს ეს სიტყვები ჰოლანდიელის უზომო სიხარულის დასტურია. თავად გამარჯვებული მწვრთნელი კი ამბობს: „ხუთი კი არა, მეტის გატანაც შეგვეძლო. თან იმ გუნდის კარში, რომელიც ამდენს არასდროს უშვებს. მოკლედ, ბედნიერი ვარ. ასეთი ემოციური თამაში მწვრთნელისთვისაა დამლუპველი, თორემ ხალხისთვის გადასარევი სანახაობაა“.

მართლაც გადასარევი რამ იყო. **ასეთია ნამდვილი ფეხბურთი.**

სადღა არიან იტალიელები?

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. II წრე

ლაციო — **ვალენსია**

1:0 (2:5)

1:0 ვერონი (52)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, პანკარო (მანჩინი 76), ნესტა, მიხაილოვიჩი, ალმეიდა (სიმეონე 84), ვერონი, ნედვედი (ს. ინძაგი 46), სერჟიო კონსეისაო, ბოკშიჩი, სალასი
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
ვალენსია: კანისარესი, ბიორკლუნდი, ანგლმა, ჯუკიჩი, პელეგრინო, ფარინოსი, ხერარდი, მენდიეტა (ალბელდა 60), კილი გონსალესი, ანგულო (ოსკარ გარსია 81), კლაუდიო ლოპესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: კილი გონსალესი, პანკარო, კანისარესი
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
60 000 მაყურებელი

21	კარისკენ დარტყმა	7
10	ასცდა	5
31	ჯარიმა	12
16	კუთხური	1
4	თამაშგარე	6
30	ბურთის ფლობა (დროში)	22
57	ბურთის ფლობა (%)	43

„ვალიარმა, რომ ესპანეთის ჩემპიონატში ვალენსიელთა არცთუ შთამბეჭდავმა თამაშმა შეცდომაში შეიყვანა — განაცხადა სვენ გორან ერიკსონმა — სტუმრად დამარცხების მიზეზიც ეს გახლავთ. რომში კი დიდებულად ვითამაშეთ, მაგრამ ბრძოლა უკვე წაგებული იყო. „ვალენსიას“ ძალიან კარგი მცველები ჰყავს, ხოლო მისი კონტრშეტევები მართლაც მომაკვდინებელია“.

„ლაციო“ უტევდა. უტევდა ბევრს და გააფთრებით. თუნდაც სტატისტიკური მონაცემები ავიღოთ: რომაელებს მეტი კარში დარტყმა და კუთხური აქვთ, ბურთსაც უფრო ხშირად ფლობდნენ. სხვაგვარად ვერც იქნებოდა — მათ სამბურთიანი სხვაობა უნდა გაექვითათ. მაგრამ ციფრები სხვა რამეზეც მიგვანიშნებს. მასპინძლები ოცდათერთმეტჯერ დაჯარიმდნენ, სტუმრები — მხოლოდ თორმეტჯერ. ეს ერთ რამეს ნიშნავს. ვალენსიელები უფრო მშვიდად თამაშობდნენ, თავს კარგად იცავდნენ (როგორც ექტორ კუპერმა განაცხადა, იტალიურ სტილში) და სახიფათო კონტრიერიშებით ცდილობდნენ მეტოქის გატეხვას. მათი შეტევები რომ მართლაც სახიფათო იყო, 67-ე წუთზე ხერარდის გატანილი (თუმცა არბიტრის მიერ შეცდომით ჩაუთვლელი) გოლიც მოწმობს.

რომაელთა იერიშებიდან კი რომელი ერთი ვახსენოთ. სიმონე ინძაგი, მათიას ალმეიდა, პაველ ნედვედი, სერჟიო კონსეისაო, ალენ ბოკშიჩი, მარსელო სალასი — ყოველ მათგანს შეეძლო, თავი გამოეჩინა, მაგრამ ხან სიზუსტე აკლდათ, უფრო კი სანტიაგო კანისარესი და ვალენსიელი მცველები თამაშობდნენ საიმედოდ. საბოლოოდ „ლაციო“ ერთ გოლს დასჯერდა. 52-ე წუთზე ხუან სებასტიან ვერონმა საჯარიმოს გარედან უძლიერესად დაარტყა და ბურთი კანისარესის კარის მარჯვენა „ცხრიანში“ ჩაჭედა.

REUTERS რომიდან

ხერარდმა (№14) ნესტას აჯობა, „ვალენსიამ“ — „ლაციოს“

„ვალენსიამ“ წააგო, მაგრამ ეს ორი მატჩის ჯამში გამარჯვების მომტანი წაგება იყო. ამიტომაც თქვა პრესკონფერენციაზე ექტორ კუპერმა: „უაღრესად ბედნიერი ვარ. ნახევარფინალში გავედით, თან უძლიერესი მეტოქე დავამარცხეთ, ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს. არჩეულმა ტაქტიკამ გაამართლა — პირველ მატჩში მიღწეული სამბურთიანი უპირატესობის შესანარჩუნებლად ასეთი თამაში სავსებით საკმარისი გახლდათ. შემდეგ წრეში „ბარსელონას“ მეტოქეობით უკმაყოფილო არა, მაგრამ გაოცებული ნამდვილად ვარ. რა დასამალია და კატალონიელებისგან ასეთ შედეგს არ ველოდი. მიხარია, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ორმა ესპანურმა გუნდმა გააღწია. იქნებ „რეალიც“ შემოგვიერთდეს? ნახევარფინალამდე კი მთელი ყურადღება შინაურ ჩემპიონატზე უნდა გადავიტანოთ. ახლანდელ მეხუთე ადგილს ვერ დავჯერდებით“.

აღსანიშნავია, რომ რომაულ მატჩში თამაშის ხარისხით ორივე გუნდის ფეხბურთელები კმაყოფილნი არიან, მხოლოდ შედეგს აღიქვამენ სხვადასხვაგვარად.

კლაუდიო ლოპესი: „პირველ ტაიმში შევძელით, რომ თამაშის სადავეები ხელიდან არ გაგვეშვა. შესვენების შემდეგ ვერონის გატანილმა გოლმა, ცხადია, დაგვამწუხრა, თუმცა ბრძოლა განვაგრძეთ. საბოლოო შედეგიც ამაზე მიგვანიშნებს“.

ალესანდრო ნესტა: „ნაღვლიანი საღამოა. დარწმუნებული ვარ, „ლაციო“ „ვალენსიაზე“ უკეთესი გუნდია. მოსაგებად ყველაფერი გავიღეთ, თუმცა ორი კვირის წინანდელმა ჩავარდნამ თავისი გავლენა იქონია. ისღა დაგვრჩენია, მთელი ყურადღება სერია A-ზე გავამახვილოთ“.

ლუკა მარკეჯანი: „ალბათ, ჩემპიონთა თასის მოგების ბოლო შანსი მქონდა (მარკეჯანი 34 წლისაა). რომ არა ვალენსიაში დაშვებული შეცდომები...“

ასე დასამარდა იტალიელთათვის მიმდინარე სეზონში ევროთასის აღების უკანასკნელი იმედი. ესპანელები კი არხეინად არიან — ლიგის ფინალში ერთი გუნდი უეჭველად ეყოლებათ.

ერთიც დავამატოთ. ექტორ კუპერმა შური იძია. გეხსომებათ, წინა სეზონში თასების მფლობელთა თასის უკანასკნელ ფინალში „ლაციომ“ კუპერისეული „მალიორკა“ დაამარცხა. ისე, მწვრთნელი კი ამბობს, რევანშზე არც მიფიქრიაო, მაგრამ ვინ იცის...

დელ პიერო თავს ბუნებრივად თავდასხმაში გრძნობს

ფიგურათა ამბიციები

„იუვენტუსი“ სკუდეტოს კვლავ მიუახლოვდა

კაცი, რომელიც საკუთარი თამაშით კმაყოფილი არასდროს არის, იტალიის ჩემპიონატის 30-ე ტურის შემდეგ ვინ იცის მერამდენედ მოექცა ყურადღების ცენტრში. „იუვენტუსის“ ვარსკვლავზე, ალესანდრო დელ პიეროზე მოგახსენებთ. არა, ამჯერად დელ პიეროს გოლი არ გაუტანია, არც მისთვის ჩვეული კარგი თამაშით გამოუჩენია თავი. კვირას მან უჩვეულოდ და კარგად ითამაშა სწორედ ამიტომაც მიიპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება.

კვირას, მილანში, „სან სიროზე“, „ინტერს“ და მის თავკაცს, მარჩელო ლიპის, დელ პიერო იმ ამპლუაში მოეევლინა, რომელშიც თავად ლიპი „იუვენტუსის“ წვრთნისას, ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში ათამაშებდა — გამთამაშებლად. შემდეგ, მოგეხსენებათ, იმზანად ამომავალ ვარსკვლავს ფუნქცია თავად ლიპიმ შეუცვალა, წინ გაწია და მას მერე შერჩა კიდევაც ფორვარდად როგორც კლუბში, ასევე იტალიის ნაკრებში. და აი, კარგა ხნის შემდეგ, 2000 წლის 16 აპრილს ალესანდროს ისევ თავდამსხმელების უკნიდან მოუხდა მოქმედება.

„ჩემს ამპლუად მაინც იმას ვთვლი, რომელშიც ჩვეულებრივ ვთამაშობ როგორც „იუვეში“ ასევე „სკუადრა ამურაში“. მიუხედავად ამისა, როდესაც საჭიროა ნებისმიერ საქმეს შევასრულებ. საბედნიერდ, ამჯერად, ექსპერიმენტმა დადებითი შედეგი გამოიღო“ — თქვა „ინტერთან“ 2:0 გამარვჯების შემდეგ დელ პიერომ.

უმრავლესობამ ეს გამარჯვება „იუვენტუსის“ ნაადრევ ჩემპიონობად მიიჩნია, თითქოს ამიერიდან კონკურენტები, უპირველეს ყოვლისა კი „ლაციო“, მისი დამწვევი აღარ არიან, მაგრამ დელ პიერო ფრთხილობს:

„ხომ გახსოვთ ერთი თვის წინანდელი მდგომარეობა, როდესაც ცხრა ქულით ვუსწრებდით უახლოეს მდევარს და, ბუნებრივია, გაცილებით კომფორტულად ვგრძნობდით თავს. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ არხეინად ყოფნა არ გვარგებს, პირიქით, თავი გადამწყვეტი ბრძოლებისთვის უნდა განვაწყოთ“.

აღსანიშნავია, რომ დელ პიეროს გამთამაშებლად გადაყვანა ჭადრაკის ფიგურათა უმტკივნეულო გადაადგილების ტოლფასი არ არის, ვინაიდან ეს მსოფლიო ფეხბურთის მეორე ვარსკვლავის, ზინედინ ზიდანის სათადარიგოთა სკამზე დასმას ნიშნავს. მართალია ზიდანს ჯერ ხმა არ ამოუღია — გუნდის ინტერესები უპირველესია — მაგრამ თუ გამთამაშებლობაზეა ლაპარაკი, ფრანგი ამ საქმეში სწორუპოვარია და ასე გაგრძელების შემთხვევაში ხმამაღლა რომც არაფერი გააპროტესტოს, აგენტს დაურეკავს და ახალი გუნდის შერჩევას სთხოვს.

გავიხსენოთ ასეთი ისტორია: დაახლოებით ერთი წლის წინ ძალიან გაძლიერდა ხმები ზიდანის „იუვენტუსიდან“ წასვლის შესახებ. ამბობდნენ, რომ მას თვალი ესპანეთისკენ უჭირავს, რადგან მეუღლე ესპანელი ჰყავს, რომელსაც გული საშობლოსკენ მიუწევსო. იმასაც ამბობდნენ, რომ ზიდანის ცოლს იტალიის სხვა ქალაქებთან შედარებით უსახური და ინდუსტრიული ტურინი მობეზრდაო. შემდეგ ეს ხმები „იუვეს“ მხცოვანი, საპატიო პრეზიდენტის, კონცერნ „ფიატის“ მეპატრონის, ჯოვანი ანიელის ჩარევამ მიასუსტა და სულაც გააქრო, მაგრამ, აბა, მეწარმე, თუნდაც გენიალური, კაცს მეუღლესაც ხომ ვერ გაუქრობდა.

გავიხსენოთ კიდევ ერთი ამბავი: კარლო ანჩელოტი, „იუვენტუსის“ დღევანდელი მწვრთნელი, ცნობილი სპეციალისტის, არიგო საკის ნამოწაფარია, მის იდეებზე გახლავთ აღზრდილი და მოძღვრის თეორიას ერთგულად ნერგავს ცხოვრებაში. თეორია კი გამთამაშებლის ფიგურის მაინც და მაინც შემწყნარებელი არ გახლავთ. მის თანახმად ნახევარმცველთა მოქმედება სქემას ემორჩილება და შესაბამისად ყველა შუახაზელი შეთავსებით დირიჟორიცაა, ოღონდ მისთვის განსაზღვრული მიმართულებით ხელმძღვანელობს ორკესტრს. სწორედ ამით იყო განპირობებული უარი, ჯერ კიდევ „პარმას“ სათავეში ყოფნისას ანჩელოტიმ რობერტო ბაჯოს რომ შეუთვალა — შენი შეძენა არ მინდა, ჩემს თეორიას ვერ ერგებიო.

აქ მკაფიოდ გვინდა ვთქვათ, რომ ყველაფერი, რაც ბოლო აბზაცებში წაიკითხეთ ეჭვი და მოსაზრებაა, რომელიც შესაძლოა სინამდვილისგან ძალიან შორსაც იყოს. თანაც, ბოლოს და ბოლოს, ზიდანის ნაცვლად დელ პიეროს თამაში, პრინციპში, ერთი გამთამაშებლის მეორეთი შეცვლაა, თუმცა, ჩვენი აზრით, ფრანგის სტილი უფრო თავისუფალია ვიდრე იტალიელისა და სწორედ ეს გვენიშნა, მაგრამ მთავარი სხვა რამ არის.

„საკუთარი თამაშით კმაყოფილი არასდროს გახლავართ, რაც კარგი თვისება მგონია, რადგან კმაყოფილი კაცი თავს მეტ და მეტ მოთხოვნებს აღარ უყენებს. ვერ გეტყვით ნასიამოვნები მრჩებიან თუ არა ქომაგები, მაგრამ მხარდაჭერას არასდროს მაკლებენ და ეს დიდად მეხმარება. მათი კეთილგანწყობა გოლების გატანაში და საკუთარ თავად დარჩენაში მიწყობს ხელს, თუმცა მთავარი ჩემპიონობაა, თუნდაც ჩემი გოლების გარეშე“ — ამბობს დელ პიერო და რასაკვირველია მართალია.

პაპუნა კედია

გვახსოვხარ! გამაგრდი!

ზინედინ ზიდანს კვირას, იტალიის ჩემპიონატის 30-ე ტურის შეხვედრაში, „ინტერთან“ არ უთამაშია. მეორე დღეს იგი პარიზს ეწვია, სადაც „სტად დე ფრანსზე“ სათამაშოების ფირმა „ლეგოს“ მიერ ახალი თამაშის, „ლეგო ფუტბოლის“ წარდგენაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო სამშაბათს ტურინში დაბრუნდა და „იუვენტუსის“ მორიგ ვარჯიშში ჩაერთო.

ეს ამბავი საგანგებოდ იმიტომ აღვნიშნეთ, რომ 1998 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა პარიზში საავადმყოფოში მისვლა და იმავე ტიტულის 1996 და 1997 წლების მფლობელის, რონალდოს მონახულება მოასწრო. შეხვედრისას ვარსკვლავებს სწორედ ზემოხსენებული მატჩის, მათი გუნდების შეხვედრის („იუვენტუსმა“ მოიგო 2:1) შესახებ უსაუბრიათ.

ვიზიტამდე ზიდანს ნათქვამი ჰქონდა, რომ იტალიის თასის პირველი ფინალური თამაშისთვის, რომელშიც ოთხთვიანი მკურნალობის შემდეგ მოედანზე ექვსი წუთით დაბრუნებული რონალდო დაშავდა, არ უცქერია და სამწუხარო ამბავი მხოლოდ ახალ ამბავთა სატელევიზიო გამოშვებაში შეიტყო. „ეს საშინელება იყო, როგორც პირადად რონალდოსთვის, ასევე მსოფლიო ფეხბურთისთვის“ — დასძინა მსოფლიოს ჩემპიონმა.

ბრაზილიელის ტრავმამ იტალიის პირველობის ლიდერის სხვა მოთამაშეები და წარმომადგენლებიც შეაწუხა.

ალესანდრო დელ პიერო: „წარმოუდგენელი უიღბლობაა. თამაშს ტელევიზიით ვუყურებდი და რონალდო რომ დაშავდა, საკუთარი თავი გამახსენდა. ასეთ დროს რას გრძნობ სხვათათვის მიუწვდომელია. გარედან ძნელია თქმა მოედანზე დაბრუნების დიდმა სურვილმა ხომ არ გადაადგმევინა რონალდოს ნაჩქარევი ნაბიჯი. ფეხბურთი ხომ ნარკოტიკივითაა, თუ შენ არ თამაშობ ცუდად ხარ და მოედანზე გასვლას ეშურები“.

ჩირო ფერარა: „ტელევიზორთან ვიჯექი და რომ დავინახე რონალდოს რა შეემთხვა, გული დამეწვა. ეს ჩემს ყველაზე საძაგელ ტრავმაზე უარესი იყო, რადგან მას არავინ მიჰკარებია. როდის დაბრუნდება, ვერ გეტყვით, ეს ტრავმის ტიპზეა დამოკიდებული. ექიმებმა რაც უნდა თქვან, თავად რონალდოზე უკეთ ვერავინ ვერაფერს იგრძნობს“.

კარლო ანჩელოტი: „არ მგონია, რომ რონალდოს კარიერა დასრულდა. თავად გამომიცდია ერთი და იგივე ადგილის ორჯერ დაშავება. ასეთ დროს მთელ ცხოვრებას სხვანაირად უყურებ და შემდეგ სხვა ადამიანი ბრუნდები“.

ბრსეროპოლიტური ფიეროხილვა

— **უი**, რა კარგია... ფუ, ეს რა ვთქვი... არა, მაინც ძალიან კარგია. მართალი არ ვარ? რა უნდა მეტი? ფული გვაქვს, აქეთ-იქიდან წილები მოგვდის. მოკლედ, ასი წელი, რა... დაჯდეს ახლა სახლში, იყოს ჩემთან, ბავშვის მოვლაში დამეხმაროს. გადია გადიაა, მამა ხომ არ არის. მერე, მე რა ვიცი იქ, სადღაც რომ დადის ვინ ქალები ეკიდებიან. რატომ უნდა ვუყოფდე ჩემს ქმარს ვილაც გოიმ გოგოშკებს. დღეს აქ ვთამაშობთო, ხვალ იქო... იმ დღეს არ იყო, მუხლებში რომ ჩავუჯექი, კისერზე ხელები შემოვხვიე, ვაკოცე და ვხედავ სხვა რაღაცაზე ფიქრობს. ცოტა მწარედ კი ვუთხარი, მაგრამ არა უშავს, გაიგოს, რომ იმ თავის ფეხბურთზე უფრო ნაკლები უნდა იფიქროს ვიდრე ჩემზე. ნაკლები კი არა, სულაც რომ არ იფიქროს არაფერი მოუვა, ფული ხომ უკვე გვაქვს და მილიონით მეტს რა მნიშვნელობა აქვს. არა, მნიშვნელობა როგორ არა აქვს... დედა, ის რა კარგი ფაზენდა ვნახე რიოსთან. ის მინდა. ესეც კარგი იყო, პარიზის სამხრეთით... არა ჩრდილოეთით... უჰ, სულ მერევა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ეგ სამხერთი და ჩრდილოეთი იმ მაკლერმა ხომ იცის, მე რად მინდა. ახლა, სამი მილიონი ჩემთვის რომ მქონდეს გემოზე შევიძენდი და მოვაწყობდი ყველაფერს. რას იზამ, ასეთი დროა, პატარა გაჭირვება გვაქვს. არა, არა, ამ სამ მილიონს ისე მოვაცემინებ. ჩემი ბაჭინიო-კიჭინიო გულჩვილი კაცია. თან როგორ ვუყვარვარ. კარგია, ძალიან კარგი, იჯდეს სახლში. ბოლოს და ბოლოს სულ არ მინდა ის სამი მილიონი, ჩემთან იყოს და ფუ, როგორ შეიძლება საყვარელ ცოლიკოზე მეტად ფეხბურთზე იფიქრო. არადა, ეს ბინაც რომ არ მომწონს... — მილენა დომინგუშმა ნერვიულად მოუკიდა სიგარეტს და სავარძელში უფრო ღრმად ჩაეფლო.

— სანტა მარია, რა მილიონები მეყრება წყალში. თუ სულ საავადმყოფოში აპირებდა გდებას რაღა ჩემს ბედად გადმოეთრა მილანში. ახლა ნახე, მაგას რომ ეთამაშა, აქეთ რეკლამაზე ჩვიდმეტ მილიონს ვიღებდი, იქით „ნაიკი“ 30 მილიონ ვალს მაპატიებდა, თორმეტ მილიონ ნახევარს ნავთობის აქციებზე მოვიგებდი და იმ ამბავზე ხომ საეროოდ 70-80 მილიონს ისე ჩავიდებდი, როგორც არაფერი. მაისამდე მაინც გაეძლო. ოხ, სან ანტონიო. რა ვქნა, რა ვქნა. საზიზღარ ბაყაყჭამია ექიმსაც დაუღია პირი და საქვეყნოდ გაიძახის რა ჭირს და როგორ. ერთი ჯაპპიეროს უნდა გადავურეკო, იქნებ იმ ამერიკელმა რაიმე ახალი შეთოდი მოიგონა. სექტემბრიდან მაინც დავაწყებინო თამაში და დეკემბერში ის ფეხი სულ რომ მოწყდეს მანამდე ყველაფერს ავაწყობ. პრობლემა აღარ იქნება. გაგონილა კაცო, ერთს გულის ოპერაცია მაინცდამაინც ჩემს ხელში აქვს გასაკეთებელი, მეორეს მუხლი გაუხდა შესაცვლელი... იმ გაპიჟონებულმა გლეხმა კიდევ თამაშები მოიგოს თორემ... — ჩაფიქრებულ მასიმო მორატის სიგარა ჩაუქრა. პრეზიდენტის საკუთარი თვითმფრინავი რომის აეროპორტში ეშვებოდა.

— ცამდე მართალი იყო ცხონებული მამაჩემი თავს ბურჟუაზიისგან შორს რომ იჭერდა. მე რომ გავერიე, რა მოვიგე? კომუნისტი კაცი იყო მამა, პროლეტარი, მართალი კაცი. მემუშავა „ნოჩერინაში“ ან, თუ მაინც და მაინც, „რეჯანა“ — „რეჯინაში“. რა მინდოდა, „იუვენტუსიო“, „ინტერიო“. ეჰ, უფულობას რა ვუთხარი, თორემ. რა ვუყო ახლა. ამ კრეტინმა ბიჭმა ისევ მოიტეხა ეს მუხლი და დავრჩი მუტუს ამარა. ვახ, რომ არ დამტვრეულიყო თამაშს თამაშზე მოვიგებდი და იმ ხიხო ანჩელოტისაც ვაჩვენებდი სეირს. ახლა ამ გაფხორილ მორატის რა გაუძლებს. რა ვქნა? ბაჯოს რომ მომკლა არ დავაყენებ, დი ლივიო „ფიორენტინაში“ გაუშვეს... ბაჯო არა... ეგ ბალერონი, ეგა. სამორანო იცოცხლე ჯიგარია, მაგრამ ბურთის სისწრაფეზე წამლებიც ხომ მინდა. რეკობა ჯერ ლაწირაკია. ოხ, შენი დამტვრეული დედა... მაისამდე გაეძლო და მერე კისერიც მოეტეხა. ბიჭო, სამსახურიდან რომ გამაგდონ, იმ სოფლის ვილას რა ჯანდაბით ვიყიდი. იახტის ფულს ხომ არ მოვაკლებ. მერე არ გინდა ამ დედაკაცის გაძლება... — მარჩელო ლიპი ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა. მწვრთნელი ახლაღა მიხვდა, რომ თაროს წინ იდგა და გარდაცვლილი მამის ძველ ფოტოს ელაპარაკებოდა.

— მივიღე ბურთი, შემოვტრიალდი. წინ ორი მცველი მიდგას. გავაკეთე ტალღისებურად რომ ვიცი, აქეთ, იქით. ბურთი გავიგდე და წინ 15 მეტრი მანძილია. შუაში სამორანო მცველს აბამს. მივქრივარ. ფინალია, 89-ე წუთი. მეკარე ხვდება, რომ სტოპერი ჩემზე ვერ გადმოვა, თორემ იმ წუთას ვანიჩკას მივცემ პასს. ჰოდა, გამოდის, მაგრამ წამი უკვე დაკარგული აქვს. მერე ჩემებურად დაბლა, ცუცურმას ვარტყამ და გოოოოოლ! გოოოოლ! მილენა ტრიბუნიდან ხელს მიქნევს, ბაია გადიასთან ჰყავს დატოვებული. ო, როგორ უხარია ქმრის წარმატება. გოლ! გოლ! — საავადმყოფოს ლოგინი შეზანზარდა. რონალდო გონს მოეგო და თვალს უცაბედი, სიმწრის ცრემლი მოადგა. იქვე, სინზე ხელუხლებელი სადილი ცივდებოდა.

— შენ იყავი კარგად და... გული კი მისკდება, მაგრამ მერე იქნებ ფეხბურთსაც დაუბრუნდე. რა ვქნა, ისე ცხოვრება არ შეგიძლია თორემ... მე ეგ მილიონები სულ არ მინდა. წავალ, კიდევ ვილოცებ — შუახნის სინიორა სამზარეულოდან საძილე ოთახში გავიდა.

პაპუნა კედია

ავტორი ფიქრობს, რომ საქართველოში კორუფციასთან ბრძოლა მისი ლეგალიზაციითაა შესაძლებელი

ასე შეგაყვარე თავი. შენი მილენა

ქუდზე კაცი

მასტერსის სერია — მონტე კარლო. მონაკო. თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $

მიუხედავად იმისა, რომ წლეულს მასტერსის (ყოფილი მერსედეს სუპერ 9), სერიის ცხრავე ტურნირზე თამაში საუკეთესოთა 50-ეულის ყველა წევრისთვის სავალდებულო გახდა, ვარსკვლავთა უმეტესობა ზედმეტად გადაღლას მაინც თავს არიდებს. ვითომდა რა სჯობს მონტე კარლოში მზეზე მიფიცხებას, კაზინოში შევლასა და ხმელთაშუაზღვისპირა ქალაქში რამდენიმე დღის გატარებას, მაგრამ ანდრე აგასი, პიტ სამპრასი, პატრიკ რაფტერი, ნიკოლას კიფერი და სხვანი ამ პრესტიჟულ პირველობაზე მაინც არ გამოცხადდნენ და შორიდან შემოთვალეს თავის გასამართლებელი მიზეზები.

თითქოს ეს დანაკლისი საკმარისი არ იყო, პირველივე წრეში ტურნირმა კიდევ რამდენიმე, უკლებლივ ყველა სამხრეთამერიკელი ფავორიტი დაკარგა.

შარშანდელმა ჩემპიონმა გუსტავო კუერტენმა (2) სლოვაკ კაროლ კუჩერასთან მატჩი მშვენივრად დაიწყო და პირველი სეტი იოლად მოიგო — 6:3. ამის შემდეგ „გუგამ“ აურია, უაზრო შეცდომების კორიანტელში ზედიზედ 8 გეიმი წააგო და საბოლოოდ კორტი თავჩაქინდრულმა დატოვა 6:3, 0:6, 2:6.

ბრაზილიელს თავის მართლება არ გასჭირვებია: „თითქმის სამი თვეა, ზურგი მაწუხებს, ექიმები ამბობენ, რომ ძვლის ანთების ბრალია. ზოგჯერ მეტად მტკივა, ზოგჯერ ნაკლებად და ხშირად გამაყუჩებლების მიღებაც მიხდება. ალბათ, აჯობებს რამდენიმე კვირით დავისვენო და სრულ გამოჯანმთელებას დაველოდო. მოძრაობა არ მიჭირს, მაგრამ ძალასა და სიზუსტეში მოვიკოჭლებ.“

REUTERS მონტე კარლოდან

მარკ როსე ჯავრს ქუდზე იყრის

პირველივე წრეში გავარდა შარშანელი ფინალისტი მარსელო რიოსიც. კიკინიანმა ჩილელმა თვალსაწიერიდან გამქრალ ესპანელ ფელიქს მანტიასთან წააგო 0:6, 6:4, 2:6 და მოგვიანებით პერსონფერენციაზეც არ გამოცხადდა.

გაცილებით უკეთეს ხასიათზე გახლდათ მეშვიდედ განთესილი ტომ ჰენმანი, რომელმაც მონტე კარლოში წლეულს პირველად გადალახა პირველი ბარიერი და 19-წლიანი ნავსიც გატეხა — უკანასკნელად ინგლისელს მატჩი აქ 1981-ში მოეგო.

შვეიცარიელმა მარკ როსემ ყველანაირად შეუწყო ხელი ჰენმანს გამარჯვებაში: მნიშვნელოვან მომენტებში გამუდმებით სცოდავდა, ბოძებულ შანსებს ვერ იყენებდა და ჯავრს მეტოქეზე კი არა, საკუთარ ჩოგანზე უფრო იყრიდა.

მეორე ხელის დასაწყისში როსე ჯერ უწმაწური სიტყვის ხმამაღლა წარმოთქმისთვის გაიფრთხილეს, მერე კი ჩოგანთან სასტიკად მოჰყრობისთვის ერთი ქულითაც დაჯარიმეს. ორმეტრიანმა შვეიცარიელმა კორტზე ATP ტურის ზედამხედველს უხმო, უსამართლოდ მჩაგრავენო, მაგრამ საქმეს არც ამან უშველა.

მაშინ როსემ სხვა ხერხს მიმართა — მორიგი ქულის წაგების შემდეგ თავიდან კეპი მოიძრო, მთელი ძალით ძირს დაახეთქა და მთავარი მსაჯის რეაქციას დაელოდა. რაკი ამას სასჯელი არ მოჰყოლია, შვეიცარიელი გამალებით ზევით-ქვევით ხტომას შეუდგა და უდანაშაულო ქუდი უმოწყალოდ გათელა ფეხით, თუმცა მსაჯი ვერც ამით წამოაგო ანკესზე.

1992 წლის ოლიმპიურ ჩემპიონსაც რაღა დარჩენოდა, ბედს შეურიგდა და საათზე ოდნავ მეტში ზედმეტი ხმაურის გარეშე დამარცხდა ჰენმანთან 3:6, 2:6.

„სამართლე გითხრათ, მარკს ცოტა მეც თანავუგრძნობდი. ქულის ჩამორთმევა ერთობ მძიმე სასჯელი იყო — განაცხადა მატჩის შემდეგ ინგლისელმა — მაგრამ მას ვერაფრით გაუგებ. ზოგჯერ მგონია, რომ თავადაც არ იცის, რას მიიმოქმედებს ერთ წუთში, კარგად ითამაშებს, თუ მოყვარული ჩოგბურთელის დონეზე.“

პირველი წრე: ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 6:3, 6:3; მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 3:6, 6:3, 6:4; ფრანკო სკილარი (არგენტინა) — ნიკოლას ლაპენტი (4, ეკვადორი) 6:2, 7:6 (7:5); ტომას ენკვისტი (6, შვედეთი) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 6:3, 6:2; ალეძს კორეტხა (9, ესპანეთი) — ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:1; კარლოს მოია (ესპანეთი) — შტეფან კუხეკი (16, ავსტრია) 1:6, 6:3, 6:0.

ავთანდილ სვანიძე

კლასიფიკაცია

ქალები

1.1	ლინდსი დევენპორტი (აშშ)	6073
2.2	მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	6046
3.3	ვინუს უილიამსი (აშშ)	3279
4.4	მარი პირსი (საფრანგეთი)	2645
5.5	ნატალი ტოზია (საფრანგეთი)	2549
6.6	სერენა უილიამსი (აშშ)	2489
7.9	მონიკა სელეში (აშშ)	2202
8.8	კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	2133
9.7.	ჟული ალარი (საფრანგეთი)	1986
10.11	არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)	1873
11.10	სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი)	1867
12.13	ბარბარა შეტი (ავსტრია)	1729
13.12	ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	1677
14.14	ანა კურნიკოვა (რუსეთი)	1571
15.16	ანკე ჰუბერი (გერმანია)	1535
16.15	ამელი მორესმო (საფრანგეთი)	1443
17.21	ელენა ლიხოვცევა (რუსეთი)	1420
18.18	დომინიკ ვან რუსტი (ბელგია)	1352
19.20	ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა)	1316
20.22	ნატალი დეში (საფრანგეთი)	1275
21.19	აი სუგიამა (იაპონია)	1270
22.17	ემი ფრეზერი (აშშ)	1262
23.23	სილვია ტალაია (ხორვატია)	1098
24.25	საბინე აპელმანსი (ბელგია)	1060
25.24	ჩანდა რუბინი (აშშ)	1010
26.26	რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი)	977
27.27	კიმ კლაისტერსი (ბელგია)	954
28.28	ლაიზა რეიმონდი (აშშ)	940
29.30	სილვია პლიშკე (ავსტრია)	933
30.29	პატი შნიდერი (შვეიცარია)	897
34.34	ელენა დემენტიევა (რუსეთი)	840
40.42	ელენა დოკიჩი (ავსტრალია)	720

კაცები

ჩემპიონთა რბოლა 2000

1.	ანდრე აგასი (აშშ)	252
2.	ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)	224
3.	პიტ სამპრასი (აშშ)	218
4.	მაგნუს ნორმანი (შვედეთი)	188
5.	ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	187
6.	ტიმ ჰენმანი (ინგლისი)	140
7.	ნიკოლას კიფერი (გერმანია)	137
8.	ტომას ენკვისტი (შვედეთი)	136
9.	გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	134
10.	ალექს კორეტხა (ესპანეთი)	131

კლასიფიკაცია ძველი სისტემით

1.1.	ანდრე აგასი	5074
2.2.	პიტ სამპრასი	3334
3.3.	ევგენი კაფელნიკოვი	2831
4.4.	გუსტავო კუერტენი	2455
5.5.	მაგნუს ნორმანი	2275
6.7.	ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი)	1995
7.6.	ნიკოლას კიფერი	1986
8.8.	მარსელო რიოსი (ჩილე)	1769
9.9.	ტომას ენკვისტი	1740
10.10.	ტიმ ჰენმანი	1720
11.11.	ლეიტონ ჰიუიტი	1670
12.12.	სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი)	1581
13.13.	ალექს კორეტხა	1506
14.14.	პატრიკ რაფტერი (ავსტრალია)	1436
15.15.	გრეგ რუზეტკი (ინგლისი)	1339
16.16.	იუნეს ელ აინაუი (მაროკო)	1291
17.19.	ტომი ჰაასი (გერმანია)	1196
18.20.	მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	1179
19.18.	ალბერტ კოსტა (ესპანეთი)	1160
20.23.	ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი)	1145

ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 2000-ში

1.	ლინდსი დევენპორტი	1 075 655
2.	მარტინა ჰინგისი	1 036 039
3.	მარი პირსი	265 667
4.	სანდრინ ტესტიუ	264 836
5.	მონიკა სელეში	258 750
6.	კონჩიტა მარტინესი	242 064
7.	ანა კურნიკოვა	223 709
8.	სერენა უილიამსი	221 956
9.	ჟული ალარი	207 443
10.	ჯენიფერ კაპრიატი	181 017
11.	აი სუგიამა	180 943
12.	ნატალი ტოზია	177 358
13.	ელენა ლიხოვცევა	170 070
14.	ლაიზა რეიმონდი	162 501
15.	რენე სტაბსი (ავსტრალია)	139 888

1.	ანდრე აგასი	634 870
2.	პიტ სამპრასი	599 896
3.	ევგენი კაფელნიკოვი	477 544
4.	ალექს კორეტხა	449 002
5.	გუსტავო კუერტენი	340 979
6.	ტომას ენკვისტი	332 499
7.	ლეიტონ ჰიუიტი	325 806
8.	მაგნუს ნორმანი	304 186
9.	ნიკოლას კიფერი	294 866
10.	ნიკოლას ლაპენტი	276 192
11.	ტიმ ჰენმანი	268 827
12.	ფაბრის სანტორო (საფრანგეთი)	260 980
13.	მარკ ფილიპუსისი	235 562
14.	მარკ როსე (შვეიცარია)	229 522
15.	სედრიკ პიოლინი	215 789

შენი მუშტები ხალხს უხარია

ლუისს ურჩევენ შეჭამრობა არ ინანოს

ახლოვდება 29 აპრილი, როცა „მედისონ სკვერ გარდენში“ ბრიტი ლენოქს ლუისი თავის ორ საჩემპიონო ქამარს დაიცავს ამერიკელი მაიკლ გრანტის ხელყოფისგან. ამასობაში კი მძიმე წონაში უკვე მომხდარია ერთი დიდი სკანდალი — პრომოუტერ დონ კინგის სარჩელით ლუისს უკვე ჩამოერთვა ასოციაციის (ვბა) ჩემპიონის ქამარი, რახან უარი თქვა ამ დაწესებულების პირველ პრეტენდენტ ჯონი რუისთან შერკინებაზე. ბრიტს ორი ქამარი დარჩა (ვბკ და იბკ), მაგრამ თავს კვლავ მსოფლიოს უდავო ჩემპიონად თვლის.

ლენოქს ლუისის უცნაური ხასიათის გამო ყოველთვის ბევრს ლაპარაკობდნენ. იმასაც კი, ევანდერ ჰოლიფილდთან რომ პირველივე შეხვედრაში ვერ იმარჯვა, მის უხასიათობას მიაწერენ. ანუ ლუისს იმდენად სჯერა, თავისი სიძლიერისა, რომ ბრძოლისას მოტივაცია შემოაკლდება ხოლმე.

ლენოქს ლუისი

მისი მწვრთნელი ემანუილ სტიუარდი, მრავალი ჩემპიონის გამზრდელი და დეტროიტის ლეგენდარული კრონკის სავარჯიშო დარბაზის დამფუძნებელი სერიოზულად შეუშფოთებია ლუისის სულიერ განწყობილებას: „ახლა ლენოქსი ისეთ დღეშია, რომ ცოტაც და ბრძოლაზე უარს იტყვის. მასზე ქამრის ჩამორთმევამ იმოქმედა. ასეთი რამეები ხალხს გულს უცრუებს კრივზე. ძალიან დამქანცა ყოველდღიურმა მტკიცებამ, რომ მოდუნება არ შეიძლება. ის უძლიერესია დღეს. ყველას ორი თავით სჯობს, მაგრამ, ჰა... არ აინტერესებს ამგვარი რამ“.

„მე ისიც კი ვუთხარი“, განაგრძობს სტიუარდი, რომ ფეხებზე დაიკიდოს ეს ქამრები. ბოლოს და ბოლოს რა გახდა? საერთოდაც უარი თქვას ამ ქამრებზე და ყოველ ბრძოლაზე გავიდეს როგორც სახალხო ჩემპიონი. ის ნამდი სახალხო ჩემპიონია. მთელი მსოფლიო მას აღიარებს უძლიერესად.“

ფსიქოთერაპიით დაქანცული სტიუარდი ჯერაც დაუმარცხებელ 27 წლის გრანტს ღირსეულ მეტოქედ მიიჩნევს და ფიქრობს, რომ თუ ლუისმა მოინდომა, საუცხოო წარმოდგენის მომსწრენი შევიქნებითო.

სტიუარდი ოცნებობს: „მინდა ვუთხრა: ჰეი, მე ვამყობ შენით. მოდი დავიწყოთ ბატონობის ეპოქა“.

ალგერტ ხაჩატურიშვილი

მარიონ ჯონსი საკუთარ სხეულს გაუმიჯნურდა

მორბენალ მარიონ ჯონსისა და ბირთვის მკურელ სი ჯეი ჰანტერის ფესვმაგარი ოჯახის ამბებზე ამას წინათ გაცნობეთ და იქიდან გეხსომებათ, წყვილმა კალიფორნიაში ასპარეზობა რომ გადაწყვიტა, რაც ორივესთვის სიდნეის ოლიმპიადის რიგითი რეპეტიცია უნდა ყოფილიყო, თუმცა მანდილოსნისთვის მთლად რიგითი არა. ზურგის მოშუშების შემდეგ ჯონსმა პირველად შედგა ფეხი სარბენ ბილიკზე და ზოგიერთები გულისფანცქალით ელოდნენ 400 მეტრზე მისი ქროლის, შედეგს უფრო იმიტომ, რომ იქვე იყო მისი თვისტომი და კონკურენტი, ციცქნა ინგერ მილერი, რომელსაც საოლიმპიადოდ ამერიკის ნაკრებში მოხვედრა ამოუჭრია გულში. საერთოდ, 400-მეტრიანი დისტანცია არ გახლავთ არც ჯონსისა და არც მილერის სასურველი მანძილი (ეს უკანასკნელი 200 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონია), მაგრამ პირველის გრანდიოზულ საოლიმპიადე პროექტში 4X400 ესტაფეტაზე ოქროს დათრევაც შედის და არც მეორე უნდა უყურებდეს გულგრილად ამ ამბავს. თუმც მხოლოდ სურვილი არ კმარა. მილერმა კალიფორნიის ერთ ტურნირზე ისე უნიათოდ ირბინა ჯონსის გვერდით, ესტაფეტის კარები ალბათ სამუდამოდ დაეხურა. აბა, რა არის მერვე ადგილი, როცა ადამიანს მილერივით პრეტენზიები აქვს! ჯონსმა კი ქურციკივით იქროლა და უშფოთველად გავიდა პირველ ადგილზე, მის უკან მორბენალი ვინმე ლატაშა კოლანდერრიჩარდსონი წამზე მეტით ჩამორჩა.

მარიონ ჯონსი

შემდეგ კომენტარების დრო დადგა და ჯონსმა დაუყოვნებლივ უარყო ხმები, თითქოს იგი ამერიკელ მწვრთნელებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს და ესტაფეტაში ადგილის ძალით დაბევებას ლამობს. „მე არავის არაფერს ვაძალებ — თქვა ჯონსმა — ოღონდ ყველას ტვინამდე დამყავს, რომ ახლა მაგარ ფორმაში ვარ და ესტაფეტაზეც შემიძლია სასარგებლო ჭაპანი გავწიო.“ მორბენალმა ახსენა თავისი აწ უკვე ისტორიად ქცეული ტრავმაც და პატიოსანი სიტყვა დადო, რომ საკუთარ სხეულს ამიერიდან მეტი პატივით მოეპყრობა. სეფილიის მსოფლიოს პირველობაზე ცოტა ტკივილები თავიდანაც მქონდა, განმარტა ჯონსმა, არ მივაქციე ყურადღება და ცუდი შედეგიც მოვიმკეო. ალბათ, ამგვარ შეცდომას მეტად აღარ ჩაიდენს...

კალიფორნიაში რიგიანად იღვაწა მარიონის პირველმა ნახევარმაც. სი ჯეი ჰანტერს იქ თავისი უპირველესი სანაკრებო მეტოქე, სამხრეთკალიფორნიელი ჯონ გოდინა ეგულებოდა და საბრძოლველად განეწყო. მისგან ნაკრავი ბირთვი 21 მეტრსა და 74 სანტიმეტრზე გადავარდა, გოდინასი კი 28 სანტიმეტრით ნაკლებზე. ამიტომ მწვრთნელთა წინაშე პირველი ქულა მოყვარული მეუღლის ანგარიშზე ჩაიწერა.

ტურნირზე მორის გრინისა და ატო ბოლდონის რბენასაც ელოდნენ, პირველისას 200 მეტრზე და მეორისას 4X100-მეტრიან ესტაფეტაზე. ორივემ იდეზერტირა და გამარჯვებულთა გრაფებშიც სულ სხვა გვარები ვიხილეთ.

დავით გულუა

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

„კროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე
(კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში)
11⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე მუშაობს

ინგლისი. პირველი დივიზიონი

ჩარლტონი	42	27	8	7	76	38	89	15	2	4	35	14	12	6	3	41	24
სიტი	42	23	10	9	69	37	79	15	2	4	45	17	8	8	5	24	20
იფსვიჩი	42	22	12	8	64	38	78	14	3	4	36	17	8	9	4	28	21
ბარნსლი	42	22	10	10	84	61	76	14	4	3	46	21	8	6	7	38	40
ჰადერსფილდი	42	20	11	11	60	40	71	14	5	2	43	16	6	6	9	17	24
ბირმინგემი	42	20	10	12	61	43	70	14	4	3	35	16	6	6	9	26	27
ვულვზი	42	18	11	13	57	46	65	13	5	3	40	20	5	6	10	17	26
ბოლტონი	42	17	13	12	60	48	64	12	5	4	40	25	5	8	8	20	23
ფულემი	42	16	15	11	45	36	63	12	6	3	29	12	4	9	8	16	24
ბლეკბერნი	42	15	15	12	52	44	60	10	8	3	31	15	5	7	9	21	29
ქუინზ პარკი	42	14	16	12	55	50	58	8	11	2	27	19	6	5	10	28	31
ნორვიჩი	42	13	14	15	42	46	53	10	5	6	24	21	3	9	9	18	25
ტრანმერი	42	14	11	17	53	62	53	10	7	4	33	24	4	4	13	20	38
შეფილდ იუნ.	42	13	12	17	55	66	51	10	6	5	35	21	3	6	12	20	45
პორტსმუთი	42	13	10	19	51	59	49	9	5	7	33	22	4	5	12	18	37
გრიმსბი	42	13	10	19	39	63	49	10	7	4	26	23	3	3	15	13	40
ნოტინგემი	42	12	12	18	47	52	48	8	9	4	27	18	4	3	14	20	34
კრ. პალასი	42	11	15	16	53	62	48	6	11	4	31	23	5	4	12	22	39
სტოკპორტი	42	11	15	16	46	61	48	7	8	6	28	28	4	7	10	18	33
ქრიუ	42	12	8	22	39	61	44	8	5	8	23	26	4	3	14	16	35
ვესტ ბრომვიჩი	42	8	18	16	38	57	42	5	11	6	23	26	3	7	10	15	31
უოლსოლი	42	9	13	20	49	72	40	5	6	10	23	33	4	7	10	26	39
პორტვეილი	42	7	14	21	47	64	35	6	6	9	26	27	1	8	12	21	37
სუინდონი	42	7	11	24	34	70	32	4	6	11	21	35	3	5	13	13	35

ინგლისი. მეორე დივიზიონი

პრესტონი	42	25	11	6	68	33	86	13	4	4	33	21	12	7	2	35	12
უიგანი	42	21	15	6	68	34	78	14	3	4	36	13	7	12	2	32	21
მილუოლი	42	22	12	8	68	41	78	13	6	2	38	16	9	6	6	30	25
როვერსი	42	22	10	10	64	40	76	12	6	3	30	17	10	4	7	34	23
ბარნლი	42	21	13	8	58	41	76	14	3	4	36	20	7	10	4	22	21
ჯილინგემი	41	22	9	10	69	44	75	13	3	4	38	20	9	6	6	31	24
სტოკი	41	19	13	9	60	40	70	10	7	3	31	17	9	6	6	29	23
ნოტსი	42	18	10	14	58	48	64	9	5	7	30	24	9	5	7	28	24
ბრისტოლი	42	14	18	10	53	48	60	7	13	1	29	14	7	5	9	24	34
ლუთონი	42	16	8	18	58	61	56	10	5	6	39	33	6	3	12	19	28
უიკომბი	42	14	13	15	51	49	55	10	4	7	30	23	4	9	8	21	26
ოლდემი	42	15	10	17	46	51	55	8	4	9	25	25	7	6	8	21	26
რედინგი	42	14	13	15	51	60	55	8	9	4	25	17	6	4	11	28	43
ბორნმუთი	42	16	6	20	54	56	54	11	4	6	34	16	5	2	14	20	40
ბრენტფორდი	42	13	11	18	44	55	50	8	5	8	25	28	5	6	10	19	27
რექსჰემი	42	13	11	18	46	60	50	7	6	8	21	24	6	5	10	25	37
ბერი	41	11	16	14	53	56	49	7	9	5	34	30	4	7	9	19	26
კოლჩესტერი	42	13	9	20	53	76	48	9	4	8	30	35	5	5	11	23	41
კემბრიჯი	42	11	12	19	60	58	45	7	6	8	35	31	4	6	11	25	27
ოქსფორდი	42	11	7	24	38	69	40	5	4	12	21	37	6	3	12	17	32
სკანთორპი	42	9	12	21	39	67	39	4	6	11	15	30	5	6	10	24	37
კარდიფი	41	7	17	17	40	58	38	4	10	7	22	32	3	7	10	18	26
ბლეკპული	42	7	15	20	42	70	36	3	9	9	22	34	4	6	11	20	36
ჩესტერფილდი	42	6	13	23	29	56	31	4	7	10	15	21	2	6	13	14	35

ინგლისი. მესამე დივიზიონი

როტერჰემი	42	22	11	9	67	33	77	12	4	5	40	16	10	7	4	27	17
სუონსი	42	21	12	9	44	28	75	13	6	2	27	10	8	6	7	17	18
დარლინგტონი	42	20	13	9	62	34	73	12	8	1	40	14	8	5	8	22	20
პიტერბორო	42	20	11	11	60	51	71	13	4	4	37	27	7	7	7	23	24
ნორთჰემპტონი	42	21	7	14	56	44	70	14	2	5	34	18	7	5	9	22	26
ბარნეტი	42	19	10	13	52	49	67	11	5	5	33	22	8	5	8	19	27
ჩელტენემი	42	19	9	14	48	38	66	12	3	6	27	17	7	6	8	21	21
ჰარტლპული	42	19	8	15	54	46	65	15	1	5	30	15	4	7	10	24	31
პლიმუთი	42	16	16	10	52	44	64	12	9	0	37	16	4	7	10	15	28
როჩდეილი	42	17	12	13	53	48	63	8	6	7	20	21	9	6	6	33	27
მაკლსფილდი	42	17	10	15	61	55	61	9	6	6	34	27	8	4	9	27	28
ტორკი	41	16	12	13	53	46	60	11	6	4	31	16	5	6	9	22	30
ბრაიტონი	42	15	14	13	61	45	59	9	6	6	37	25	6	8	7	24	20
ჰალი	42	14	14	14	41	36	56	7	8	6	25	17	7	6	8	16	19
ლინკოლნი	42	14	13	15	66	64	55	10	5	6	37	23	4	8	9	29	41
შენსფილდი	42	16	7	19	48	60	55	9	5	7	31	23	7	2	12	17	37
ჰალიფაქსი	42	14	9	19	41	52	51	6	5	10	20	22	8	4	9	21	30
სუთენდი	41	13	11	17	48	55	50	9	5	6	33	28	4	6	11	15	27
იორკი	42	11	14	17	37	51	47	6	9	6	19	21	5	5	11	18	30
ლეიტონი	42	12	10	20	42	50	46	6	6	9	19	22	6	4	11	23	28
ექსეტერი	42	10	10	22	42	67	40	7	6	8	23	28	3	4	14	19	39
კარლაისლი	42	9	10	23	41	71	37	6	6	9	22	26	3	4	14	19	45
ჩესტერი	42	9	8	25	41	76	35	4	5	12	18	35	5	3	13	23	41
შრიუსბერი	42	7	13	22	34	61	34	4	6	11	17	24	3	7	11	17	37

საშრანგეთი

მონაკო	31	19	5	7	62	31	62	12	4	0	32	9	7	1	7	30	22
ლიონი	31	15	7	9	38	35	52	9	5	2	22	10	6	2	7	16	25
სტე	31	14	9	8	47	37	51	10	4	2	27	17	4	5	6	20	20
ბორდო	31	14	8	9	48	36	50	11	3	2	31	13	3	5	7	17	23
ბასტია	31	11	11	9	40	34	44	11	4	0	30	5	0	7	9	10	29
სედანი	31	12	8	11	39	40	44	8	4	3	20	13	4	4	8	19	27
ოსერი	31	12	7	12	31	35	43	10	2	3	23	14	2	5	9	8	21
სტრასბური	31	12	7	12	41	48	43	9	4	3	28	19	3	3	9	13	29
სენტ ეტიენი	31	11	9	11	41	44	42	6	5	4	24	20	5	4	7	17	24
რენი	31	11	7	13	42	43	40	9	3	4	30	18	2	4	9	12	25
ლანსი	31	11	7	13	33	37	40	7	3	5	21	16	4	4	8	12	21
მარსელი	31	9	12	10	39	39	39	6	6	4	26	17	3	6	6	13	22
ტრუა	31	12	3	16	32	47	39	8	1	6	20	17	4	2	10	12	30
მეცი	31	7	17	7	34	30	38	5	9	2	21	14	2	8	5	13	16
ნანტი	31	10	7	14	36	38	37	8	2	6	26	17	2	5	8	10	21
ნანსი	31	9	8	14	37	42	35	6	4	5	21	17	3	4	9	16	25
ლე ავრი	31	9	7	15	28	45	34	7	4	4	18	13	2	3	11	10	32
მონპელიე	31	7	9	15	37	44	30	4	7	4	20	16	3	2	11	17	28

შოტლანდია

რეინჯერსი	30	23	6	1	83	22	75	13	1	1	43	10	10	5	0	40	12
სელტიკი	30	18	3	9	80	35	57	10	2	3	50	15	8	1	6	30	20
ჰარტსი	31	13	8	10	43	36	47	6	5	4	22	15	7	3	6	21	21
მოზერუელი	30	11	9	10	40	56	42	6	2	6	21	30	5	7	4	19	26
ჰიბერნიანი	30	9	10	11	44	50	37	6	6	5	29	27	3	4	6	15	23
დანდი	31	10	5	16	40	57	35	2	3	9	15	29	8	2	7	25	28
სტ. ჯონსტონი	30	8	10	12	31	38	34	4	6	5	14	15	4	4	7	17	23
დანდი იუნ.	29	9	6	14	28	46	33	6	4	5	15	18	3	2	9	13	28
კილმარნოკი	31	6	13	12	32	41	31	4	5	6	13	17	2	8	6	19	24
აბერდინი	30	6	6	18	33	73	24	4	4	8	21	35	2	2	10	12	38

იტალია. სერია B

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	მ	ფ	წ	ბ			
ვიჩენცა	30	16	6	8	55	32	54	12	2	1	37	11	4	4	7	18	21
ბრესა	30	14	11	5	43	25	53	9	4	3	27	10	5	7	2	16	15
ატალანტა	30	14	8	8	40	28	50	10	3	2	28	14	4	5	6	12	14
ნაპოლი	30	12	11	7	41	34	47	8	6	1	25	13	4	5	6	16	21
სამპდორია	30	12	11	7	33	27	47	6	6	2	17	12	6	5	5	16	15
ჯენოა	30	12	6	12	37	33	42	10	4	2	28	13	2	2	10	9	20
სალერნიტანა	30	11	9	10	43	42	42	9	4	2	27	13	2	5	8	16	29
ტრევზო	30	11	8	11	39	36	41	10	4	1	30	13	1	4	10	9	23
კიეგო	30	10	9	11	37	39	39	7	6	2	21	14	3	3	9	16	25
კონენცა	30	9	12	9	26	29	39	8	4	3	15	9	1	8	6	11	20
ჩეზენა	30	8	14	8	37	34	38	7	9	0	25	11	1	5	8	12	23
რავენა	30	9	11	10	30	29	38	7	5	2	16	6	2	6	8	14	23
ტერნანა	30	8	13	9	32	37	37	5	8	2	20	16	3	5	7	12	21
პესკარა	30	7	15	8	43	40	36	5	5	4	25	17	2	10	4	18	23
ალბანო	30	9	9	12	28	37	36	8	3	4	20	19	1	6	8	8	18
ემპოლი	30	9	9	12	28	44	36	9	3	2	19	15	0	6	10	9	29
მონცა	30	6	16	8	30	35	34	5	11	0	16	11	1	5	8	14	24
პისტოიეზე	30	9	8	13	28	34	31	8	4	3	17	10	1	4	10	11	24
სავოია	30	6	10	14	29	44	28	5	7	3	18	15	1	3	11	11	29
ფერმანა	30	5	10	15	28	48	25	5	5	5	16	18	0	5	10	12	30

იტალია. სერია C1/a

სიენა	30	15	9	6	36	19	54	11	2	2	25	8	4	7	4	11	11
პიზა	30	12	11	7	30	22	47	6	4	4	18	15	6	7	3	12	7
ვარეზე	30	11	13	6	36	26	46	8	5	2	22	11	3	8	4	14	15
ლუკეზე	30	11	13	6	33	27	46	9	4	2	19	10	2	9	4	14	17
ჩიტადელა	30	11	12	7	29	24	45	7	5	3	16	9	4	7	4	13	15
სპალ	30	11	10	9	31	27	43	7	5	3	16	9	4	5	6	15	18
ალბინოლეფე	30	10	12	8	30	28	42	7	5	3	20	12	3	7	5	9	10
ბრეშელო	30	10	12	8	28	28	42	5	7	3	14	12	5	5	5	14	16
ლივორნო	30	9	13	8	33	30	40	6	6	4	20	15	3	7	4	13	15
კომო	30	7	16	7	23	23	37	3	10	2	9	10	4	6	5	14	13
მოდენა	30	8	13	9	22	29	37	4	8	3	10	11	4	5	6	12	18
რეჯანა	30	9	9	12	30	31	36	7	4	4	18	13	2	5	8	12	18
კარარეზე	30	8	12	10	27	31	36	4	9	2	17	13	4	3	8	10	18
კრემონეზე	30	5	16	9	25	30	31	3	9	3	15	15	2	7	6	10	15
ლეკო	30	6	13	11	23	31	31	3	9	3	10	9	3	4	8	13	22
ლუმეცანე	30	5	14	11	23	32	29	3	7	5	13	14	2	7	6	10	18
ფონტევეკიო	30	5	13	12	23	32	28	4	6	5	13	15	1	7	7	10	17
სანდონა	30	3	17	10	22	34	26	2	9	4	13	15	1	8	6	9	19

იტალია. სერია C1/b

კროტონე	30	18	10	2	55	19	64	12	3	0	34	6	6	7	2	21	13
ანკონა	30	16	10	4	44	20	58	10	5	0	29	10	6	5	4	15	10
ასკოლი	30	11	15	4	45	26	48	5	8	2	26	14	6	7	2	19	12
ვიტერბეზე	30	12	11	7	42	34	47	7	7	1	25	12	5	4	6	17	22
არეცო	30	12	11	7	41	33	47	6	8	1	26	16	6	3	6	15	17
კატანია	30	11	13	6	35	24	46	7	6	2	20	10	4	7	4	15	14
პალერმო	30	11	12	7	24	20	45	7	6	2	16	7	4	6	5	8	13
სტაბია	30	9	12	9	35	33	39	7	4	4	23	14	2	8	5	12	19
ნოჩერინა	30	8	15	7	24	22	39	7	7	1	16	6	1	8	6	7	15
ბენევენტო	30	8	13	9	27	30	37	6	6	3	18	11	2	7	6	9	19
აველინო	30	9	9	12	26	29	36	8	4	3	20	10	1	5	9	6	19
დი სანგრო	30	8	11	11	26	34	35	6	3	6	17	18	2	8	5	9	16
ჯულიანოვა	30	9	8	13	29	40	35	7	4	4	16	11	2	4	9	13	29
ლოდიჯანი	30	7	11	12	34	44	32	6	4	5	20	18	1	7	7	14	26
გუალდო	30	6	12	12	28	39	30	5	8	2	15	11	1	4	10	13	28
ფ. ანდრია	30	5	12	13	22	35	27	3	8	4	11	13	2	4	9	11	22
ატლეტიკო	30	5	9	16	22	42	24	4	5	6	13	18	1	4	10	9	24
მარსალა	30	5	6	19	21	56	21	2	4	9	10	20	3	2	10	11	36

მეორე ბუნდესლიგა

კიოლნი	27	15	7	5	51	26	52	10	4	0	37	9	5	3	5	14	17
ბოხუმი	27	14	6	7	47	36	48	9	1	4	30	21	5	5	3	17	15
კოტბუსი	27	14	3	10	50	33	45	10	1	2	30	11	4	2	8	20	22
ნიურნბერგი	27	12	8	7	43	39	44	10	3	0	31	13	2	5	7	12	26
გლადბახი	27	10	11	6	43	33	41	8	3	3	28	14	2	8	3	15	19
ალემანია	27	10	9	8	36	41	39	6	4	3	20	13	4	5	5	16	28
ჰანოვერი	27	10	7	10	42	41	37	6	4	3	24	18	4	3	7	18	23
ბერლინი	27	9	10	8	33	35	37	7	4	3	20	16	2	6	5	13	19
ვალდჰოფი	27	8	12	7	38	39	36	7	5	1	26	17	1	7	6	12	22
ქემნიცი	27	9	8	10	35	37	35	6	5	2	26	15	3	3	8	9	22
ობერჰაუზენი	27	8	10	9	31	30	34	6	6	2	22	14	2	4	7	9	16
მაინცი	27	7	11	9	32	32	32	5	7	1	17	8	2	4	8	15	24
ფიურტი	27	6	14	7	29	33	32	2	11	1	9	7	4	3	6	20	26
ზტ. პაული	27	6	13	8	26	31	31	3	9	2	12	11	3	4	6	14	20
ოფენბახი	27	6	11	10	27	38	29	6	3	5	18	18	0	8	5	9	20
კიკერსი	27	7	7	13	39	49	28	7	3	4	25	21	0	4	9	14	28
ფორტუნა	27	5	11	11	25	39	26	5	6	2	17	13	0	5	9	8	26
კარლსრუე	27	3	10	14	30	45	19	2	5	6	11	15	1	5	8	19	30

ავსტრია

რაპიდი	29	18	5	6	52	20	59	11	2	1	31	6	7	3	5	21	14
ტიროლი	29	18	5	6	42	24	59	11	2	1	24	5	7	3	5	18	19
შტურმი	29	17	7	5	55	24	58	11	2	2	39	14	6	5	3	16	10
რიდი	29	13	6	10	47	30	45	9	2	4	29	11	4	4	6	18	19
აუსტრია	29	12	6	11	39	38	42	8	1	6	25	23	4	5	5	14	15
გრაცერი	29	11	4	14	33	44	37	7	3	4	18	13	4	1	10	15	31
ზალცბურგი	29	9	8	12	27	34	35	7	4	4	18	12	2	4	8	9	22
ლინცერი	29	7	7	15	34	43	28	5	4	5	22	15	2	3	10	12	28
ბრეგენცი	29	6	5	18	24	63	23	3	5	6	13	23	3	0	12	11	40
ლუსტენაუ	29	4	7	18	19	52	19	3	5	7	13	18	1	2	11	6	34

დანია

ჰერფიოლგე	24	13	4	7	38	35	43	9	1	3	26	17	4	3	4	12	18
ბრონდბიუ	24	11	7	6	42	27	40	8	3	1	26	10	3	4	5	16	17
აკადემისკი	24	10	8	6	37	27	38	5	4	3	21	13	5	4	3	16	14
სილკებორგი	24	10	7	7	40	24	37	7	4	1	22	7	3	3	6	18	17
ლიუნგბიუ	24	11	4	9	38	34	37	8	0	5	26	18	3	4	4	12	16
ვიბორგი	24	10	6	8	36	35	36	4	4	3	16	15	6	2	5	20	20
ოლბორგი	24	8	11	5	35	26	35	6	3	3	20	12	2	8	2	15	14
კოპენჰაგენი	24	9	4	11	31	26	31	6	2	3	15	9	3	2	8	16	17
ოდენსე	24	6	9	9	21

ლჰოცზე 2000

ჰიმალაიდან მოკითხვას გვითვლიან

ბენო ქაშაკაშვილი

ლჰოცზეს აუღებელ ცენტრალურ პიკზე მოიერიშე მთამსვლელთა ქართულ-რუსული ექსპედიციის მთაური ბენო ქაშაკაშვილი საბაზო ბანაკიდან კოსმოსური კავშირის საშუალებით ძუნწად გვატყობინებს:

„გესალმებით საბაზო ბანაკიდან. ჩვენი საქმეები ნორმალურად მიდის. ბიჭები ყველას მოკითხვას გითვლიან.

6000 მერტ სიმაღლეზე პირველი საიერიშო ბანაკის დადგმის მერე საბაზოში დავეშვით და ვისვენებთ, მერე ისევ ზემოთ წავალთ.

თავს ყველანი კარგად ვგრძნობთ. საკვები გვყოფნის. ცოტაოდენი საორგანიზაციო პრობლემები გვაქვს, მაგალითად, შერპ მთამსვლელებთან, მაგრამ ყველაფერს თავს ვართმევთ.

ახლა ჩვენთან სტუმრად არიან სიმონე მორო და დენის ურუბკო. ისინი ცნობილი მთამსვლელები არიან და ყველას მოკითხვას გითვლიან. ორივენი ახლახანს დაბრუნდნენ ზემოდან და ჩვენსავით ისვენებენ.

ხელბურთი

თავი და ბოლო თავის ადგილზეა

ამ დღეებში დასრულებულმა საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა მე-10 ეროვნული ჩემპიონატის მესამე წრემ ცვლილებები მხოლოდ სატურნირო ცხრილის შუაგულში გამოიწვია. ორი წრის მერე ქულის დაუკარგავად სტუ-„მართვე“ ლიდერობდა. ნაკრების საბაზო გუნდი რომ სხვა სიმაღლეზე დგას და დანარჩენებს გაცილებით სჯობს, ვფიქრობ, ყველასთვის ცხადია. თუ ისინი ჩემპიონობის უპირობო ფავორიტები არიან, ვერცხლის მედლების უპირველეს კანდიდატებად თბილისელი არმიელები იქცნენ.

სატურნირო ცხრილის ბოლოშიც ყველაფერი ისევე ცხადი იყო, როგორც თავში. საერთოდ უქულო „ზოოვეტს“ ქულებთან ერთად ფულიც (თუნდაც მინიმალური) სანატრელი გახდომია და ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის გადაუხდელობისთვის მესამე წრიდან კიდეც მოიხსნა. აი, ცხრილის შუაში კი შედარებით სიმჭიდროვე იყო — თელავის ასკ-ს, ბათუმის „მენავთობესა“ და თბილისის საუ-„მამულს“ ერთმანეთისგან ორ-ორი ქულა აშორებდათ. მათთვის ამ წრის მატჩებიც ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ.

კონკურენტთა დავაში ბათუმელებმა იყოჩაღეს და ორივეს მოუგეს, რასაც ვეტერინარებთან ჩათვლილი გამარჯვებაც დაემატა. მენავთობეებმა თავიანთ მონაგარს 6 ქულა მიუმატეს და მესამე ადგილზეც გადავიდნენ, რადგან თელაველებმა მოულოდნელად სუსტად ითამაშეს. მათ ყველა თამაში წააგეს და მხოლოდ ორი ქულა მიითვალეს, ისიც უშრომლად, „ზოოვეტის“ ხარჯზე, თუმცა ჯერ მაინც უსწრებენ საუ-„მამულს“.

სტუ-„მართვემ“ ამ წრეშიც ყველა მატჩი მოიგო და ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა. ეს გუნდი ისე იოლად ამარცხებს მეტოქეებს, მოედანზე მოვალეობის მოსახდელად რომ არ გადიოდეს და არ თამაშობდეს, სეზონის ბოლოს მის უეჭველ ჩემპიონობას მუქთს ვუწოდებდით.

ბომბარდირთა დავაში კი 168 გოლით ბათუმელი ედნარ ქარცივაძე დაწინაურდა, რომელმაც მესამე წრის 4 შეხვედრაში 50 ბურთი გაიტანა. ბომბარდირობაც მისთვის ალალია.

სატურნირო ვითარება

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სტუ-მართვე	15	15	0	0	512:273	30
2. ასკ (თბილისი)	15	12	0	3	528:385	24
3. მენავთობე	15	7	0	8	481:522	14
4. ასკ (თელავი)	15	6	0	9	435:474	12
5. საუ-მამული	15	5	0	10	441:495	10
6. ზოოვეტი	15	0	0	15	281:529	0

კაპიტანი ახალგაზრდებს გაეცალა

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა მესამე წრის მესამე ტურში ერთმანეთს ბათუმის „მენავთობე“ და თბილისის ასკ ხვდებოდნენ. სტუ-„მართველ“ ხელბურთელები კი იქვე იდგნენ და სათამაშოდ ემზადებოდნენ. ამ დროს დარბაზში ყოველდღიურ სამოსში გამოწყობილი მათი შემოვიდა. ჩანდა, თამაშს არ მაგრამ უფრო მოულოდნელი რომ ვკითხეთ, თამაშს თავი ბუნებრივია, ჩავეძიეთ...

კაპიტანი ვახტანგ მეიფარიანი აპირებდა, რამაც გაგვაკვირვა, თურმე წინ გველოდა. მიზეზი დავანებეთ, გვიპასუხა. ჩვენც,

— ამას სექტემბერში, დანიასთან მატჩის მერე ვაპირებდი, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ მთხოვა, კიდევ ექვსი თვით დარჩი და მეც დავთანხმდი. ახლა კი ნამდვილად მივდივარ. მსურს, ადგილი ახალგაზრდებს დავუთმო. ნაკრებს ერთი წელიწადი მაინც ოფიციალური თამაშები არ ექნება. არა მგონია, იმ დროისთვის მისთვის გამოსადეგ ფორმაში ვიყო. ჯობს, მწვრთნელმა ახალგაზრდები გამოცადოს. უკვე 30 წლისაც ვხდები და ასაკიც ტვირთად მაწევს. სპორტული ფორმის შენარჩუნებას სტაბილური ვარჯიში სჭირდება, ჩვენთან კი ისეთი ვითარებაა, ფაქტობრივად მხოლოდ ოფიციალური თამაშები გვიწევს, შუალედში კი, რამდენიმეთვიან ინტერვალში, სერიოზული დატვირთვა არ გვაქვს. ასე კი სპორტული ფორმის შენარჩუნება ძნელია. როცა ოფიციალური თამაში ახლოვდება, მერე იწყება გაძლიერებული, დღეში ორჯერადი ვარჯიშები. ჩემს ასაკში ასეთი არათანაბარი დატვირთვა ძნელი ასატანია.

— უცხოეთში წასვლა არ გიცდიათ?

— ამისი შანსი სექტემბერში იყო, როცა ფარერის კუნძულებზე მეპატიჟებოდნენ. თითქმის ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ ბოლო მომენტში კლუბმა წინასწარი შეთანხმება დაარღვია — ნაკისრი ეკონომიკური ვალდებულებების შესრულება იუარა. ეს იყო და ეს. მერე მსგავსი არაფერი ყოფილა.

— თქვენ ძალიან მეგობრული გუნდი გყავთ და მათთან განშორება ძალიან გაგიჭირდებოდათ, გადაწყვეტილების მიღებაც ძნელი იქნებოდა...

— თხუთმეტი წლიდან ხელბურთში ვარ და ცოტა კიდეც დავიღალე. ორი თვე თითქმის არ მივარჯიშია, დავისვენე, მაგრამ მერე მაინც მივუბრუნდი. ახლაც ყოველდღე ვვარჯიშობ, მაგრამ მხოლოდ ჯანმრთელობისთვის. გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა მართლაც გამიჭირდა, საყვარელ საქმესთან გამოთხოვება ძნელია, მაგრამ ერთხელ ეს მომენტიც დგება.

— არც პერიოდულად მიუბრუნდებით ხელბურთს, თქვენათ, ნაკრების საპასუხისმგებლო თამაშებისას, როგორც ეს სპორტის ზოგიერთ სახეობაში ხდება... თქვენ მოედანზე ამ ასაკშიც კი უდიდეს სამუშაოს ასრულებთ.

— თუ საჭირო გახდება, ნაკრებს გვერდით როგორ არ დავუდგები, მაგრამ არა მგონია, გუნდს რამეში გამოვადგე. ნაკრებში არიან ბიჭები, რომლებიც ღირსეულად შემცვლიან. ჩემს პოზიციაზე — გამთამაშებლად ბოლო მატჩებში შშვენივრად ითამაშა სერგო დათუკიშვილმა. ამავე ამპლუისაა ზაზა ფერაძეც. ვფიქრობ, სიძნელეები არ შეიქმნება.

— ნაკრების ხელმძღვანელობა ან ხელბურთის ასოციაცია როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას?

— გაგებით შეხვდნენ. მათ იცოდნენ და მოულოდნელი არ ყოფილა. დარჩენაც მთხოვეს, მაგრამ... ნაკრებს რომ წარმატებით დაეძლია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი, ცოტა ხნით კიდევ დავრჩებოდი, ციკლის დასრულებამდე. თუმცა ამ სეზონის ბოლოს სპორტიდან მაინც წავიდოდი.

— ახლა რას აპირებთ?

— სამი წელიწადია, სტუ-„მართვეს“ მოთამაშე მწვრთნელი ვარ და აქვე დავრჩები. ამდენად, დიდად არც სამუშაო შემიცვლია და არც გარემო. ჩემთვის ეს ახალი ამპლუაც ნაცნობია.

ირაკლი თავაძე

ბადრი კალანდარიშვილი

ვახტანგ მეიფარიანი გატანას აღარ აპირებს

მუხრან ვახტანგაძე

შეაჭარე ფილას ცერცვი

მოსკოვში კვირას დასრულებულ „ბერძენ-რომაელთა“ ევროპის ჩემპიონატიდან საქართველოს ნაკრები უმედლოდ დაბრუნდა, თუმცა იქამდე სულ ცოტა დააკლდა ქუთაისელ ალექსანდრე ცერცვაძეს (54) — იგი მეოთხე ადგილზე გავიდა. საბოლოოდ სამი მოწინავე ექვსეულში და ერთიც ოლიმპიადის ლიცენზია — ასეთია ჩვენი ნაკრების მონაგარი, მისი მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია კი მოსკოვურ ამბებზე გვესაუბრება

— ცერცვაძის დებიუტი მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე შედგა, სადაც ლიცენზია მოიპოვა. მინდა ვთქვა, რომ მან მოსკოვში ჩინებული გაკვეთილი მიიღო და სამომავლო იმედიც ჩაგვისახა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ამ წონაში გამოდიოდა ყველა მოჭიდავე, ვისაც კი ევროპაში სიტყვა ეთქმის. ასეთი ძლიერი შემადგენლობა მხოლოდ მძიმე წონაში შეიკრიბა.

ცერცვაძემ ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო და ფინალში გასასვლელად რუმინელ მარიან სანდუს დაეჭიდა. სანდუ ევროპის სამგზის და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია. მას შარშანდელ მსოფლიოზე ტრავმის გამო არ უასპარეზია და არც ლიცენზია ჰქონდა, მოსკოვში კი საგზურიც და ჩემპიონობაც ერთად მოიპოვა. შეხვედრის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ცერცვაძე 3:1 იგებდა, მაგრამ გამოუცდელობამ თავისი გააკეთა და სანდუმაც გაათანაბრა. 10 წამით ადრე ჩვენებური ქულას მაინც მიითვლიდა, მსაჯებს ილეთის არასწორ შესრულებაში რომ არ დაედანაშაულებინათ. ესეც სადავო მომენტი იყო, მაგრამ შეხვედრა დამატებით დროში გაგრძელდა, სადაც სანდუმ იმარჯვა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ჩვენებური გერმანელ ალფრედ ტერმკრტჩიანს შეხვდა. შერკინების ბედი აქაც გამოცდილებამ გადაწყვიტა. ალეკოთი მაინც კმაყოფილი ვარ. რაც შეეძლო, იჭიდავა, ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდა, ფინალშიც გავიდოდა.

ამ ჩემპიონატზე ჩვენთვის უმთავრესი იყო ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვება 69 და 85 წონებში. 85-ში მუხრან ვახტანგაძემ ეს მოახერხა, გიორგი ჯინჭველაშვილმა — ვერა. ვახტანგაძემ სალიცენზიო ტურნირში ოთხი შეხვედრა მოიგო და გაიმარჯვა. ამის მერე მედლისთვის გააგრძელა ბრძოლა, რომელშიც მეოთხედფინალიდან ჩაერთო. სამწუხაროდ, აქ უფრო სუსტად იჭიდავა, ვიდრე სალიცენზიოში. უკრაინელ იგორ ბუგაისთან დამატებით დროში 12 წაგო და მეექვსე ადგილი დაიკავა, თუმცა მეტი შეეძლო. გიორგი ჯინჭველაშვილმა სალიცენზიოში ორი მოგების მერე წაგო. სამაგიეროდ, მედლებისთვის ბრძოლა კარგად დაიწყო (მით უფრო, ჩემპიონობა ლიცენზიასაც იძლეოდა) და მეოთხედფინალშიც გავიდა, მაგრამ იქ მომავალ ჩემპიონს, რუს ალექსეი გლუშკოვს გადაეყარა და დამარცხდა. ჯინჭველაშვილი მეხუთეზე გავიდა. ბაკურ გოგიტიძემ (97) ერთი მოიგო, მაგრამ მერე ისიც მომავალმა ჩემპიონმა ლიშტვანმა სძლია, ვინაც ფინალში მეორე ქართველი, რუსეთის სახელით მოასპარეზე გოგი კოლუაშვილი დაჯაბნა. კარგად იჭიდავა ჯამბულ ფუტკარაძემაც (58). მან ჯერ ბერძენი მეტოქე დაამარცხა, შემდეგ კი ბულგარელ ოლიმპიურ ჩემპიონ არმენ ნაზარიანს შეხვდა. ეს იყო დრამატული პაექრობა, რომელიც ფუტკარაძეს მსაჯებმა წააგებინეს. დამთავრებამდე 8 წამით ანგარიში თანაბარი იყო — 4:4. ამ დროს ჩვენებურმა ქულა აიღო, რომელიც არბიტრებმა არ ჩათვალეს. ამაზე პროტესტი გამოთქვით და იმდენად მძაფრად, რომ შეხვედრა შეწყდა. ჩვენ სადავო მომენტის ვიდეოფირზე ნახვა მოვითხოვეთ, მაგრამ მსაჯებმა არც კი მოგვისმინეს. უფრო მეტიც — ფუტკარაძე საერთოდ მოხსნეს!

— როგორ, ფილას (ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია) აქვს უფლება, პროტესტი არ განიხილოს?

— ფილაში წესები არ მოქმედებს. ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებენ.

— მოსკოვში შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრეთ, თუმცა ადრე გენადი ჩხაიძის (97) წაყვანაც გინდოდათ.

— ჩხაიძეს და მირიან გიორგაძეს (მძიმე) მცირე ტრავმები აწუხებდათ და იმიტომ არ წავიყვანეთ. დავასვენეთ სხვა ლიცენზიანტებიც — კობა გულიაშვილი (58), აკაკი ჩაჩუა (63) და ტარიელ მელელაშვილი (76). ისინი ოლიმპიადისთვის საგანგებო გეგმით მოემზადებიან, რომელიც უკვე შედგენილია, მაგრამ ყველა წვრილმანის გასათვალისწინებლად ფედერაცია უახლოეს დღეებში კიდევ ერთხელ განიხილავს მას და საბოლოო ვარიანტსაც მერე დაადგენს.

ირაკლი თავაძე

14-16 აპრილი. მოსკოვი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

ტექ[illegible]ური შედეგები

54
1. მარიან სანდუ (რუმინეთი)
2. ბორის ამბარცუმოვი (რუსეთი)
3. ალფრედ ტერ მკრტჩიანი (გერმანია)
4. ალექსანდრე ცერცვაძე (საქართველო)

58
1. იშტვან მაჯოროში (უნგრეთი)
2. არმენ ნაზარიანი (ბულგარეთი)
3. რიფატ ოლდისი (გერმანია)

63
1. ვარტარეს სამურგაშვი (რუსეთი)
2. ბიტ მოზერი (შვეიცარია)
3. ვიტალი ფუკი (ბელორუსია)

69
1. ალექსეი გლუშკოვი (რუსეთი)
2. შაბა ხირბიკი (უნგრეთი)
3. მოვზეს კარაპეტიანი (სომხეთი)
–
5. გიორგი ჯინჭველაშვილი (საქართველო)

76
1. ვიაჩესლავ მაკარენკო (ბელარუსი)
2. დავიდ მანუკიანი (უკრაინა)
3. მურად კარდანოვი (რუსეთი)

85
1. მარტინ ლიდბერგი (შვედეთი)
2. ანდრეი ბატურა (ბელარუსი)
3. ალექსანდრ მენშიკოვი (რუსეთი)
–
6. მუხრან ვახტანგაძე (საქართველო)

97
1. სერგეი ლიშტვანი (ბელარუსი)
2. გოგი კოლუაშვილი (რუსეთი)
3. მეჰმეთ ოზალი (თურქეთი)

130
1. ალექსანდრ კარელინი (რუსეთი)
2. სერგეი მურეიკო (ბულგარეთი)
3. მიხალი დიკი (უნგრეთი)

ედი და ჰა-ჰა: ორი ას-ასი

ედი ირვინი და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი

მრბოლის ოსტატობის შესაფასებელ კრიტერიუმთაგან უმთავრესი, ცხადია, ჩემპიონის ტიტულია, შემდეგ მოგებებისა და კარიერაში დაგროვილი ქულების რაოდენობას თვლიან. რაც შეეხება ჩატარებულ ეტაპებს, მათი რიცხვი ხშირ შემთხვევაში პილოტის სტაბილურობაზე უფრო მიანიშნებს, ვიდრე კლასზე. მავანმა მძღოლმა შეიძლება, ვთქვათ, 200-ჯერ დააფიქსიროს „სამეფო რბოლებში" თავისი გამოსვლა, მაგრამ ერთი დიდი პრიზის მოგებაც ვერ შეძლოს, როგორც ეს იტალიელ ანდრეა დე ჩეზარისს დაემართა. მისი თანამემამულე ალბერტო ასკარისთვის 32 ეტაპი აღმოჩნდა საკმარისი ორგზის საჩემპიონოდ, არგენტინელ ხუან მანუელ ფანხიოს კი მხოლოდ 51 რბოლა ეყო ხუთი ტიტულის მოსაპოვებლად. სადღეისოდ მსგავსი მიღწევების განმეორება, რა თქმა უნდა, გამორიცხულია, რადგან ყოველწლიურად 16-17 ქვეყნის დიდი პრიზი თამაშდება, ასკარისა და ფანხიოს დროს კი კალენდარი სულ 7-8 რბოლით შემოიფარგლებოდა.

წლევანდელი სეზონამდე, ანუ 50 ჩემპიონატში სტარტზე გამოსულ 581 პილოტთაგან მხოლოდ 43-ს მოეხერხებინა 100-ზე მეტ რბოლაში მონაწილეობა, რაც, ცხადია, ხელწამოსაკრავი შედეგი სულაც არ გახლავთ, რაკი ფორმულაში მინიმუმ შვიდი წლის ასპარეზობას ნიშნავს.

ათი დღის წინ, სან მარინოს დიდი პრიზის გათამაშების შემდეგ 100-ანთა კლუბში ერთბაშად ორნი — 34 წლის ირლანდიელი ედი ირვინი (იაგუარი) და 32 წლის გერმანელი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი (ჯორდანი) გაწევრიანდნენ. ისე, მათ ასაკში ოდენ 100 რბოლის დაფიქსირება, ცოტა დაგვიანებულიც კია. მაგალითად, მიხაელ შუმახერმა და მიკა ჰაკინენმა ამგვარად თავის გამოჩენა 29 წლისებმა შეძლეს, ხოლო რუბენს ბარიკელომ უფრო ადრე, 27 წლისამ. ამიტომ, სწორედ რუბინიო ითვლება არა მარტო ორასიანთა კლუბის, არამედ რიკარდო პატრეზეს ფანტასტიკური რეკორდის დამხობის ერთადერთ რეალურ კანდიდატად, თუმცა საამისოდ მას სულ მცირე, კიდევ რვა წელი მოუწევს კოკპიტში ჯდომა.

აღსანიშნავია, რომ პატრეზეს ამ მაჩვენებლის მისაღწევად 17 სეზონი (1977-93) დასჭირდა. სარეკორდო ხანს, 18 წელი უჯდა ფორმულის საჭეს ბრიტანელი გრემ ჰილი (1958-75), თუმცა მის დროს რბოლების რაოდენობა ნაკლები იყო. რაც შეეხება ბარიკელოს, მისთვის მიმდინარე ჩემპიონატი მერვეა.

ბოლოს, რამდენიმე ფაქტი იუბილარების ბიოგრაფიიდან. ორივემ თითქმის ერთდროულად დაიწყო „სამეფო რბოლებში" მოღვაწეობა — ირვინმა 1993 წელს (იაპონია), ფრენცენმა ორი ეტაპის შემდეგ, ბრაზილიაში. ორივესთვის დღევანდელი გუნდები კარიერაში მესამეა, ორივე თითოჯერ იყო ვიცე-ჩემპიონი. ირლანდიელის ანგარიშზეა 4 მოგება და 173 ქულა, გერმანელი პილოტი მას ერთი დიდი პრიზითა და 27 ქულით ჩამორჩება.

ირაკლი ნიკოლაძე

ასები

1.	რიკარდო პატრეზე	იტალია	256	6
2.	გერჰარდ ბერგერი	ავსტრია	210	10
3.	ანდრეა დე ჩეზარისი	იტალია	208	0
4.	ნელსონ პიკე	ბრაზილია	204	23
5.	ალენ პროსტი	საფრანგეთი	199	51
6.	მიკელე ალბორეტო	იტალია	194	5
7.	ნაიჯელ მენსელი	ბრიტანეთი	187	31
8.	გრემ ჰილი	ბრიტანეთი	176	14
	ჟაკ ლეფიტი	საფრანგეთი	176	6
10.	ნიკი ლაუდა	ავსტრია	171	25
11.	ჟან ალეზი	საფრანგეთი	170	1
12.	ტერი ბუტსენი	ბელგია	163	3
13.	აირტონ სენა	ბრაზილია	161	41
14.	მარტინ ბრანდლი	ბრიტანეთი	158	0
15.	ჯონ უოტსონი	ბრიტანეთი	152	5
16.	რენე არნუ	საფრანგეთი	149	7
17.	დერეკ უორვიკი	ბრიტანეთი	147	0
	ჯონი ჰერბერტი	ბრიტანეთი	147	3
19.	კარლოს რუტმანი	არგენტინა	146	12
20.	ემერსონ ფიტიპალდი	ბრაზილია	144	14
21.	ჟან პიერ ჟარიე	საფრანგეთი	136	0
22.	კლეი რეგაცონი	შვეიცარია	132	5
	ედი ჩივერი	აშშ	132	0
24.	მიხაელ შუმახერი	გერმანია	131	38
	მიკა ჰაკინენი	ფინეთი	131	14
26.	მარიო ანდრეტი	აშშ	128	12
27.	დევიდ ბრებემი	ავსტრალია	126	14
28.	რონი პეტერსონი	შვედეთი	123	10
29.	პიერლუიჯი მარტინი	იტალია	119	0
30.	ალან ჯოუნსი	ავსტრალია	116	12
	ჟაკი იქსი	ბელგია	116	8
	რუბენს ბარიკელო	ბრაზილია	116	0
33.	დეიმონ ჰილი	ბრიტანეთი	115	22
34.	კეკე როსბერგი	ფინეთი	114	5
	პატრიკ ტამბი	საფრანგეთი	114	2
36.	ჯოდი შექტერი	ს. აფრიკა	112	10
	დენის ჰალმი	ახალი ზელანდია	112	8
38.	ჯონი სარტისი	ბრიტანეთი	111	6
39.	ფილიპ ალიო	საფრანგეთი	109	0
40.	ელიო დე ანჯელისი	იტალია	108	2
41.	იოხენ მასი	გერმანია	105	1
42.	ჯო ბონერი	შვედეთი	102	1
43.	ბრუს მაკლარენი	ახალი ზელანდია	101	4
44.	ედი ირვინი	ბრიტანეთი	100	4
	ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი	გერმანია	100	3

PLAY OFF

მერვედფინალი

ხმლების აღარავის ეშინია

მავანთ, როგორც ჩანს, არ სურთ შარშანდელი ფინალისტი ბუფალო მომდევნო რაუნდში გავიდეს. ეს, უპირველესად, მსაჯებზე ითქმის, რომელთა არაკომპეტენტურობაში ბუფალო — ფილადელფიის სერიის რამდენიმე მატჩმაც დაგვარწმუნა. მეორე შეხვედრაში ხომ ბუფალოს კარში არგასული შაიბა ჩათვალეს დენ მარულმა და ბრედ უოტსონმა, ახლა კი... უკვე „ხმლებს" უუქმებენ სამართლიანად გატანილ გოლს, ხოლო „მფრინავთა" უხეშობაზე თვალს ხუჭავენ. და მაინც, ბუფალო იბრძვის, უაღრესად დაძაბულ პაექრობაში, ოვერტაიმში გამოგლიჯა გამარჯვება მეტოქეს და შემდეგ ეტაპზე გასვლის მცირე შანსი შეინარჩუნა



REUTERS ედმონტონიდან

შენი ყვანჯი და ჩემი კისერი? დალასელმა რიჩარდ მატვიჩუკმა ედმონტონელ რაიან სმიტს (94) ლამის თავი წააცალა

მაინც, ბუფალო გადარჩა. მესამე პერიოდში დიდებულად მოთამაშე მეკარეებმა — ჰაშეკმა და ბუშემ რამდენჯერმე იხსნეს თავიანთი გუნდები. ოვერტაიმში კი, რომელიც ბუფალომ უიტნიკის გაძევების შემდეგ უმცირესობაში დაიწყო, ბედმა მაინც მასპინძლებს გაუღიმა. კართან ახლოს უმეთვალყურეოდ დარჩენილმა სტიუ ბარნსმა ამ სერიაში ბრძოლა კიდევ უფრო გაამძაფრა.

ფლორიდა — ნიუ ჯერსი 0:3

ფლორიდა — ნიუ ჯერსი 1:2

1:0 0:1 0:1

1:0 უინტი 9'19 (1); 1:1 მოგილნი 36'25 (1); 1:2 რაფალსკი 43'11 (1)

ისტორია განმეორდა. „ეშმაკებმა" კვლავ ჩინებულად გაართვეს თავი პაველ ბურეს (1 დარტყმა და 1 პასი) გაუვნებლებას, ხოლო როცა „რუსულ რაკეტას" გოლები არ გააქვს, ეს ფლორიდელთა წარუმატებლობის საწინდარია. მიუხედავად იმისა, რომ უდიდეს სათამაშო უპირატესობას ფლობდა (ორი პერიოდის შემდეგ სტუმრები 31:7 სჯობდნენ მეტოქეს დარტყმებში, ნიუ ჯერსიმ დიდი წვალებით, მხოლოდ 37-ე წუთზე დალაშქრა მაიკ ვერნონის კარი. სიმბოლურია, რომ ეს ბურეს ყოფილმა პარტნიორმა რუსეთში თამაშისას, ალექსანდრ მოგილნიმ გააკეთა. „ალექს მრისხანეს" წოდებული ჰოკეისტი ნიუ ჯერსიმ დედლაინზე შეიძინა, თუმც ჩემპიონატის მსვლელობისას რუსს თავი არაფრით გამოუჩენია. ფლორიდას ნამდვილი სიურპრიზი შესთავაზეს მეტოქის მცველებმაც. ამ სერიაში „ეშმაკთა" მიერ გატანილი 8 გოლიდან ზუსტად ნახევარი მათ ანგარიშზეა, ორი კი კაპიტანმა სკოტ სტივენსმა მიითვალა, რომელიც დიდი შედეგიანობით არასოდეს გამოირჩეოდა. წინა შეხვედრაში ივარგა 10-მატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაბრუნებულმა სკოტ ნიდერმაიერმაც, ხოლო ამჯერად სეზონის ერთ-ერთმა საუკეთესო ახალბედამ, ბრაიან რაფალსკიმ, შორეული დარტყმით საბოლოო წერტილი დასვა.

დასავლეთი

ედმონტონი — დალასი 1:3

ედმონტონი — დალასი 3:4

2:2 1:1 0:1

0:1 ჰალი 5'02 (2); 0:2 მატვიჩუკი 5'50 (1); 1:2 გერინი 9'09 (1); 2:2 გერინი 11'43 (2); 2:3 მოდანო 20'52 (2); 3:3 გერინი 38'06 (3); 3:4 კარბონო 45'01 (1)

რაც გინდათ, თქვით, გამოცდილებას უმთავრესი როლი ენიჭება როცა საქმე პლეი ოფზე მიდგება. სწორედ ამის ხარჯზე უგებს დალასი ედმონტონს სერიას. ეს განსაკუთრებით ედმონტონში გამართულ ორ მატჩში გამოჩნდა. ტეხასელებმა ბრძნულად წარმართეს საგარეო შეხვედრები. მათ კარგად ესმოდათ, რომ „მენავთობეები" საკუთარ მოედანზე ერთხელ მაინც მოიგებდნენ, ამიტომ პირველ თამაშში მეტოქის ყველა კოზირი, პირველ ყოვლისა, სწრაფი ტემპი, გამოსტყუეს. ახლა კი ძალიან სწრაფად დაწინაურდნენ და ედმონტონი აიძულეს, კიდევ უფრო მეტი ძალა დეხარჯა. მასპინძლებმა ორი პერიოდის განმავლობაში ბილ გერინის ჰეთ-თრიქის ხარჯზე (ედმონტონის ზედიზედ მეორე ჰეთ-თრიქი) მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მესამე მესამედში არაქათი გამოელიათ. დალასელებმა საბოლოოდ მაინც გაიტანეს თავისი, თანაც, გადამწყვეტი შაიბა მათგან ყველაზე გამოცდილმა, 40 წლის გი კარბონომ გაიტანა. „ვამყობ ჩემი ბიჭებით. მათ შეძლეს ჩემი დავალების შესრულება და გიჟურ ტემპში მოთამაშე მეტოქის მოთოკვა" — განაცხადა „ვარსკვლავთა" თავკაცმა კენ ჰიჩკოკმა.

სამველ ღარიბიანი

აღმოსავლეთი

ბუფალო — ფილადელფია 1:3

ბუფალო — ფილადელფია 3:2

1:0 1:2 0:0 6:0

1:0 კ. ბრაუნი 2'39 (1); 2:0 შატანი 21'03 (3); 2:1 ტოკატი 33'55 (1); 2:2 პრიმო 38'25 (1); 3:2 ბარნსი 64'42 (2)

„HSBC ARENA"-ზე მისულ მაყურებელს სიხარული სულ მალე სიმწარემ შეეცვალა. უკვე 28-ე წამზე მასპინძლებმა, რომელთათვისაც ეს სერიის გაღარჩენის უკანასკნელი შანსი გახლდათ, სწრაფი შეტევა განახორციელეს და ვლადიმერ ციპლაკოვმა გოლიც გაიტანა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად მსაჯებმა იგი არ ჩათვალეს. დენ მარულის მოეჩვენა, რომ ფილადელფიელთა მეკარე ბრაიან ბუშემ შაიბა შეაჩერა. თუმცა ვიდეოფირმა ნათლად აჩვენა, რომ არბიტრები ისევ შეცდნენ და ისევ „მფრინავების" სასარგებლოდ. ამან კიდევ უფრო გააცხარა ბუფალოელები, რომლებმაც მეტოქე ჰოკეისტის გაძევება უმალ გოლად აქციეს — მიროსლავ შატანის დარტყმულ შაიბას კერტის ბრაიენმა სხარტად შეუცვალა მიმართულება და თავისიანები დააწინაურა.

ამით გამხნევებული მასპინძლები კიდევ უფრო სწრაფად და აგრესიულად ათამაშდნენ და მიუხედავად იმისა, რომ პირველი პერიოდის მთელი 8 წუთის განმავლობაში უმცირესობაში იყვნენ, ინიციატივა მაინც არ გაუშვეს ხელიდან. მათ ანგარიში მეორე მესამედის დასაწყისშივე გააორმაგეს, ამჯერად უკვე შატანმა ისარგებლა ბრაუნის პასით. ამის შემდეგ ბუფალოელებმა, რომლებმაც, ეტყობა, საქმე მოთავებულად ჩათვალეს, თავიანთ ტაქტიკას რატომღაც უღალატეს და მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება მისცეს. მართალია, დომინიკ ჰაშეკი კარგად თამაშობდა, მაგრამ სტუმრებმა პერიოდის დასრულებამდე გაათანაბრეს და ისეთი შთაბეჭდილება შექმნეს, რომ ეს სერიის ბოლო მატჩი იქნებოდა. ამაში მსაჯებმაც შეუწყვეს ხელი რამდენიმე უსამართლო გადაწყვეტილებით. მაგალითად, ერთ-ერთ ეპიზოდში მათ ვერ შენიშნეს, რომ ბუფალოელ ალექსეი ჟიტნიკს ეუხეშნენ, სამაგიეროდ, რამდენიმე წუთში, როცა რუსმა თავის დამჩაგრავთან ანგარიშსწორება განიზრახა, იგი ორმაგი ჯარიმით დასაჯეს. და

ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲛᲔᲓᲐᲚᲡ ᲨᲔᲜᲓᲝᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ

ᲒᲐᲡᲣᲚ უქმეებზე ძიუდოისტები საქართველოს ჩემპიონატში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ხელმოკლე ფედერაციამ შორს წასვლას იქვე, ყურის ძირში მდებარე ფარიკაობის დარბაზი ირჩია სარბიელად. მით უფრო, ცარიელ ოთხ კედელში ტატამის გამართვა იოლი იყო.

ჩემპიონატში სიდნეის ოლიმპიადის არც ერთ ლიცენზიანტს არ უჭიდავია, რაც ეროვნული პირველობის დაკნინების დასტურია. ერთადერთი წონა, სადაც ლიცენზია ვერ მოვიპოვეთ, 81-ია. აქ, მართალია, უმცირესი, მაგრამ მაინც არის იმედი, რომ ევროპის ჩემპიონატზე საგზურს დავეუფლოთ. ვიდრე შანსია, ცხადია, მისი გამოყენების მსურველიც გამოჩნდება. ამიტომ ამ წონაში სოსო ლიპარტელიანის გარდა ყველა ლიდერმა იჭიდავა.

ახალგაზრდებისთვის ჩემპიონატი ნაკრებისკენ გზის გაკვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო. მათაც შანსი ბოლომდე გამოიყენეს და ჩემპიონები გახდნენ. მეტ-ნაკლებად მოულოდნელი, ალბათ, 73-ის ფინალში უკვე საკმაოდ გამოცდილი და სალიცენზიო ტურნირებმოვლილი ფირუზ ტყეშელაშვილის მარცხი იყო.

ახლა მსაჯობაზე ვთქვათ. კერძოდ, მოქმედ სპორტსმენთა მსაჯობა არ მიგვაჩნია გამართლებულად — ამ ბიჭებს იმათი შეხვედრების განსჯა უწევთ, ვისთანაც ხვალ უნდა იჭიდაონ. თანაც, მეგობრებიც უფრო მეტს შეპბედავენ და მოსთხოვენ.

ბედის ირონიით, მთავარი გაუგებრობა სწორედ გამოცდილი მსაჯის გადაწყვეტილებამ გამოიწვია. 60-ის ფინალში არბიტრმა აბმეტელი იოსებაშვილი მეორედ გააფრთხილა თუ არა, მისმა მწვრთნელმა, ილეთზე შესული კაცი პასიურობისთვის რად გააფრთხილეთო და სპორტსმენს ხალიჩის დატოვება უბრძანა. მერაბიც მორჩილად გავიდა ტატამიდან. მძიმე წონაში უწვეულო ამბავი მოხდა — სულ სამი მონაწილე მოგროვდა და ბრინჯაოს ერთი მედალი გაუთამაშებელი დარჩა. იმედია, მკითხველი ამ წონის ტექნიკური ოქმის ნახვისას გულმავიწყობას არ დაგვწამებს. იმედია, მომავალში, იმდენი სპორტსმენი მაინც შეიკრიბება, ფედერაციას გაუცემელი მედალი რომ არ დარჩეს.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

ᲙᲘᲣᲓᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ 15-16 Ა�პᲠᲘᲚᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

60 კგ
1. ლაშა სარდანაშვილი (თბილისი)
2. მერაბ იოსებაშვილი (ახმეტა)
3. ნიკო გილაშვილი (საგარეჯო)
3. აკაკი ხანიშვილი (გორი)

66
1. დავით მარგოშვილი (თბილისი)
2. ზეზვა ებელაშვილი (თბილისი)
3. ბესიკ ორბელაძე (ზესტაფონი)
3. თემურ ბაჩიაშვილი (ახმეტა)

73
1. გიორგი ნადირაშვილი (თბილისი)
2. ფირუზ ტყეშელაშვილი (ქუთაისი)
3. ილია ქოთოლაშვილი (ქარელი)
3. დავით ბოდაველი (თბილისი)

81
1. ჯონდო მუზაშვილი (თბილისი)
2. გოჩა ბერაძე (თბილისი)
3. ლევან სულხანიშვილი (თბილისი)
3. მინდია ბოდაველი (თბილისი)

90
1. ზურაბ ზვიადაური (ახმეტა)
2. ზაზა გულბიანი (თბილისი)
3. სოსო პავლიაშვილი (გორი)
3. ჯაბა გოგიშვილი (თბილისი)

100
1. ლაშა ფეიქრიშვილი (თბილისი)
2. იოსებ ქანთარია (თბილისი)
3. დავით დარძული (რუსთავი)
3. ჯიბო აბულაძე (თბილისი)

მძიმე
1. ზვიად ჩინჩალაძე (რუსთავი)
2. დავით ხაბულიანი (ლენტეხი)
3. ზვიად ხანჯალიაშვილი (თელავი)

ᲨᲐᲜᲡᲘ: ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲨᲘᲗ ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲛᲐ ᲠᲣᲡᲔᲑᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ

საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრები სამშაბათს, გვიან ღამით დაბრუნდა საფრანგეთიდან. სენ კანტენში გამართულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე სამი მატჩის მოშგები ქართველები, მოგეხსენებათ, სამეულს მიღმა დარჩნენ. ტურნირის ბოლო დღეს რუსებმა მოულოდნელად მასპინძელ ფრანგებს მოუგეს, ცალი ფეხით ფინალში მყოფ ჩვენებურებს ხასიათი წაუხდინეს და ხორვატიისკენაც თავად გაიკვალეს გზა.

ნირწამხდარია ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნიკო ჩერქეზიშვილიც. საფრანგეთში ნახსნა და განცდილს მისთვისაც დაუფყვია კვალი. ეს რა გვიჭნეს, ულმერთოდ გაგვწირეს, მდგომარეობიდან ჯერაც ვერ გამოვსულვარო — ამ სიტყვებით შეგვეგება გუშინ ჩერქეზიშვილი. მერე თავს ძალა დაატანა, ოდნავ დამშვიდდა და...

ᲜᲘᲙᲝ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ

— გასაგებია, რომ ფრანგებმა გვიმუხთლეს, მაგრამ რომ არა მათთან თექვსმეტქულიანი მარცხი, საქმე აქამდე ხომ არ მივიდოდა. ამაზე არ გიფიქრიათ?

— გამგზავრებამდე ჩემს გარდა ყველა კმაყოფილი იყო კალენდრით. ფრანგებს თავიდანვე მოვიშორებთ და მერე ყველაფერს სიტუაცია გვიკარნახებს, მანუგეშებდნენ. მე კი სხვანაირად ვფიქრობდი და აი, რატომ: ბიჭები ერთმანეთთან სრულიად შეუთამაშებელნი იყვნენ, არც მწვრთნელებმა ვიცოდით, ვისი იმედი მეტად გვქონოდა, ვისი — ნაკლებად. ასეთ დროს კი ჯობდა, პირველად სუსტ მეტოქეს შევხვედროდით, რადგან გუნდზე გარკვეული აზრი მაინც ჩამოგვიყალიბდებოდა. დარწმუნებული ვარ, მანამდე ერთი მატჩიც რომ გვეთამაშა, ფრანგებთან ასეთი სხვაობით არ დავმარცხდებოდით.

სასაცილოა, რომ შეხვედრის მსვლელობისას გვიხდებოდა კომბინაციების მოფიქრება, შემადგენლობის ძიება. ამგვარად კი ფრანგების ძლევა წარმოუდგენელი იყო. ალალად გეტყვით, მათთან გამარჯვების შანსი ნამდვილად არ გვქონია. ჩვენი გუნდი მერე და მერე გაცილებით ძლიერად ათამაშდა, როგორც გაირკვა, ჯობდა, ბოლოს შევხვედროდით მასპინძლებს.

— რაც იყო, იყო. ამას ვეღარაფერი შეცვლის. უბრალოდ, ძალიან ცუდია, რომ ჩვენი ბედი სხვამ გადაწყვიტა. ნუთუ მარცხის მიზეზი მხოლოდ ესაა?

— მიგიხვდით, რასაც გულისხმობთ. ან კი რა მიხვედრა მაგას უნდა. ყველამ კარგად იცის, როგორ უჭირს ჩვენს ქვეყანას. ამიტომაც სრულიად მოუმზადებელი ჩავედით საფრანგეთში. წასვლამდე ერთი ხეირიანი ვარჯიშიც ვერ გავმართეთ, ყოველივე ამის შემდეგ რა შედეგზეა ლაპარაკი?

მეტოქეებმა რომ გაიგეს, ამ გუნდის მომზადებაზე თორმეტი ათასია დახარჯულიო, გაეცანით, მაგ თანხისა მარტო მედიკამენტები მოვიმარაგეთო. სხვა მაგალითი რაღა გინდათ.

თუმცა, მოდით, ამ თემაზე ნულარ გავაგრძელებთ საუბარს. რა აზრი აქვს, წუწუნით ჩვენთან ვერავის [illegible] რვებ.

— ერთ-ერთ საუბარში თქვით, რომ ფინალში რომც გავიდეთ, ასეთი მომზადებული გუნდით ხორვატიაში წამსვლელი არ ვარო...

— ახლაც იგივეს გავიმეორებ, იმ განსხვავებით, რომ ფინალში უკვე ვეღარ გავალთ. ეს ტყუილად არ მითქვამს, ბრმაც დაინახავდა, რომ ჩვენს გუნდს აქვს ძალიან დიდი პოტენცია, რაც ცნობილი მიზეზების გამო გამოუყენებელი რჩება. ძალიან ნიჭიერი თაობაა, შედეგი კი, სამწუხაროდ, არ ჩანს.

ყოველივეს ჩემი თავმოყვარეობაც მალაპარაკებს. მე, როგორც მწვრთნელი, სადღაც დამნაშავედ ვგრძნობ თავს, მაგრამ რომ ვფიქრობ, სხვა გამოსავალიც არ მქონდა. გუნდთან მუშაობის საშუალება არ მომცემია და ამიტომაც გული მწყდება, რომ ჩემი სამწვრთნელო ცოდნა გამოუყენებელი დარჩა, შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოვამჟღავნე.

— ორიოდ სიტყვით მოთამაშეებზეც ვთქვათ. ვის ემადლიერებით, ვის — არა...

— მთლიანობაში ბიჭებით კმაყოფილი ვარ. ზოგმა უკეთ გამოავლინა თავი, ზოგმა ნაკლებად. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ლიდერები ფაჩულია და ცქიტიშვილი იყვნენ, დამაჯერეს ბაბაიშვილმა და ტულუშმაც, სიტუაციამ მოიტანა, რომ ეს ბიჭები უწვეულო პოზიციებზე გვეთამაშებინა და ორივემ გაგვიმართლა. კმაყოფილი ვარ უგრეხელიძით, მარკოიშვილით, შანიძით, ხეცურიანით. არ ველოდი ამდენს სულაძისგან. დანარჩენებმა კი შედარებით მოიკოჭლეს, სრულად ვერ გამოავლინეს თავი.

— მოისწრაფიშვილის საფრანგეთში დარჩენა რას უნდა მივაწეროთ?

— დათოს მეგობარი ჰყავს იქ და გვთხოვა, ცოტა ხანს მასთან დავრჩები, იქნებ რაიმე გუნდიც გამოვნახოო. თუ ეს სავიზო ვადის გასვლამდე მოასწრო, ხომ კარგი, თუ არადა მალე ისიც ჩამოვა.

— საფრანგეთის ტურნირით თქვენმა შეგირდებმა ჭაბუკობა გაასრულეს. ამ გუნდის მთავარი მწვრთნელისთვის ეს რას ნიშნავს?..

— რას ვიზამთ, ცხოვრება გრძელდება, ეს თაობა როდესღაც აუცილებლად იტყვის თავის სათქმელს. კარგი იქნება, თუ ამ ბიჭებთან მუშაობის გაგრძელების საშუალება მომეცემა, ოღონდ ისე, მართლა მუშაობა რასაც ჰქვია. ამ გუნდიდან ოთხ-ხუთ მოთამაშეს ყველანაირი მონაცემი აქვს, რათა ეროვნული ნაკრების კარი შეაღოს და თუ ამაში ჩემი წვლილიც იქნება, მადლობელი დავრჩები.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲘᲙᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲭᲐᲑᲣᲭᲝᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ	ᲗᲐᲛᲐᲨᲘ	ᲬᲣᲗᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲑᲐ	2-ᲥᲣᲚᲘᲐᲜᲘ	3-ᲥᲣᲚᲘᲐᲜᲘ	ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲛᲝ	ᲛᲝᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲑᲘᲗ	ᲞᲐᲡᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲑᲘᲗ	ᲩᲐᲭᲠᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲑᲘᲗ	ᲬᲘᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲑᲘᲗ	ᲥᲣᲚᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲑᲘᲗ
ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐ	4	35,6	30-59	0-3	16-26	10,3	4,5	1,3	2,3	19,0
ᲑᲐᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ	5	28,4	29-58	5-8	12-17	4,8	1,0	1,4	2,0	17,0
ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ	5	27,0	21-32	5-14	11-17	7,2	0,8	0,6	2,8	13,6
ᲢᲣᲚᲣᲨᲘ	5	28,6	13-27	3-13	13-20	4,2	6,2	2,0	2,4	9,6
ᲣᲑᲠᲔᲮᲔᲚᲘᲫᲔ	5	17,6	9-20	-	10-14	5,0	1,2	0,6	1,8	5,6
ᲛᲐᲠᲙᲝᲘᲨᲕᲘᲚᲘ	5	14,0	9-18	3-12	-	0,6	0,2	0,2	1,0	5,4
ᲨᲐᲜᲘᲫᲔ	3	14,0	3-5	1-6	4-6	3,3	1,0	-	0,3	4,3
ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ	3	25,0	3-4	1-5	3-6	3,3	5,0	3,7	3,0	2,7
ᲮᲔᲪᲣᲠᲘᲐᲜᲘ	5	11,4	0-4	1-2	7-12	0,6	1,2	0,6	1,6	2,0
ᲙᲔᲘᲓᲘᲐ	3	6,0	2-5	0-0	1-4	1,3	-	0,3	1,3	1,7
ᲡᲣᲚᲐᲫᲔ	5	10,8	2-6	0-0	4-6	1,4	0,8	1,2	1,4	1,6
ᲛᲝᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ	5	7,8	0-1	0-1	2-2	0,8	0,8	0,4	0,6	0,4

— რუსებისგან ფრანგების დამარცხებას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით. სიმართლე გითხრათ, რაღაც-რაღაცეებში ეჭვიც შეგვეპარა...

— არ დაიჯეროთ, რომ რუსებმა კაცურ ბრძოლაში მოუგეს ფრანგებს. ერთი წუთითაც არ გაივლოთ ეს გულში. მასპინძლები „დაუწვნენ" რუსებს, ამას ვერავინ გადამარწმუნებს, საკუთარი თვალით ვნახე ყველაფერი. ჩემი თუ არ გჯერათ, ნებისმიერს ჰკითხეთ, დარწმუნებული ვარ, იგივე პასუხს მიიღებთ.

— მაინც რატომ გგონიათ, რომ ფრანგებმა შეგნებულად დათმეს თამაში?

— იქ რომ ყოფილიყავით, ამას აღარ მკითხავდით. წარმოუდგენელი ამბები ხდებოდა მოედანზე. მატჩის სცენარი მასპინძელთა სურვილისამებრ იცვლებოდა, რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ, თუ მოისურვებდნენ, წინ გადიოდნენ, მერე უცებ გაჩერდებოდნენ და მეტოქეს წამოწევის საშუალებას აძლევდნენ. შეხვედრის მიწურულს ფრანგები ისე გულუბრყვილოდ მოიქცნენ, ბავშვიც კი მიხვდებოდა, რაში იყო საქმე. თერთმეტი წამი იყო დარჩენილი, ბურთი რომ შემოიტანეს, ორ ქულას აგებდნენ. ამ დროს ერთ-ერთი ფრანგი ფარქვეშ სულ მარტო აღმოჩნდა, მან კი სროლის ნაცვლად ბურთი სამქულიანი ხაზის გარეთ გაიტანა და იქიდან შეუტია, უფრო სწორად გადააგდო ბურთი ფარისკენ.

ყოველივე ამის შემდეგ სხვა რა შეიძლება იფიქრო. ახლა, უბრალოდ, გული მწყდება, რომ სამი თამაში მოვიგეთ და ფრანგების უმსგავსო საქციელს შევეწირეთ. მერწმუნეთ, რუსეთი არ იყო მაგ გუნდის მომგები. ასჯერ რომ ითამაშონ, ასჯერვე ფრანგები გაიმარჯვებენ.

— კი მაგრამ, რა ამოძრავებდათ მასპინძლებს, მათთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა, სამეულში ვინ მოხვდებოდა? ამასაც რომ თავი დავანებოთ, პრესტიჟის ამბავია, ფრანგები ხომ შინ თამაშობდნენ...

— ვფიქრობ, ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ წინ გაიხედეს. ფრანგებს იმდენად დიდი შიში აქვთ ჩვენი, რომ პრესტიჟი და თავმოყვარეობა უკან გადადეს. მათ კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით პირველად საფრანგეთში შეიკრიბა, ბიჭებმა დარბაზში გადაკოცნეს ერთმანეთი. ისიც გაითვალისწინეს, რომ ეროვნული ჩემპიონატები დაახლოებით ერთ თვეში მთავრდება და შემდეგ საკმაო დრო დაგვრჩებოდა ფინალური ტურნირისთვის მოსამზადებლად. აი, ამან დააფრთხო ფრანგები, ხორვატიაში ჩვენ ძალიან დიდ პრობლემებს შეგუქმნიდით, მათ საქმე აღარ გაირთულეს, გზიდან ჩამოგვიშორეს.

— საინტერესოა თავად ფრანგების პოზიციაც. მათთან არ გისაუბრიათ?

— ნერვები დაწყვეტაზე მქონდა, თავს ვერ ვიმორჩილებდი. ვერაფრით წარმოვიდგენდი, ასე თუ განვითარდებოდა მოვლენები. თამაშის შემდეგ ფრანგთა მწვრთნელს საკმაოდ მწვავედაც ვეკამათე, ცოტა დამაკლდა და ხელითაც შევეხებოდი. მას ხმა არ ამოუღია, თავჩაღუნული იდგა. იქვე საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლები იყვნენ, მათაც გვარიანი რისხვა დაატეხეს მწვრთნელს, ამის გაკეთება როგორ გაბედე, ეს როგორ იკადრეო, ეუბნებოდნენ. მაგრამ ეს ჩვენთვის რაღა ნუგეში იყო, არ უნდოდა მწვრთნელს მოგება და აკი წააგებინა კიდეც თავის გუნდს. მატჩის მსვლელობისას მშვიდად იჯდა სკამზე, ნერვი არ შეტოკებია. მე გაცილებით მეტი ვინერვიულე.

ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲯᲝᲑᲘᲐ?!

ᲛᲔᲪᲘᲔᲠᲔ ეროვნულში მე-7-მე-12 ადგილებისთვის მოთამაშე გუნდებმა გუშინ ვერის ბაღში მორიგი შეხვედრები გამართეს. სამივე მატჩი დაძაბული გამოდგა, თუმც, საბედნიეროდ, ყოველივემ უმუშტიკრივოდ ჩაიარა. ზედიზედ მეორედ, ამჯერად „შევარდენთან" დამარცხდა სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი — 58:67. სსუ-მ 80:77 მოუგო არმიის სპორტულ კლუბს, „დინამომ" კი ოვერტაიმში დასძლია გორელთა წინააღმდეგობა — 93:87.



3 ᲢᲣᲠᲘ VII-XII ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲗᲘᲡᲣ	24	12	12	2057:2049	36
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ	25	10	15	1874:2010	34
ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ	25	10	15	1767:1943	34
ᲡᲡᲣ	25	4	21	1796:2306	29
ᲐᲡᲙ	25	2	23	1792:2334	27
ᲒᲝᲠᲘ	24	3	21	1430:1804	23

გორს დაკლებული აქვს ოთხი ქულა, შევარდენს და დინამოს — თითო-თითო

ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘ ᲒᲐᲕᲘᲡᲢᲣᲛᲠᲔᲗ, ᲘᲠᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲕᲔᲚᲘᲗ

ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ სამხრეთის ლიგაში წარმატებით თამაშობენ ქართული კლუბები. „აზოტმა" და „მაკაბი" ამჯერადაც იმარჯვეს სომხებთან, რუსთაველებმა გუშინ 85:68 დაამარცხეს ერევნის „ადისი", „მაკაბიმ" კი ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს მოუგო — 77:52.

ამით დასრულდა სომხური კლუბების ქართული ტურნე. სამხრეთის ლიგის მომდევნო შეხვედრებს ჩვენებურები, სავარაუდოდ, ივნისში გამართავენ. ამ დროისთვის საქართველოში ირანის ორ გუნდს ელიან.

ᲥᲘᲠᲐᲕᲓᲔᲑᲐ

საოფისედ 4 ოთახიანი ბინა. საერთო ფართი 150 კვ.მ. „დინამო" სტადიონთან ქურდიანის (ყოფილი გლდანის) ქუჩაზე. ტელ: 34-80-68

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

გლადიატორს ჯაზი ურჩევნია

18 აპრილი

საკრამენტო 112:119 სიეტლი

(ძირითადი დრო 107:107)

საკრამენტო: ჯ. ვილიამსი (23), ანდერსონი (11), ვილიამსონი (10), ვებერი (23 ქულა, 13 პასი, 10 მოხსნა), დივაცი (6); სტოიაკოვიჩი (20), დელკი (9), პოლარდი (6 ქულა, 11 მოხსნა), კორბინი (4)

სიეტლი: პეიტონი (33 ქულა, 14 პასი, 11 მოხსნა), ბერი (13), პატერსონი (16), ბეიკერი (23), გრანტი (6); ლუისი (22 ქულა, 13 მოხსნა, 5 პასი, 5 ჩაჭრა), მაკკოი (4), მაქსველი (2), ბორელი, შ. ვილიამსი

„მე უკვე აღარ ვიცი, კიდევ რა ვთქვა გერი პეიტონზე, იგი დღეს ძველი დროის გლადიატორებს მაგონებდა. გერის უნდოდა გამარჯვება და ამისთვის მან ყველაფერი გაიღო, თითქოს ეს მისი უმნიშვნელოვანესი მატჩი ყოფილიყოს სიცოცხლეში“ — „სიეტლ სუპერსონიქსის“ თავკაცი პოლ ვესტფოლი აღაფრთოვანა თავის შეგირდთაგან უპირველესის ბრწყინვალე თამაშმა. სწორედ გერი პეიტონის თავდადებამ, შემართებამ და ბოლოს ქულებმა „სიეტლს“ სტუმრად მეზობელი „საკრამენტო“ დაამარცხებინა. თავად პეიტონი თავის თავგამოდებას ასე ხსნის: „ჩვენ ნამდვილად გვსურდა ამ თამაშის მოგება. „იუტა“ იოლი მოსარევი არაა, მაგრამ „ლეიკერსს“ მაინც ის გვირჩევნია მეტოქედ.“ ამ გამარჯვებით „სიეტლმა“ მეზობელ „საკრამენტოს“ გადაუსწრო, კონფერენციაში მეშვიდე ადგილზე აღზევდა, რითაც პლეი ოფის პირველ წრეში მრისხანე „ლეიკერსთან“ შეჯახება თავიდან აიცილა. შინაურ კედლებში ძლეული „საკრამენტო“ კი შაკილ ონილთან და კომპანიასთან საომრად უნდა განეწყოს, თუმცა ეს „მეფეებს“ ძალიან არ აშფოთებთ: „ლეიკერსი“, რა თქმა უნდა, გაცილებით ძლიერია, ვიდრე „იუტა ჯაზი“, მაგრამ მის წინააღმდეგ ჩვენ ამ სეზონში ცუდად არ გვითამაშია, პლეი ოფში ხომ თავს არ დავზოგავთ“ — ამბობს „საკრამენტოს“ მთავარი მწვრთნელი რიკ აიდელმანი და ქომაგებს ჰპირდება, რომ რეგულარული სეზონის საუკეთესო გუნდს მისი შეგირდები ნამდვილ ომს გაუმართავენ.

ამ თამაშის მნიშვნელობა, ცხადია, ორივე გუნდს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული. ამიტომაც მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს ლამის თავი შეაკლეს. თავდან თამაში არ წაუვიდა მასპინძელთა ლიდერ კრის ვებერს. ჰორას გრანტის მარწუხებში მოქცეული ვებერი ხშირად აცილებდა და თავისი პირველი 11 სროლიდან მხოლოდ ორი ჩააგდო. მერე და მერე ვებერმა მიზანი გაისწორა, მოხსნაპასებიც ბლომად აგროვა და საბოლოოდ სამმაგი დუბლიც შეასრულა, მაგრამ მისი და სხვა მასპინძელთა გარჯა გერი პეიტონმა მდინარე საკრამენტოს წყალს გაატანა. თავის მხრივ ვებერს არც იგი ჩამორჩა და კარიერაში მეათე სამმაგი დუბლი გაახერხა.

თვითონ თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ვინ ბეიკერის აქტიურობის წყალობით „სონიქსი“ პირველი მეოთხედის შემდეგ რვა ქულით დაწინაურდა. მეორეში „საკრამენტომ“ ვილიამსის სამქულიანებით საქმე გამოისწორა, მაგრამ მეორე ტაიმში კვლავ მდევრის როლში აღმოჩნდა და ბოლო მეოთხედი შვიდქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრას მოანდომა. მას შემდეგ, რაც ჯეისონ ვილიამსმა თავისი მეშვიდე სამქულიანი ჩააგდო, მასპინძლები „სონიქსს“ წამოეწივნენ — 103:104. აქ პეიტონმაც ივარგა შორის დისტანციიდან და „სონიქსი“ კვლავ ოთხი ქულით დაწინაურდა 107:103, თუმც ბოლო მეოთხედის უკანასკნელ წუთში ვერ შეინარჩუნა ეს სხვაობა — ჯერ ისევ ვილიამსმა იყოჩაღა ახლო მანძილიდან, სირენამდე სულ ნახევარი წამით ადრე კი იუგოსლავიელმა პრედრაგ სტოიაკოვიჩმაც ჩააგდო სამოიდე მეტრიდან და გადაჭედილ, მოგუგუნე დარბაზს თამაშის ხსნის იმედი გაუღვივა. მაგრამ ოვერტაიმში მასპინძლებმა ვერავითარი კონტრიარაღი ვერ მოუძებნეს პეიტონს ვერც დაცვაში და ვერც შეტევაში. სიეტლელთა ლიდერმა მთლად აიკლო „კინგზის“ კალათი, ზედიზედ რვა ქულა მოუპოვა თავისიანებს და ამდენივე ქულით წინ გაიყვანა. გერი ასევე სანაქებოდ ირჯებოდა დაცვაში, სადაც მან სამი მოხსნა, ორი ჩაჭრა და ერთი დაფარება მიითვალა. ერთი სიტყვით, მეტოქის შეტევების ლამის ნახევარი მან ჩაშალა და ანთებული მასპინძლების იმედებს ცივი წყალი გადაასხა.



REUTERS საკრამენტოდან

საკრამენტო — სიეტლი. სიეტლელმა გერი პეიტონმა (ბურთით) მასპინძლები დაამუნჯა

ხვალ, რეგულარული ჩემპიონატის ბოლო დღეს, „სიეტლი“ „კლიპერსს“ მასპინძლობს, „საკრამენტო“ კი სოლტ ლეიკ სიტიში ჩავა და იქაურ „იუტა ჯაზს“ დაეჭიდება.

ფინიქსი 98:107 ჰიუსტონი

ფინიქსი: ჰარდაუეი (20 ქულა, 12 პასი, 10 მოხსნა), რობინსონი (20)

ჰიუსტონი: ანდერსონი (35), ფრენსისი (27), მობლი (24)

დენვერი 105:104 იუტა

(ძირითადი დრო 96:96)

დენვერი: ლაფრენცი (32 ქულა, 17 მოხსნა, 6 დაფარება)

იუტა: პადჯეტი (13)

დალასი 112:102 ლეიკერსი

დალასი: ფინლი (25), ნეში (23), სებალოსი (21)

ლეიკერსი: ონილი (38 ქულა, 20 მოხსნა)

ჩიკაგო 89:93 ფილადელფია

ჩიკაგო: ბრენდი (26 ქულა, 10 მოხსნა)

ფილადელფია: სნოუ (20), კუკოჩი (18)

მაიამი 97:73 ტორონტო

მაიამი: მაშბურნი (16)

ტორონტო: კარტერი (17)

კლიპერსი 100:116 პორტლენდი

კლიპერსი: ანდერსონი (20), ნესბი (20)

პორტლენდი: სმიტი (24), პიპენი (18)

ნიუ იორკი 100:88 დეტროიტი

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (29)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (24)

კლივლენდი 88:103 შარლოტი

კლივლენდი: სურა (20)

შარლოტი: ვესლი (23), ჯოულმენი (21 ქულა, 11 მოხსნა)

ატლანტა 111:109 ნიუ ჯერსი

(ძირითადი დრო 99:99)

ატლანტა: ტერი (16), მუტომბო (13 ქულა, 22 მოხსნა, 7 დაფარება)

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (24 ქულა, 14 მოხსნა), ჰარისი (22), ჰერი (20)

ვაშინგტონი 81:114 ბოსტონი

ვაშინგტონი: ვიტნი (25)

ბოსტონი: ფორტსონი (17 ქულა, 12 მოხსნა)

ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გამოვლინდა პლეი ოფის რვავე დასავლელი მონაწილე, მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. სეზონის რჩეულები უფრო მაღალი ადგილებისთვის ებრძვიან ერთმანეთს, რათა პლეი ოფში ნაკლები ჯაფა დაადგეთ. მაგალითად, ვლადიმერ სტეფანიას „სიეტლი“ იმისთვის იკლავდა თავს, რომ „ლეიკერსი“ აერიდებინა და ეს კიდეც მოახერხა. „ფინიქსი“ ვერანაირად ვერ აუვლის გვერდს მეტოქეს. რამდენიმე დღის წინ გაირკვა, რომ „სანზი“ ჩემპიონ სან ანტონიოს შეერკინება პირველ წრეში, თუმც ფინიქსელები თავს არ ზოგავენ იმისთვის, რომ სეზონი ჩემპიონებზე უკეთესი შედეგით დაასრულონ. დასავლეთში დაკავებული მეოთხე ადგილი „ფინიქსს“ პლეი ოფში მოედნის უპირატესობას დაუბევებს. იგი „სან ანტონიოზე“ წინ იყო, მაგრამ „ჰიუსტონთან“ დაუგეგმავი მარცხის შემდეგ საქმე გაირთულა. ფინიქსელები ახლა „ლეიკერსზე“ ამყარებენ იმედებს, რომელიც „სან ანტონიოს“ სტუმრობს რეგულარული ჩემპიონატის ბოლო დღეს, 19 აპრილს.

„ჰიუსტონის“ უკანახაზელებმა პირდაპირ გადათელეს „ფინიქსის“ დაცვა. ფრენსის-ანდერსონ-მობლის ტრიომ შავი დღე აყარა მასპინძლებს და მთი კალათი სასტიკად დაარბია. მარტო ამ სამეულის ანგარიშზე მოდის 86 ქულა. „როცა მოთამაშე ვიყავი, მეც ვყოფილვარ მსგავს სიტუაციაში, რომელშიც ახლა ისინი (ფინიქსელები) არიან. მაშინ, ჩემს პირველ პროფესიულ სეზონში, ვერ მოვხვდით პლეი ოფში და მახსოვს, ამას როგორ განვიცდიდი, მაგრამ ვეტერანების შემხედვარემ ვიფიქრე, რომ ასეთმა მომენტმა ადამიანს ხელი არ უნდა ჩაუქნევინოს. ეს თამაშია და მასში ყველაფერია მოსალოდნელი — ამბობს ჰიუსტონელთა დამრიგებელი რუდი ტომიანოვიჩი — მეორე მხრივ იმ მდგომარეობას, რომელშიც ახლა ჩვენ ვართ, დადებითი მხარეც აქვს. ვერ მოვხვდით პლეი ოფში, ეს ასეც იყო მოსალოდნელი და არავითარ ზეწოლას არ განვიცდით, ჩემი ბიჭები თავისუფლად თამაშობენ და მთლიანად იხარჯებიან. როცა ეს ასეა, ისინი თავადაც გრძნობენ, რომ ნებისმიერი წინააღმდეგობის გადალახვა ძალუძთ“. რუდი ტომიანოვიჩი თავისი შეგირდებით ამაყობს. აქვს კიდეც ამის საფუძველი. ბებერი ჰიუსტონელის, ჩარლზ ბარკლის გვერდით ყოფნით გამხნევებულმა ამ პირტიტველა ბიჭებმა გამოცდილი „ფინიქსი“ დაჩაგრეს.

დღე ჩაუმწარდა „ფინიქსის“ თავკაც სკოტ სკაილზს. ამ თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე მან კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა, რომლის მიხედვითაც ხუთ წელიწადში 12,5 მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს. ამიტომაც თქვა სკაილზმა თამაშის შემდეგ, კარგა ხანია, ასეთი კმაყოფილი და უკმაყოფილო არ ვყოფილვარო.

ამ დროს კი, როცა „ფინიქსს“ „ლეიკერსის“ იმედი აქვს, ამ უკანასკნელმა დალასში წააგო. „ძალიანაც კარგად ვიცი, რომ ყველა გუნდს სწყურია ჩვენი დამარცხება და ამისთვის არაფერს ერიდებიან. მე ხომ პირდაპირ მაწამებენ. სხვა რა დაგვრჩენია, ამას უნდა შევეგუოთ“ — თქვა მატჩის შემდეგ „ლეიკერსის“ ცენტრმა შაკილ ონილმა. მას იმ დღეს დიდი ჯაფა დაადგა და თავსაც ხშირად იკვებდა, რომ დალასელთა ზღვარგადასული უხეშობისთვის არ ეპასუხა, „დალასმა“ სტუმრებს ზეხისტი დაცვა შეაგება, რომლის მთავარი მსხვერპლი ონილი აღმოჩნდა. არც სხვებს დაადგათ კარგი დღე, თუმც ტეხასელთა თითქმის ბინძურმა თამაშმა ყველაზე ნაკლები გავლენა სწორედ გიგანტ შაკილზე იქონია. მან თავისი საქმე მაინც გააკეთა და ბლომად ქულებსაც მოუყარა თავი. იგი თავისიანთა რიგებში ერთადერთი იყო, რომელმაც მატჩის ბოლომდე შეინარჩუნა მხნეობა.

„იუტა ჯაზს“ ხეირიანი ცენტრი არა ჰყავს და ხშირად ეს დიდ პრობლემებს უქმნის. იმ დღეს სხვა დასავლელ ბობოლებთან ერთად „ჯაზიც“ დამარცხდა და ამაში ლომის წილი დაიდო მეტოქე გუნდის ცენტრმა, რიფ ლაფრენცმა, რომელმაც კარიერის საუკეთესო მატჩი ითამაშა და უსაზურ „დენვერს“ ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი დაამარცხებინა. მართალი რომ ითქვას, „იუტასთვის“ ამ მატჩს არცთუ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „ჯაზის“ მწვრთნელმა ჯერი სლოუნმა გუნდის ლიდერი კარლ მელოუნი სულ 17 წუთს ათამაშა, სხვა ლიდერები — სტოქტონი და ჰორნაჩეკი მხოლოდ 14-14 წუთით შეუშვა მოედანზე. სამაგიეროდ, დიდხანს ითამაშეს გუნდის ისეთმა სათადარიგოებმა, რომლებიც იშვიათად ჩანან. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გვარიანად გაწვალეს „დენვერი“ და ოვერტაიმში მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით წააგეს.

„ფილადელფია“ ერთადერთი გუნდია, რომლისთვისაც რეგულარული ჩემპიონატი 18 აპრილს დასრულდა. დანარჩენი 28 გუნდი თავის ბოლო შეხვედრას 19 აპრილს ჩაატარებს. „ფილადელფიასთვის“ ეს კარგი სეზონი არცთუ მშვიდობიანად ჩამთავრდა. მართალია, ფილადელფიელებმა თავის ბოლო მატჩში „ჩიკაგოს“ სძლიეს, მაგრამ თავიანთი ლიდერი ალენ აივერსონი მოისაკლისეს და ამან გაუფუჭათ გუნება. კლუბმა გავრცელა ინფორმაცია, რომ აივერსონმა საშშაბათს „ინდიანასთან“ შეხვედრაში იდაყვი იტკინა და იმავე დროს ფეხის თითიც მოიტეხა. თუმც ფილადელფიაში იმ იმედით ცოცხლობენ, რომ აივერსონი პლეი ოფში შეუერთდება თავისიანებს. უმისოდ „სიქსერზი“ გვარიანად დასუსტდება, „შარლოტი“ კი სერიოზული მეტოქეა.

ირაკლი ფირაშვილი

კვირის მოთამაშე

კობი ბრაიანტი • ლეიკერსი •



გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ ერთხმად აღიარეს „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მსროლელი კობი ბრაიანტი. 21 წლის კობისთვის მიმდინარე სეზონი ლიგაში მეოთხე და საუკეთესოა, თუმც ბოლოსდა მოახერხა ამ ტიტულის დათრევა.

გასული კვირა, ისევე როგორც თითქმის მთლიანად რეგულარული სეზონი, „ლეიკერსმა“ ომახიანად გაიარა და სამივე სერიოზული მეტოქე — „სიეტლი“, „საკრამენტო“ და „მინესოტა“ დასცა. ბრაიანტიც სამივე თამაშში მოწოდების დონეზე აღმოჩნდა და შაკილ ონილთან ერთად ამ გამარჯვებების სულისჩამდგმელი გახდა. ბრაიანტმა „სიეტლთან“ 106:103 მოგებულ რთულ ბრძოლაში 33 ქულა და 10 მოხსნა გაახერხა. „საკრამენტოსთან“ 31 ქულის, ხუთი მოხსნის, ამდენივე შედეგიანი გადაცემის და სამი დაფარების ავტორი შეიქნა, „მინესოტასთან“ კი თავისიანებს 25 ქულით და 10 პასით შეეშველა. ამასთან ამ უკანასკნელ თამაშში, რომელიც მისმა გუნდმა ასევე დიდი ჭაპანწყვეტის შემდეგ 101:95 მოიგო, ბრაიანტმა ნერვების იშვიათი სიმტკიცე გამოიჩინა, თამაშში ნასროლი თერთმეტივე საჯარიმო ჩააგდო, აქედან ოთხი ბოლო წუთზე და თავისიანებს გამარჯვება დაუბევა. სულ ამ სამ თამაშში ბრაიანტს საშუალოდ 29,7 ქულა, შვიდი პასი, ექვსი მოხსნა და 1,3 დაფარება მოუგროვდა. ამჟამად იგი თავის გუნდში პირველია პასებში (4,9 პასი), მეორე ქულებსა (22,6 ქულა, 12-ე შედეგი ლიგაში) და მოხსნებში (6,2 მოხსნა)

კვირის სხვა რჩეულები არიან — ედი ჯონსი (შარლოტი), ელტონ ბრენდი (ჩიკაგო), მაიკლ ფინლი (დალასი), ნიკ ვან ექსელი (დენვერი), რეი ალენი (მილუოკი), გერი პეიტონი (სიეტლი) და ვინს კარტერი (ტორონტო).

აღმოსავლეთის კონფერენცია

	მ	წ	%
ინდიანა*	55	26	67,9
მაიამი*	52	29	64,2
ნიუ იორკი*	50	31	61,7
ფილადელფია*	49	33	59,8
შარლოტი*	48	33	59,3
ტორონტო*	45	36	55,6
დეტროიტი*	41	40	50,6
მილუოკი*	41	40	50,6
ორლანდო	40	41	49,1
ბოსტონი	34	47	42,0
ნიუ ჯერსი	31	50	38,3
კლივლენდი	31	50	38,3
ვაშინგტონი	29	52	35,8
ატლანტა	28	53	34,6
ჩიკაგო	17	64	21,0

დასავლეთის კონფერენცია

ლეიკერსი*	67	14	82,7
პორტლენდი*	59	22	72,8
იუტა*	54	27	66,7
ფინიქსი*	52	29	64,2
სან ანტონიო*	52	29	64,2
მინესოტა*	50	31	61,7
სიეტლი*	45	36	55,6
საკრამენტო*	44	37	54,3
დალასი	39	42	48,1
ჰიუსტონი	34	47	42,0
დენვერი	34	47	42,0
ვანკუვერი	21	60	25,9
გოლდენ სტეიტი	19	62	23,5
კლიპერსი	14	67	17,3

*— *გავიდნენ პლეი ოფში*

დასაწყისი პირველ გვერდზე

ფავორიტი არ არსებობს

ფინალი, გუნდების ფორმების ფერთა გამო, უკვე შეირაცხა „მწვანე-ყვითელ სიმფონიად“. ფავორიტი არავინაა. ცხადი ერთი რამაა: დღეს ევროპის ჩემპიონთა თასს აუცილებლად აღმართავს ერთი ებრაელი მაინც. იგი ან პანათინაიკოსელი ოდედ კატაში იქნება, ანაც მაკაბელთა უმრავლესობა.

გუშინ ფინალისტთა მწვრთნელებმა პრესკონფერენცია გამართეს. პანათინაიკოსელთა იუგოსლავიელი დამრიგებელი ჟელკო ობრადოვიჩი და მაკაბელთა თვისტომი მწვრთნელი პინი გერშონი ერთად მოვიდნენ, ერთმანეთი მოიკითხეს, ფოტორეპორტიორთა წინაშე ჯერ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, მერე კი გადაეხვა-გადმოეხვიენენ. ეს პოზიორობა რომ მორჩა, პრესკონფერენციაც დაიწყო.

ვიცოდი, კითხვები გახშირდებოდა, მიკროფონს ვეღარ მოვისელთებდი, ამიტომ პინი გერშონს სასწრაფოდ ვკითხე, დეიან ბოდიროგას შეჩერებას როგორ აპირებთ-მეთქი. გერშინმა გაიღიმა, თქვენ „პანათინაიკოსში“ მუშაობთ თუ გაზეთში, მერე კი ჩემს კითხვას ასე უპასუხა:

— ჯერ არ ვიცი. საამისოდ ძალიან ცოტა დრო მქონდა. ფინალამდე გადაწყვეტ ისე, ბევრ ევროპელ მწვრთნელს საგანგებოდ უცდია ბოდიროგას შეჩერება, მაგრამ განსაკუთრებულ წარმატებას ვერავინ მიაღწია. საერთოდ, თუკი თამაშის მოგება გინდა, ერთი კალათბურთელი კი არა, მთელი გუნდი უნდა გააჩერო. ბოდიროგა უდავოდ ევროპის საუკეთესო კალათბურთელია, მაგრამ გვერდით ექვსი-შვიდი არანაკლები ძალის მოთამაშე უდგას.

შემდეგ პრესკონფერენცია ტრადიციული სახით გაგრძელდა. ოღონდ კითხვებს ჯერ გერშონმა უპასუხა, რადგან „მაკაბის“ ვარჯიშზე ეჩქარებოდა.

— *შეგიძლიათ „ბარსელონას“ და „პანათინაიკოსის“ შედარება?*

— ორივე ძლიერი, გამოცდილი და შეთამაშებული გუნდია. „ბარსელონას“ ჰყავს კარგი მწვრთნელი, „პანათინაიკოსის“ მწვრთნელი კი ევროპაში საუკეთესოა.

— *„პანათინაიკოსის“ გუშინდელი თამაშის ხილვის შემდეგ შიში ხომ არ შეგეპარათ?*

— გგონიათ, გუშინ პირველად ვნახე „პანათინაიკოსი“? ამ გუნდის ბევრი თამაში მინახავს. სიმართლე გითხრათ, „პანათინაიკოსს“ გუშინ თავისი საუკეთესო მატჩი არ ჩაუტარებია. სეზონის განმავლობაში მას გაცილებით უკეთესი შეხვედრები მოუგია. რაც შეეხება შიშს: ასე რომ იყოს, თელ ავივში დღესვე დავბრუნდებოდი.



REUTERS სალონიკიდან

პანათინაიკოსი — ეფესი 81:71. გამარჯვებულთა იუგოსლავიელებმა, დეიან ბოდიროგამ და მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა ხელი ხელს დაჭრეს

— *„პანათინაიკოსის“ ქომაგთა აქტიურობა ცუდად ხომ არ იმოქმედებს თქვენს გუნდზე?*

—„პანათინაიკოსს“ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ჩვენ თელ ავივიდან 2 500 ქომაგი გამოვყეყა. ტრიბუნაზე ათენელებს მცირე უპირატესობა ექნებათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოედანზეც იგივე მოხდება.

— *„პანათინაიკოსის“ გამთამაშებელი ოდედ კატაში ადრე თქვენთან, „მაკაბში“ თამაშობდა. რას იზამს იგი, თუ, დავუშვათ, ბოლო წამში გადამწყვეტი სროლის შესრულება მოუწევს?*

— ვერ გეტყვით. სჯობს, ბატონ ობრადოვიჩს ჰკითხოთ ამის თაობაზე. დღეს კატაში მისი მოთამაშეა.

ამით პინი გერშონი გამოგვემშვიდობა და ჟელკო ობრადოვიჩის პირისპირ დაგვტოვა. ობრადოვიჩს, ცხადია, პირველად კატაშაზე დაეკითხნენ.

მისი პასუხი ამგვარი იყო:

— კატაში პროფესიონალი და ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა. ვიცი, რა ძნელია ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაში, თუმცა, მეორე მხრივ, იოლიცაა — მისთვის ბევრი რამ ნაცნობია. კატაშს განსაკუთრებულს არაფერს მოვთხოვ — მან უნდა ითამაშოს ისე, როგორც მთელი სეზონის განმავლობაში. მით უმეტეს, ოდედს არავისთვის არაფერი აქვს დასამტკიცებელი. რჩევას კი ვკითხავ. ჩვენს გუნდში მასზე კარგად არავინ იცის „მაკაბის“ ავან-ჩავანი.

— *გარეშე კაცი რომ იყოთ, ვის მიიჩნევდით ფინალის ფავორიტად?*

— ფავორიტი არ არსებობს. ერთმანეთს ევროპის ორი საუკეთესო გუნდი ხვდება.

— *რამდენად მნიშვნელოვანია მწვრთნელთა ფაქტორი. თქვენ ბევრჯერ ყოფილხართ ევროლიგასა თუ სხვადასხვა ევროთასის ფინალში. გერშონს კი ამის გამოცდილება აბსოლიტურად არა აქვს.*

— ვერ დავეთანხმები მათ, ვინც მწვრთნელის ფაქტორს გადამწყვეტად მიიჩნევს. ოღესღაც არც მე მქონდა არავითარი გამოცდილება, მაგრამ ევროლიგა მოვიგე. გერშონი ძალიან ძლიერი მწვრთნელია. ხომ ხედავთ, ცოტა ხანში რა ძლიერ გუნდად ჩამოაყალიბა „მაკაბი“.

— *გამთამაშებელ გიორგოს კალაიძისის ტრავმა რამდენად იმოქმედებს „პანათინაიკოსის“ თამაშზე?*

— კალაიძისი ჩვენთვის საჭირო მოთამაშეა, მაგრამ, ვფიქრობ, ჯენტილე, კატაში და ბუდურისი მის არყოფნას გააბათილებენ. საზოგადოდ, ფინალში ერთი კაცის ფაქტორი, არა ერთეულის გადამწყვეტი იყოს. მთავარია, როგორ იქნება მზად.

შემდეგ ობრადოვიჩსა და ებრაელ ჟურნალისტს შორის მეტად სალაღობო დიალოგი გაიმართა:

— *ბატონო ობრადოვიჩ, ვინ მიგაჩნიათ „მაკაბში“ ყველაზე ძლიერ მოთამაშედ და ვის დაუთმობთ ხვალ განსაკუთრებულ ყურადღებას?*

— „მაკაბის“ კარგად არ ვიცნობ. თქვენ უფრო მეტს ტრიალებთ ამ გუნდთან და იქნებ თქვენ მითხრათ, ვის მივაქციო განსაკუთრებული ყურადღება?

— *ალმათ, ჰაფმანს.*

— არა, ყველაზე დიდ ყურადღებას პოპას განეიტრალებას დავუთმობ (რუმინელი კონსტანტინ პოპა, 222-სანტიმეტრიანი ცენტრი, ისე მყარადაა დამკვიდრებული „მაკაბის“ სათადარიგოთა სკამზე, რომ უკვე წამოდგომაც უჭირს. წლევანდელ ევროლიგაში მან სულ რამდენიმე წუთი ითამაშა — მ. რ.)

შემდეგ ბერძენმა ჟურნალისტებმა ობრადოვიჩს რა აღარ ჰკითხეს. იგი მოთმინებით, მაგრამ მოკლედ პასუხობდა, ბოლოს კი მოგვმართა: ღმერთი არ გწამთ, გამიშვით სასტუმროში, დილიდან მშიერი ვარ და თვალებში მიბნელდებაო.

ასეთ პატივცემულ კაცს გზას, აბა, ვინ დაუჭერდა. თუმცა წასვლისას ობრადოვიჩმა გულშემატკივრებს მიმართა: „მობრძანდით ხვალ ფინალზე და „პანათინაიკოს“ უქომაგეთ, ოღონდ კორექტულები იყავით. ხვალ კალათბურთმა უნდა გაიმარჯვოს და არა რომელიმე კლუბმა“.

ფინალს ლიტველი რომუალდას ბრაზაუსკასი და სლოვენიელი იზტოკ რემსი განსჯიან. ჰო, მართლა, ხვალ მესამე ადგილისთვის მატჩიც არის, მაგრამ იგი აღარავის ახსოვს და, ვგონებ, არც არავის უნდა. ყოველ შემთხვევაში „ბარსელონა“ და „ეფესი“ ისე უგულოდ ვარჯიშობდნენ...

ჰაფმანმა ბარსელონას ცეცხლი შეახედა

„ბარსელონა“ და „ეფესი“ უფრო ახალგაზრდული და ენერგიული გუნდები არიან, „პანათინაიკოსი“ და „მაკაბი“ კი ფონს გამოცდილებით გადიან. ჯვიქრობ, ფინალში გასვლის უკეთესი შანსი ჩვენ და „ეფესს“ გვაქვს“ — „ბარსელონას“ მწვრთნელი აიტო გარსია რენესესი ნახევარფინალის წინ ოპტიმისტურად იყო განწყობილი. თუმცა...

„ბარსელონა“ თავის თავს მხოლოდ საწყის 5-6 წუთში ჰგავდა. მერე კი „მაკაბის“ წინააღმდეგ თამაშობდა არა ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი, არამედ, ბოდიში და, ათი უაზროდ მობორიალე კაცი, რომელთაც ათასში ერთხელ თუ გამოუვიდოდათ რამე. ციფრებს მივმართოთ: „ბარსამ“ 41 ორქულიანიდან მხოლოდ 13 ჩაადგო (31 პროცენტი), ხოლო 18 სამქულიანიდან — ოთხი (22 პროცენტი). კლუბის ისტორია რომ გადავაბრუნოთ, საეჭვოა, წავაწყდეთ მატჩს, სადაც „ბარსელონას“ ამგვარი სამარცხვინო სტატისტიკა ექნება. ერთადერთი, რაშიც კატალონიელებმა ავჯობეს მეტოქეს, მოხსნები იყო (33:31), ოღონდ გუნდმა ვერც ეს მაჩვენებელი გამოიყენა სათავისოდ: მოხსნილი ბურთების უმრავლესობას კვლავ აფუჭებდა და ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ მაკაბელები არ იყოჩაღებდნენ.

მატჩის შემდეგ რენესესს მოთამაშეები არ ულანძღია, პირიქით, მადლობა უთხრა და დასძინა, რაც შეეძლოთ, იმის მაქსიმუმი გააკეთესო. რენესესი, ეტყობა, კარგად აღზრდილი კაცია, ზემოხსენებული ფრაზაც მხოლოდ და მხოლოდ მის ამ თვისებას უნდა მივაწეროთ.

ნახევარფინალში გამოჩნდა „ბარსელონას“ კიდევ ერთი ნაკლი. კერძოდ ის, რომ იგი, ასე ვთქვათ, „საშინაო“ გუნდია, ანუ მშობლიურ „ბლაუგარანაში“ სასწაულად ძლიერია, ხოლო მის გარეთ, თუნდაც ნეიტრალურ მოედანზე, მისი პოტენციალი ბარე ორჯერ მცირდება. გუნდს არ გამოუჩნდა ლიდერი, რომელიც გაჭირვებისას თამაშის სიმძიმეს იტვირთებდა, ანაც ბოლო-ბოლო, ყურებჩამოყრილ თანაგუნდელებს შეაგულიანებდა. ვინ იცის, როგორ ნანობს ცალკე რენესესი და ცალკე „ბარსელონას“ პრეზიდენტი ნუნიესი, იუგოსლავიელი გამთამაშებელი ალექსანდრ ჯორჯევიჩი რომ ვერ (თუ არ) შეინარჩუნეს. არადა, ნახევარფინალში ჯორჯევიჩის ყაიდის და კლასის კალათბურთელი „ბარსელონასთვის“ მისწრება იქნებოდა.

„სალონიკს უყვარს რენციასი. მიდი, ეფტიმიოს! გაუმარჯოს „ბარსას“! — ეს ერთადერთი, მაგრამ საკმაოდ მოზრდილი ტრანსპარანტი ამშვენებდა მცირერიცხოვან ბარსელონელ გულშემატკივართა კუთხეს. ისიც სალონიკელების, კერძოდ, პაოკ-ის ქომაგთა მოტანილი იყო. რენციასმა კი ვერ გაამართლა. არადა, იყო დრო, მას „ახალ საბონისობას“ უქადდნენ. საბონისი კი არა, დღეს მისთვის ფასულასობაც სანატრელი იქნება. რენციასი 19 წლის იყო, როცა საბერძნეთის ნაკრების ხუთეულიდან ფასულასი ამოაგდო. მშობლიურ სალონიკში ჩაფლავებულმა რენციასმა პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა: „ჩემი გულშემატკივრის თვალწინ დამარცხება ორმაგად მტკივნეულია... ვერ მოვუხერხეთ ამ „მაკაბის“ ვერაფერი... რაღას ვიზამთ, ახლა მთავარია, დავწყნარდეთ და ესპანეთის ჩემპიონატის მოგებაზე ვიზრუნოთ“. ჩვენ კი იმას დავამატებთ, რომ ასეთი თამაშით „ბარსელონა“ ესპანეთის კი არა, კატალონიის ჩემპიონატსაც ვერ მოიგებს.

სამაგიეროდ, თუკი „მაკაბიმ“ ფინალშიც ასე ითამაშა, გამოვლენილა წლევანდელი ევროლიგის ჩემპიონი და ეგაა! იშვიათია ასე შეკრული, მოძრავი და აგრესიული გუნდი. რაც მთავარია, მაკაბელთა აგრესია ყველაზე მეტად დაცვაში თამაშისას ჩანს. თელავიველები იმდენად ხისტად ეთამაშობდნენ მეტოქეს, რომ ეს უკანასკნელი, ბოლოს და ბოლოს, წონასწორობიდან გამოდიოდა და ბურთს კარგავდა.

ცალკე აღსანიშნავია ამერიკელი ნათანიელ ჰაფმანი. გაუგებარია, როგორ ახერხებს ეს 215-სანტიმეტრიანი გიგანტი უკანასკნელივით მოძრაობას. ამერიკელისთვის სულაც არაა უცხო ბურთის ტარება, დრიბლინგი, გარღვევა, ერთი-ორჯერ ტანით ისეთი ცრუმოძრაობა გააკეთა, გამთამაშებელსაც გაუჭირდებოდა. ჰაფმანის პასი ყოველთვის ზუსტია, ამაში იგი მთელი მატჩის განმავლობაში არ შემცდარა. ისიც საოცარია, რა ჩინებულად ხედავს მოედანს ჰაფმანი თავისი ელამი თვალებით. მატჩის შემდეგ ამერიკელის აზრი ამგვარი იყო: „პირველ ტაიმში დიდებულად ვითამაშეთ და „ბარსელონა“ დიდი წნეხის ქვეშ მოვაქციეთ. ამან განაპირობა მეტოქის სროლათა უზუსტობა. მეორე ტაიმში „ბარსელონამ“ აგრესიული თამაში შემოგვთავაზა და რამდენჯერმე შეგვაცდინა, მაგრამ, საბოლოოდ, ისევ დაცვამ გვიშველა“.



REUTERS სალონიკიდან

სტამბოლელმა იბრაჰიმ ქუთლუაიმ ათენელი პატ ბერკი ბეჭებზე გაყრა

თუმცა, მარტო ჰაფმანზე არ შეიძლება „მაკაბის“ წარმატების გადატარება. გავიმეორებ, „მაკაბი“ — გუნდია, ამ სიტყვის სრული და საუკეთესო გაგებით. მის ნებისმიერ მოთამაშეს გადამწყვეტ მომენტში გადამწყვეტი სროლის გაკეთება შეუძლია. ნუ დავივიწყებთ, რომ სეზონის დასაწყისში „მაკაბი“ ევროლიგის პლეი ოფში გასვლაზეც ყაბულს იყო. მერე, „ოთხთა ფინალში“ მოხვედრაც დაგვაკმაყოფილებსო. ახლა კი, მადისა და ჭამის ამბავი ხომ მოგეხსენებათ... ჩემპიონთა თასამდე ერთადერთი ნაბიჯიღაა.

დიახ, თასამდე ერთი ნაბიჯია, მაგრამ ყველაზე რთული, რადგან „მაკაბის“ ყველაზე ძლიერი მეტოქე შერჩა ფინალში. ათენის „პანათინაიკოსი“ იმთავითვე ევროლიგის ფავორიტად ითვლებოდა და ასეთად ჩაითვლება მანამდე, სანამ ფინალი არ დამთავრდება.

„ეფესთან“ ნახევარფინალი „პანათინაიკოსმა“ ძალების სწორად განაწილებით მოიგო. პირველიდან ბოლო წუთამდე აკონტროლებდა თამაშს და ამას რამდენიმე აფეთქება დაურთო. „ამფეთქებლები“ კი მრავლად ჰყავთ ათენელებს: დეიან ბოდიროგაზე და ჟელკო რებრაჩაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ფრაგისკოს ალვერტისსაც შეუძლია მეტოქის გატეხვა.

„პანათინაიკოსის“ წარმატება საუკეთესოდ ახსნა „ეფესის“ მწვრთნელმა ერგინ ათამანმა. „ათენელებმა კარგად დაკეტეს ჩვენი ყველაზე გამოცდილი მოთამაშე დამირ მულაომერივიჩი. ამის გამო მან ვერ მოახერხა თამაშის ორგანიზება, ვერც საკმაო რაოდენობის ბურთები ჩაადგო. ბოდიროგას და რებრაჩას საგანგებო ყურადღება კი დავუთმეთ, მაგრამ ორივემ მოსალოდნელზე უკეთ ითამაშა. როცა მეტოქეს 16 ქულით ჩამოვრჩით, ძალა მაქსიმალურად მოვიკრიბეთ, მაგრამ როგორ გინდა ამხელა სხვაობა ამოუქაჩო „პანათინაიკოსისებრ“ ძლიერ და გამოცდილ გუნდს? ვერაფერს ვიტყვი, ჩვენ არ აღმოვჩნდით სათანადოდ მომზადებულნი და გამოცდილნი ფინალში გასვლისთვის. მინდა გამარჯვება მივულოცო მწვრთნელ ობრადოვიჩს — მას მართლა კარგი გუნდი ჰყავს და თუ ასე ითამაშა, ფინალსაც მოიგებს“.

„პანათინაიკოსის“ იუგოსლავიელმა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა, რომლისთვისაც დღევანდელი ევროლიგის ფინალი მეოთხე იქნება, პრესკონფერენციაზე მადლობა გადაუხადა ეფესელ კოლეგას თამაშის კარგი და ობიექტური ანალიზისთვის. მერე კი დასძინა, ათამანის ნათქვამს ვეღარაფერს დავუმატებო. ობრადოვიჩმა ფინალის თაობაზე ეს თქვა, „მაკაბისთან“ ძალიან ძნელი თამაში გველის. მათი დაცვის წინააღმდეგ რამე სერიოზულის მოფიქრება მოგვიწევსო.

ობრადოვიჩს ფიქრი რომ შეუძლია, ნახევარფინალმაც დაადასტურა. უპირველეს ამოცანად „პანათინაიკოსმა“ დამირ მულაომეროვიჩის გაუვნებლება დაისახა და ბოდიროგას და, განსაკუთრებით, ჯენტილეს დიდი ენერგიის ხარჯზე ამას მიაღწია. სამაგიეროდ, „ეფესი“, პრაქტიკულად, უთავოდ დარჩა: მეორე პრობლემა ეფესელთა იუგოსლავიელი ფორვარდი პრედრაგ დრობნიაკი იყო, ობრადოვიჩის შეგირდი იუგოსლავიის ნაკრებში. პანათინაიკოსელები მორიგეობით უტევდნენ დრობნიაკს: ხან რებრაჩა, ხან — როჯერსი, ერთ-ორჯერ ბოდიროგაც ჯიქურ წავიდა დრობნიაკისკენ. შედეგად დრობნიაკმა ჯერ ოთხი პერსონალური მიიღო და ამიტომ დროებით დაასვენეს, მერე კი მობრუნებულმა მალევე მიიღო მეხუთე პერსონალური და თამაშიც მიატოვა

„ეფესის“ რიგებში საუკეთესომ ჰიდაიეთ თურქოღლუმ ნამატჩევს თქვა: „თექვსმეტქულიანმა ჩამორჩენამ ფსიქოლოგიურად გაგვტეხა. მდგომარეობის გამოსწორება კი ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. თავს იმითღა ვიმშვიდებ, რომ ამ თამაშმა დიდი გამოცდილება შეგვძინა“.

პანათინაიკოსელთა საუკეთესო მოთამაშე დეიან ბოდიროგა პრესკონფერენციაზე არ მოსულა. ჟურნალისტები ჟელკო რებრაჩამ დაგვაფასა: „რაც მალე დავივიწყებთ ამ მოგებას, მით უკეთესი. წინ ფინალია, სადაც ძალიან ძლიერი „მაკაბი“ გველის. ჩვენი ამოცანაა შეტევაში გონივრულად, დაცვაში კი აგრესიულად თამაში. თუ ამას მოვახერხებთ, მოვიგებთ“.

მერაბ რატიშვილი
სალონიკიდან



გადრი ქითილაძის ფოტო

ბერხკამპი მცხეთაში

ეს ალბათ ის დროც, როცა მცხეთის სტადიონზე მისული ფანობა, „ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედოს“ თამაშზე ამ გუნდების შაისურებში გამოწყობილი მივა. მანამდე კი „არსენალის“ შაისურაც მშვენიერია, მით უმეტეს, თუ იგი დენის ბერხკამპისაა. დოლს ხომ ყოველთვის ერთი ხმა აქვს, გინდ მეთოფის ფორმა გეცვას, გინდ ავტოქარხნელის ან ვეტერინარისა. ის დრო ხომ მაინც მოვა.

ლონდონური მარათონი

წლეულს ლონდონის მარათონს მასხრობა შეერია. კაცთა შეჯიბრის მონაწილეებმა „აფიციანტების“ სამოსი მოირგეს და ღმერთმა იცის ამით რისი ხაზგასმა სურდათ. გარბენი კი განთქმულმა პორტუგალიელმა ანტონიუ პინტუმ მოიგო.

REUTERS ლონდონიდან

დაგვიანებით

დიდსბერი კალგარის ჩრდილთ ნაწილია და იქ განთქმული გოლფ-კლუბი მდებარეობს. მავან დიდსბერელ მხატვარს, რუთ ჯეფსონს დიდსბერის წყალსაქაჩი კოშკის კედელზე აი, რამხელა მეგოლფე დაუხატავს, იმის აღსანიშნავად, რომ ორი კვირის წინათ აქ გოლფის ტურნირი უნდა დაწყებულიყო. მაგრამ მაინც კანადაა. თოვლი მოსულა და ტურნირი ამ უქმეებზე გაიხსნება.

რივალდინიო და გუსტავოს ნიშანი



REUTERS ბარსელონიდან

გადაიარა დიდმა ქარიშხალმა. „კამპ ნოუზე“ „ბარსამ“ წააქცია „ჩელსი“. თამაშის წინა დღით კი კატალონიის დედაქალაქში ჩასული ლონდონელი ურუგვაელი გუსტავო პოიეტი ყველას ამცნობდა, „ჩელსი“ გასულიაო. სანამ პოიეტი ავტობუსში იჯდა, ნავარჯიშევი რივალდო თავის პორტუგალიელ ძმაკაც სიმაო საბროსასთან ერთად წამოგორებულიყო ბალახზე, რეპორტიორებს რივალდოს ვაუი, რივალდინიო ართობდა. დიდი ონავარი ბიჭიაო, ადრეც გაგვიგონია, ისე იქცევა, თითქოს რივალდო იყოსო.

REUTERS

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი პატარა ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ბურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli